ოლე

ლიტერატურული ჟურნალი № 2 (67)
ოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლეოლ
2024

ჟურნალი „ოლე“ 20 წლისაა

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

რედაქტორები
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www. nplg. gov. ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუ-ნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი),** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“

№2,(67), 2024

ივნისი

გამოდის სამ თვეში ერთხელ

„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი

შინაარსი

„ოლე“-ს მორიგი აღიარება

2. ჟურნალმა „ოლე“–მ კულტურის სამინისტროს კონკურსში მეოთხედ გაიმარჯვა

მხატვრული ლიტერატურა

3. ლანა მანველი. რომანი

12. თინათინ თელაველი. ლექსები

18. გიული ჩიხიაშვილი. ლექსები

19. ხათუნა გოზალიშვილი. საალდგომო ჩანახატი

20. მანანა შიოშვილი. ლექსები

23. კახაბერ პავლიაშვილი. მოთხრობები

26. რაჟდენ მექვევრიშვილი. ლექსები

28. მარიამ კაპანაძე. ლექსები

31. ივეტა პავლიაშვილი. ორი მოთხრობა

34. ნათელა ქურციკიძე. ლექსები

დოკუმენტური პროზა

36. ელგუჯა თავბერიძე. პირველი მგზავრი. ტურფა ყვავილი

ბავშვებისთვის საკითხავი

39. ნუნუ ძამუკაშვილი. ლექსები

კრიტიკა-პუბლიცისტიკა

42.მარიამ ნადარეიშვილი. ნადირობის სიმბოლიკა და წარმომავლობა ძველ ქართულ ლიტერატურაში

წიგნები

46. ეთერ ანაშვილი. მომყავს აპრილი

სკოლის იუბილე

50.ნუნუ ძამუკაშვილი. გილოცავთ იუბილეს

ქრისტიანული პოეზიის XIV ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

51. საფესტივალო ლექსები

64. კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ჟურნალმა „ოლე"-მ კულტურის სამინისტროს კონკურსში ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვა

ჟურნალმა „ოლემ" უკვე მეოთხედ გაიმარჯვა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და „შემოქმედებითი საქართველოს" კონკურსში. ასე რომ წელს, თელავის გამგეობის დაფინანსებულ 4 ნომერთან ერთად, დამატებით გამოვა ჟურნალ „ოლეს" კიდევ ორი – ივლისისა და ოქტომბრის ნომრები.

მადლობა კულტურის სამინისტროს და „შემოქმედებით საქართველოს" რეგიონებში გამომავალი სალიტერატურო ჟურნალების ხელშეწყობისთვის.

ლანა მანველი

ემირი ჩუმად უსმენდა, მერე ხმაურით ამოისუნთქა და ერთადერთი შეკითხვა დაუსვა:

– ვისთან მიდიხარ?

მელანის სული შეეხუთა, თავს ძალა დააკანა და არ აკირდა. გულთან დაგუბებულმა ცრემლებმა მხოლოდღა ყრუდ ამოგმინვის საშუალება მისცეს:

– ჩემს თავთან შესახვედრად, ემირ!

ემირმა ჩაიცინა, იმ ვერაგი ღიმილით, მელანის რომ ასე ძალიან სძულდა.

– კარგი, გავცილდეთ, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ არაფერს მომთხოვ და რომც მომთხოვო, მოსაცემი მაინც არაფერი მაქვს, ბინაც და ბიზნესიც ჩემს ძმას გადავუფორმე.

ლ. მანველი

Il est où le bonheur

სად არის ბედნიერება

(რომანი)

დასასრული. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი; „ოლე“ №1, 2, 3, 4, 5, 6, 2022 წელი; „ოლე“ №1, №2, №3, №4, №5, №6, 2023 წელი, №1, 2024 წელი.

სიცივე

აეროპორტის გამოსასვლელში, ემირი მურადთან ერთად დახვდათ. სახეზე მრავლისმთქმელი ღიმილი დასთამაშებდა, ხოლო მის ძმას სიძულვილით ჰქონდა თვალები სავსე. მელანის გაფიტული გონება რეალობას შენელებულ კადრებად აღიქვამდა. არც არაფერი სწყინდა, არც არაფერი უხაროდა. სიცივე დათარეშობდა მის გულში.

უცბად აიამ ხელი გაუშვა და მამისკენ გაიქცა. მურადმა დაასწრო და ხელში აიტაცა:

– Melani hanım, hoş geldiğiniz!*– ცბიერად გაუღიმა რძალს.

– Hoş bulduk** – მექანიკურად უპასუხა მელანიმ და თავის დამსხვრეულ, ტონშეცვლილ ხმას უცხოსავით მიაყურადა. ემირი ძმას მიუახლოვდა, აია გამოართვა და ჩაეხუტა.

გზაში საქმეებზე ლაპარაკობდნენ. მურადს ბათუმში უნდოდა წასვლა...

კარი ჩაღლამ გაუღოთ. დედას წარბშეკრულმა აარიდა თვალი და დას მოეხვია.

ვიდრე ემირი და მურადი ჩაის სვამდნენ, ხოლო აია ჩანთიდან სათამაშო პონებს იღებდა და თავის ადგილას ალაგებდა, მელანი ჩაღლას ოთახში შევიდა.

– Ne istiyorsun?***

– ჩაღლა, აქ მე შენი წერილის გამო დავბრუნდი, ამიტომ მინდა სერიოზულად დაგელაპარაკო, აგიხსნა რამდენად ძნელია ჩემთვის ასეთ გარემოში ცხოვრება...

– თქვენი პრობლემები არ მაინტერესებს! მე ლონდონში, კოლეჯში მინდა დაბრუნება. – უხეშად შეაწყვეტინა ჩაღლამ და ოთახის კარი გამოუღო.

მელანი სიბრაზისგან აკანკალდა: ჩაღლა! მსგავსი ქცევისთვის დედაჩემი აუცილებლად სამაგიეროს მომიზღავდა, თანაც ძალიან მწარედ!

– Ma grande mère parle différent!**** – ფრანგულად მიუგო ჩაღლამ და ოთახიდან ჯერ წესიერად გასულიც არ იყო, რომ კარი ზურგს უკან მიუხურა.

შეურაცხყოფილმა და საშინლად გულნატკენმა მელანიმ უეცრად მოზღვავებული ცრემლები ხელისგულით შეაკავა და სააბაზანოში შევარდა.

– აღარ შემიძლია!.. მეტი აღარ შემიძლია!.. – ჩუმად მოთქვამდა და თავში ხელებს იცემდა. სიმწრისგან ყურები დაუგუბდა. ტკივილისგან ფეხზე დგომა ვეღარ შეძლო და გონდაკარგული ძირს დაეცა...

– Maman, Regardez-moi!***** სისხლი მოგდის!.. – ჩაღლას ყვირილი სადღაც შორიდან ჩაესმოდა. ამცივნებდა. მთელი სხეული უკანკალებდა.

* ქალბატონო მელანი, კეთილი იყოს! (თარგმანი თურქულიდან).
** გმადლობ. (თარგმანი თურქულიდან).

*** რა გინდა? (თარგმანი თურქულიდან).
**** ბებია სულ სხვანაირად ლაპარაკობს. (თარგმანი ფრანგულიდან).
***** დედა, შემომხედე! (თარგმანი ფრანგულიდან).

ემირმა ხელში აიყვანა და საწოლში ჩააწვინა. მოკრუნჩხული მუხლები გაუშალა და ზედ პლედი დააფარა. მერე სახიდან სისხლი მოსწმინდა და შუბლზე ცივი ტილო დაადო. ჩაღლა აიასთან ერთად ტიროდა. მურადმა სააბაზანოში, მელანის ცხვირიდან წამოსული სისხლის გუბე სველი საწმენდებით გაასუფთავა და ნაგავი ბუნკერში გადაყარა. უკან დაბრუნებულმა, რძალს ნახევრად ხუმრობით უთხრა: ,,ახლა არაფერი დაგემართოს, თორემ მე დამიჭერენ, ქუჩის კამერამ დამაფიქსირა, როგორ გადავაგდე სისხლიანი სახვევები!“

ემირმა ოჯახის ექიმს დაურეკა და მელანის მდგომარეობა აუხსნა.

მის მიერ დანიშნული მკურნალობის დაწყებიდან, მელანი ლოგინიდან თითქმის ვეღარ დგებოდა. ძილბურანში გახვეულს გამუდმებით ემირის დაძაბული საუბრები ესმოდა მობილური ტელეფონით. თავი ეწვოდა, ცრემლებს ძალაგამოლეული მკლავებით იწმენდდა და ისევ ძილში მიდიოდა.



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ჩაღლას სინანული

ლონდონში დაბრუნებულ ჩაღლას, თვალებიდან არ სცილდებოდა გულწასული დედის სისხლიანი სახე. მის მიმართ სიბრალულს, სინანულს და სირცხვილს ერთდროულად გრძნობდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ გაუფუჭდა დედასთან ურთიერთობა. რატომ ვეღარ იტანდა მის მზრუნველ ტონს, მისთვის დამახასიათებელ აქცენტიან თურქულს. არადა მშვიდი ოჯახური გარემო ენატრებოდა, ისეთი როგორიც ადრე, ბავშვობაში ჰქონდათ. მშობლების გამუდმებულ ჩხუბში, რატომღაც სულ დედას ადანაშაულებდა. ამაში ჰანდანსაც დიდი წვლილი მიუძღოდა, რომელიც შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან მელანი რომ არ ეძაგებინა.

წამოსვლის წინ, დედას ბოდიში მოუხადა და გულში ჩაეხუტა. აიაც მაშინვე მათკენ გაიქცა, მკლავები გაშალა და ორივეს შემოეხვია. სამივეს გაეღიმათ. მაშინ მელანიმ ხელზე ხელი დაადო და წყნარად უთხრა: ,,ჩაღლა, მე შენგან არ წავსულვარ, არც არასოდეს მიგატოვებ. კარგად დაიხსომე, სადაც არ უნდა ვიყო, მე ყოველთვის თქვენს დედად დავრჩები, თქვენ კი ჩემს შვილებად“.

ჩაღლა „West London Turkish School“-ის საერთო საცხოვრებლის ბიბლიოთეკის ფანჯარასთან იდგა და ნაწვიმარ ბაღს გაჰყურებდა. ინგლისი უყვარდა, მოსწონდა თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება. თურქეთიც უყვარდა, მაგრამ იქ დიდხანს გაჩერება არ შეეძლო. უეცრად გული უცნაურად აუფორიაქდა, ფანჯარას სწრაფად მოცილდა და ფარდას ამოფარებულმა მალულად დაიწყო გარეთ ყურება. ქვიან ბილიკზე, მისი კლასელი ოზანი მიდიოდა. სახე აუვარდისფერდა და ბედნიერებისგან გაეღიმა. ბიჭს შავი შარვალი და შავი მაისური ეცვა. გრძელი თმა შუბლს სანახევროდ უფარავდა. თავი დაეხარა და გეზი ბიჭების კორპუსისკენ ეჭირა. ჩაღლამ ზედ გულთან იგრძნო მისი დიდრონი, შავი თვალების გამჭოლი მზერა.

ზრუნვა

ემირმა ლოგინში მწოლიარე, ძილ-ბურანში მყოფ მელანის საბანი გაუსწორა და შუბლზე გაშლილი ხელისგული დაადო. ქალს დახუჭული

ქუთუთოებიდან ცრემლები გადმოუგორდა. ქაღალდის ხელსახოცით ნაზად შეუმშრალა, ხელი ისევ შუბლზე დაადო და ლოცვა დაიწყო. ის კარგა ხანი იყო, რაც მიხვდა, რომ მელანის მასთან ცხოვრება მართლა აღარ შეეძლო, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მას მის გარეშე გაუჭირდებოდა. ამიტომ უბრუნდებოდა ყოველ ჯერზე. სხვა გზა არ ჰქონდა. ხან ბავშვების, ხან თავის გამო. სწყინდა, რომ მელანიმ და მისმა ძალიან ახლო ნათესავებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და თავისდაუნებურად მათ ურთიერთობასაც ბზარი გაუჩნდა. მას არც ერთ მხარეზე არ შეეძლო უარის თქმა. ძმა შვილივით უყვარდა. უყვარდა მამიდა ჰანდანიც. მელანიც უყვარდა. თავისებურად, მძაფრი მესაკუთრული ინსტიქტით და ძლიერი ემოციური კავშირის განცდით. ტვინს უღრღნიდა იმაზე ფიქრი, რომ ის მას ოდესმე, მართლა მიატოვებდა. ახლა ყველაზე მეტად გრძნობდა, რომ მელანი მასთან დიდხანს აღარ გაჩერდებოდა. აკი, აეროპორტშივე უთხრა, რომ ჩაღლას გამო დაბრუნდა და განქორწინებას აპირებდა. ყველაფრის მიუხედავად ემირს ამის წარმოდგენაც არ უნდოდა და წინააღმდეგობის გასაწევად როგორც ყოველთვის, ახლაც მზად იყო.

ლოცვა დაასრულა. მელანის ჩაეძინა. ოთახის გასანიავებლად ფანჯარა ოდნავ შეხსნა და ოთახიდან ჩუმად გამოვიდა.

ერთხანს ფიქრებში წასული ჩამოჯდა. აიასთან წასვლის დრო ჯერ კიდევ არ მოსულიყო. რატომღაც ლექსების წაკითხვა მოუნდა. წამოდგა და წლების შემდეგ, პირველად მიუახლოვდა წიგნების კარადას და ნაზიმ ჰიქმეთის ლექსების კრებული გამოიღო. წიგნის ფურცლებიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი გადმოვარდა. დაიხარა და აიღო. ფრანგულად ნაწერს ფერი ოდნავ შეცვლოდა:

J'aimerais que tes yeux brillent toujours quand tu me vois. Je souhaite que tu me réchauffes toujours le cœur. J'aimerais que tu ne lâches jamais ma main. Melanie.*

Je serai toujours avec toi et je te tiendra toujours la main. Ton Emir.**

ემირს გაახსენდა, ცოლ-ქმრობის ერთი კვირის თავზე, როგორ დახვდა თავის სამეცადინო მაგიდაზე მელანის პირველი საჩუქარი ამ ბარათთან ერთად. გაახსენდა ის ემოციაც, რაც მაშინ საყვარელი პოეტის წიგნთან შეხებით იგრძნო.

საპასუხო მინაწერიც მაშინვე გააკეთა და ჯერ კიდევ მძინარე ცოლს საწოლთან დაუტოვა. მელანის ბარათი წიგნში შეენახა.

მაჯის საათს დახედა. აიასთან წასვლის დრო მოსულიყო.

საღამოს სტუმრები

მელანი უწყვეტმა ზარმა გამოაღვიძა. შეკრთა და გამოფხიზლება სცადა. აიას მის ფეხებთან ჩასძინებოდა. საათს დახედა, საღამოს 7 საათი იყო. ზარი არ წყდებოდა. წამლების ზემოქმედებით გაბრუებული ბარბაცით წამოდგა. თავბრუ ეხვეოდა. ტანზე თხელი პლედი შემოიხვია და შემოსასვლელი კარისკენ ხელისცეცებით მივიდა. სათვალთვალოდან მურადი და მისი ცოლ-შვილი დაინახა. გასაღები გადაატრიალა და რომ არ წაქცეულიყო, სანახევროდ გაღებულ კარს ორივე ხელით მოეჭიდა...

მოსულები ხმაურით შემოიჭრნენ სახლში. აიამ გაიღვიძა. სუზანამ რაღაც საეჭვოდ მოიარა ბინის ყველა კუთხე-კუნჭული. მურადმა ტელევიზორი ჩართო. ბავშვებმა ერთად თამაში დაიწყეს. მელანიმ ქურაზე ჩაიდანი დადგა და ემირს დაურეკა.

არც მურადი და არც მისი ცოლი, ყურადღებას არ აქცევდნენ მელანის ავად ყოფნას. მხიარულობდნენ და მის მიმართ ვითომ კეთილგანწყობილნი ათასგვარ უაზრო რამეზე ოხუნჯობდნენ. ბალიშებზე მისვენებული მელანი, წყნარად უყურებდა მათ უტიფრობას და სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობდა.

იმ ღამით, დამამშვიდებელი აბები აღარ დალია. არც დილით. შუადღისკენ მოემზადა და ოფისში, ემირს ესტუმრა. ემოციებისგან თავის შეკავებით, შეეცადა წყნარად აეხსნა, რომ თურქეთში მეტად აღარ დარჩებოდა და თუნდაც განქორწინების გარეშე, საფრანგეთში დაბრუნდებოდა:

– რაც თურქეთში ჩამოვედით, ყოველდღე რაღაც მოკვდა ჩემში. სიცოცხლე უხალისო და არაფრის მომტანი გახდა ამდენ გაუტანლობასა და გაუგებრობაში, ყოველდღიურ რუტინაში ჩაფლული, სევდასა და უსიხარულობაში მიდის ჩემი ცხოვრება და კარგად ვიცი, არც არასოდეს შეიცვლება რამე. მე ბევრი გადავიტანე... შენ ეს იცი. მეტს ვეღარ გადავიტან. აქამდე საშველს სულ სხვებთან ვეძებდი, ერთ დროს ხომ შენც ასე შემოგეკედლე, მაგრამ მივხვდი, რომ ეს გა-

* ვისურვებდი, რომ ჩემს დანახვაზე შენი თვალები მუდამ ბრწყინავდნენ. ვისურვებდი, რომ ჩემს გულს ყოველთვის ათბობდე. მინდა, რომ არასოდეს გამიშვა ხელი. მელანი. (თარგმანი ფრანგულიდან).

** მე მუდამ შენს გვერდით ვიქნები და მუდამ შენი ხელი მეჭირება. შენი ემირი. (თარგმანი ფრანგულიდან).

მოსავალი არ არის. შენ მუდამ იმას აკეთებ რაც შენ გინდა და მეც იგივეს მაიძულებ. დავიღალე და გამოვიფიტე. სულ ცდილობ ჩემი ნებისმიერი სიტყვა და საქციელი გააკონტროლო, პასუხი მაგებინო. ეს ძალიან შემაწუხებელია. შენ ჩემი არაფერი არ გაინტერესებს, – არც ჩემი სურვილები, არც ჩემი სულიერი სამყარო. ჩაღლა უკვე დიდია, დაველაპარაკები. შენც თუ სწორად აუხსნი, ვფიქრობ გამიგებს. აია კი ჯერ პატარაა, დედა სჭირდება. მისთვის აჯობებს თუ ჩემთან იქნება. თან წავიყვან.

ემირი ჩუმად უსმენდა, მერე ხმაურით ამოისუნთქა და ერთადერთი შეკითხვა დაუსვა:

– ვისთან მიდიხარ?

მელანის სული შეეხუთა, თავს ძალა დაატანა და არ ატირდა. გულთან დაგუბებულმა ცრემლებმა მხოლოდღა ყრუდ ამოგმინვის საშუალება მისცეს:

– ჩემს თავთან შესახვედრად, ემირ!

ემირმა ჩაიცინა, იმ ვერაგი ღიმილით, მელანის რომ ასე ძალიან სძულდა.

– კარგი, გავცილდეთ, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ არაფერს მომთხოვ და რომც მომთხოვო, მოსაცემი მაინც არაფერი მაქვს, ბინაც და ბიზნესიც ჩემს ძმას გადავუფორმე.

მელანი ახლაღა მიხვდა, მურადის და მისი ცოლის იმდღევანდელი უცნაური ვიზიტის მიზეზს.

მწარედ ჩაეცინა. მიუხედავად იმისა, რომ ემირისგან მიჩვეული იყო მახის დაგებას, ამდენს მაინც არ მოელოდა. ემირიც იცინოდა, თვალთმაქცი და კმაყოფილი იერით.

საფრანგეთში

აეროპორტში ემირმა გააცილათ. აიასთან ორივენი ისე იქცეოდნენ, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა. ემირმა გამომშვიდობებისას შვილს აკოცა, მელანის ჩვეული გამჭოლი მზერით შეხედა და თავის თავში დარწმუნებული ტონით უთხრა: აბა, მამიკო, შენ იცი, მეც მალე ჩამოვალ!

მისმა სიტყვებმა, მელანის უცბადვე მოუსპო ყველანაირი ხალისი, ხაზი გადაუსვა მის თავდაჯერებულობას და რწმენას, რომ ბოლოსდაბოლოს თავი დააღწია ,,დიდ თურქობას“...

ფრენის დროს ერთგვარი მედიტაციით ძალების მოკრებას შეეცადა. ფიქრებით ბავშვობას დაუბრუნდა და პატარა მელანი მოძებნა. იქ არ იყვნენ ემირი, მურადი, ჰანდანი და კიდევ ბევრი ის ადამიანი, რომელთაც დიდობაში ტკივილი და ტანჯვა მიაყენა. რა თქმა უნდა არ იყვნენ ჩაღლა და აიაც. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც მისი მშობლები ისევ ერთად ცხოვრობდნენ და ლუიც ჯერ კიდევ არ იყო მის მიმართ მტრულად განწყობილი. დიდი მელანი, პატარა მელანის მიუახლოვდა და მის წინ ჩაიმუხლა. გოგონა სამიოდე წლის იქნებოდა. ქერა, დატალღული თმა და სევდიანი თვალები ჰქონდა. ხელში გერმანული თოჯინა ეჭირა. მელანი მოეფერა. ძალიან უნდოდა მისი გულში ჩახუტება, მაგრამ „არ შევაშინოო,“ — გაიფიქრა და ყველაზე თბილი ღიმილი აჩუქა...

შარლოტამ, ემირისგან უკვე იცოდა მათი ჩასვლის შესახებ.

შვილშვილი გულში ჩაიკრა, მელანის კი მხოლოდ ლოყაზე აკოცა. დაღლილი იერი ჰქონდა. თვალის ირგვლივ ნაოჭები მკვეთრად დასტყობოდა, თმაც გათხელებოდა. სახიდან ჩვეული მკაცრი გამომეტყველება გაქრობოდა. მელანის პირველად შეეცოდა დედა. საჭიროდ აღარ ჩათვალა მისთვის თავისი ამბების მოყოლა. მიხვდა რომ შარლოტას საკუთარი ტკივილებიც საკმაოდ ჰქონდა. მელანიმ ისიც კარგად უწყოდა, რომ თუ ახალი ცხოვრების დაწყება სურდა, გუშინდელს უნდა გამიჯვნოდა. ერთადერთი რაც ყოველდღიურად წარსულში აბრუნებდა ემირის ხშირი სატელეფონო თუ ვიდეო ზარები იყო.

ჩასვლისთანავე დედას აუხსნა, რომ ის და აია, მასთან დროებით გაჩერდებოდნენ და თუ შესაძლებელი იქნებოდა, მისი ჩამოსვლის შესახებ, ლუისთვის, ჯერჯერობით არაფერი ეთქვა. იგივე სთხოვა დამიანსაც, რომელიც ქუჩაში სრულიად შემთხვევით შემოხვდა. ჭუჭყიანსამოსიანი ახალგაზრდა კაცი პირდაპირ ტროტუარზე იჯდა და თავისი ძაღლის გამოსაკვებად გამვლელებისგან ხურდა ფულს ითხოვდა. მელანი მარტო იყო, რატომღაც მათთან მისვლა მოუნდა. ჩაიმუხლა და ძაღლს მიეფერა.

– C’est très gentil de ta part!* – უცნაურტემბრიანი ხმის პატრონმა, რატომღაც შენობით მიმართა.

– Avec plaisir.**– მიუგო მელანიმ და დამიანის ფართოდ გახელილ ჩაწითლებულ თვალებს შეეფეთა.

– მელანი? ეს შენ ხარ ? რამდენი წელია არ შევხვედრილვართ...

– თექვსმეტი...

მელანიმ სტარბაქსში ორი ყავა იყიდა, დამიანს გვერდით მიუჯდა და ის ჭიქა გაუწოდა, რო-

* ეს შენი მხრიდან ძალიან კარგი ჟესტია! (თარგმანი ფრანგულიდან).

** სიამოვნებით. (თარგმანი ფრანგულიდან).

მელსაც ზედ მისი სახელის პირველი ასო ეწერა. გამომშვიდობებისას დამიანმა წაიღიღინა და უთხრა: აბა, შენ იცი, კიდევ ერთი თექვსმეტის შემდეგ, სადმე თუ გადამეყარე და ისევ მიცანი, მერე ყავაზე მე დაგპატიჟებ!..

მელანიმ თავი დაუქნია და გაუღიმა. რადგანაც შეეშინდა მის ფეხებს, ჩვეულებისამებრ ძველ უბანში არ წაეყვანათ, რაც შეეძლო სწრაფად დაბრუნდა სახლში.

დამოუკიდებელი ცხოვრება

ძალიან მალევე თავიანთი რაიონის სოციალურ სამსახურს მიმართა დახმარებისთვის. აღრიცხვაზე იმ დღესვე აიყვანეს, საბუთები გაუმზადეს და ორ კვირაში, შარლოტას უბანშივე, დროებითი სარგებლობისთვის პატარა ბინის გასაღები გადასცეს. საკუთარი ჭერის ქონა, თუნდაც ნაქირავების, მისი პირველი წარმატებული ნაბიჯი იყო სამშობლოში. ასოციაციამ „საზღვრებს გარეშე“ ორი გასაშლელი საწოლი, ქურა, სამზარეულოს კარადა, მაგიდა და სკამები აჩუქა. შარლოტამაც ბევრი საჭირო ნივთი უწილადა.

ასე დაიწყო მელანიმ დამოუკიდებელი ცხოვრება პატარა აიასთან ერთად.

მათ ცხოვრებაში, შემდგომ განვითარებული მოვლენები კადრებად ჩალაგდა მელანის ციფრულ ფოტო ალბომში:

„Aya en classe primair“ (აია დაწყებით კლასში),

„Une visite au Musée Alsacien“ (ვიზიტი ელზასურ მუზეუმში),

„Noël à Strasbourg“ (შობა სტრასბურგში),

„Les peintures d’Aya“ (აიას ნახატები),

„Cathédrale de Strasbourg“ (სტრასბურგის კათედრალი),

„Visiter grand-mère à Pâqu“ (სტუმრად ბებიასთან აღდგომის დღეებში),

„Photos envoyées à Chagla“ (ჩაღლას გამოგზავნილი ფოტოები),

„Premier jour au travail“ (პირველი დღე სამსახურში)…

დღეები უსწრაფესად მიდიოდნენ. ემირი, ისევ ყოველდღე რეკავდა და ვითომც არაფერი, ჩვეულებრივად აგრძელებდა მათთან ურთიერთობას. ერთხელ ბათუმიდანაც დარეკა და ვიდეო ზარით აჩვენა ახალგახსნილი ტექსტილის მაღაზია, რომელსაც მურადი უხელმძღვანელებდა. ყველა ეს ინფორმაცია მელანისთვის არაფრისმთქმელი და უინტერესო იყო. ის მიყვებოდა თავის ყოველდღიურობას, ზრდიდა აიას და ცდილობდა წარსულზე ბევრი არ ეფიქრა. ტაბუ ედო ელიასზე ფიქრსაც.

შაბათობით, ხანდახან დედამისს სპექტაკლში თუ არ ჰქონდა სათამაშო, მასთან სტუმრად მიდიოდნენ. შარლოტას რატომღაც არ უნდოდა აიას თეატრში წაყვანა, ამიტომ არც მელანი ესწრებოდა მის სპექტაკლებს.

გაზაფხულზე, რომ გამოთბა, სასეირნოდ ორანჟერიის პარკში მიდიოდნენ. აია ხატავდა, ის კი ან ჩანაწერებს აკეთებდა ან წიგნს კითხულობდა. ერთხელაც, თავისდა მოულოდნელად, საფრანგეთის იმიგრაციისა და ინტეგრაციის ოფისიდან ელექტრონული წერილი მიიღო. სამოქალაქო სწავლების ცენტრში, თურქული ენის თარჯიმნის პოსტს სთავაზობდნენ.

თანხმობის შემთხვევაში, პირველი სამუშაო დღისთვის კოლმარში უნდა წასულიყო. მელანი დასევდიანდა. კოლმარი ხომ ელიასის ქალაქი იყო. შემთხვევით რომ გადაყროდა, რა უნდა ეთქვა? კიდევ მოუსმენდა ელიასი? გაუგებდა? ან კი მას, მელანის კიდევ სურდა მისთვის რამის თქმა?

ბევრი არ უფიქრია, შემოთავაზებას დათანხმდა, კონტრაქტს ხელი მოაწერა და ხელმოწერილი დოკუმენტი მეილით უკანვე გადააგზავნა.

ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც ის და აია საფრანგეთში ჩამოვიდნენ, მან ბევრს გაუძლო. მარტომ შეძლო ფეხზე დადგომა. აგერ, სამსახურსაც იწყებდა. უეცრად მიხვდა თუ რატომ არ სურდა არავისთან ურთიერთობა. ემირი ხომ გამიზნულად რჩებოდა მათ ცხოვრებაში. ყოველდღე ეხმიანებოდა და ასეთი ქცევით, სრულად იკავებდა იმ თავისუფალ დროს, რომელიც მელანის თავისთვის უნდა დაეთმო. არავისთან არაფრის მოყოლა არ სურდა, რადგან ნებით თუ უნებლიეთ ემირი იყო ის ადამიანი, რომელიც მათი ყოველდღიურობის მოწმე და გამზიარებელი იყო. მელანიმ ელიასის წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნო. უფრო კი შერცხვა.

მელანი და ელიასი

მელანი, ჟორჟ ბერნანოსის ცენტრიდან შუადღის შესვენებისთვის შენობიდან გარეთ გამოვიდა. კოლმარში თბილოდა. სტრასბურგიდან დილის ექვს საათზე გამოსულს, ჯერ კიდევ არ ესაუზმა. შორს არ წასულა, იქვე მდებარე ღია კაფეში, კრუასანი და ყავა შეუკვეთა და ჩამოჯდა.

– ვინ იცის, იქნებ ელიასიც სადმე აქვე ახლოს არისო, – გაიფიქრა და თითქოს ერთიანად შეიგრძნო მის გარეშე განვლილი ცხოვრე-

ბის მთელი სიმძიმე. გულზე სევდის მარწუხები შემოეჭდო და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევდნენ. ახლა მას ელიასის ნახვა ესაჭიროებოდა. სულმთლად კანკალებდა, ფეხები გაეყინა, ხელის თითები გაუბუჟდა. მეტს ვეღარ გაუძლო და მობილურზე მისი ნომერი აკრიფა. …

ელიასი ხუთ წუთში მოვიდა. უზომოდ გამხდარი და მოტეხილი. მელანის აკანკალებულ ხელებს ფრთხილად შეეხო და გულზე მიიდო:

– Je suis content de revoir ton visage Mélanie, J'espère que tu vas bien…*

– Merci, Elyas, parfois la vie est dure.** – მელანიმ გაღიმება სცადა.

– Je sais, Mélanie, la vie est souvent dure et injuste, les moments de bonheur sont rares…*** – ელიასს თვალები ცრემლით აევსო.

_ Oui, Et toi, comment vas-tu?****

ელიასმა მტკივან ფეხზე დაიხედა და გაიღიმა:

– Pas trop mal … J'ai toujours la même vie tu sais, mon art , ma maison, mon chien… Là je suis content, le printemps arrive et les fleurs également…*****

მელანიმ მის კიდურს თვალი აარიდა და თბილად უთხრა:

– C'est bien, je suis contente pour toi… et ta mère va bien aussi?******

ელიასი მცირე ხნით გაჩუმდა, სახეზე უზომო ტკივილი გამოესახა და ლეას დაღუპვის ამბავი მოუყვა. მელანის სანუგეშო სიტყვები არ აღმოაჩნდა. ელიასის გამხდარ ხელებს თავისი ხელები ზევიდან დაადო და ოდნავ მოუჭირა.

ელიასმა ცრემლები შეიმშრალა:

– Tu me dis que la vie est dure, que t'arrive t'il Mélanie?*******

– Parfois, la vie est très difficile pour moi. Une vie dépourvue de moments heureux.******** – უპასუხა მელანიმ და წამოდგა.

– Je comprends Mélanie et cela me touche vraiment. Si tu veux me voir encore et que cela te fait du bien, j'en serai heureux. D'ailleurs, tu es toujours présente dans mon esprit et dans mon coeur…********

ერთმანეთს ძალიან თბილად გამოემშვიდობნენ, ელიასი იქვე დარჩა. მელანი სასწავლო ცენტრში შებრუნდა და თავისი პირველი სამუშაო დღე დაასრულა. ელიასთან შეხვედრამ მის მიმართ ძველი ნდობა ისევ განუახლა. გულიდან სიმძიმე გაუქრო და უჩვეულო სილაღე აგრძნობინა.

ემოციებისგან უზომოდ დაღლილს ერთი სული ჰქონდა სტრასბურგში დაბრუნებულიყო. აია შარლოტასთან ელოდებოდა.

ელიასი, კოლმარის უძველეს რკინიგზის სადგურის წინ გაჩერებულ მანქანაში იჯდა და სწრაფად მიმავალ მელანის გაჰყურებდა. მიუხედავად იმისა, რომ მისგან მუდამ ის მიდიოდა, ელიასი სულ მის ხელახალ გამოჩენას ელოდა. მელანისადმი სიყვარული არასდროს განელებია, იმას მნიშვნელობა არ ჰქონდა ის სულ მის გვერდით იქნებოდა თუ არა. ხანდახან ნახვაც კი ბევრ რამეს ნიშნავდა, ოღონდ მელანის მოენდომებინა. მასზე ფიქრით და ზრუნვის სურვილით სულდგმულობდა წლები. გონებაში თვალი გადაავლო იმდღევანდელ, მასთან ერთად გატარებულ წუთებს და ბედნიერად გაეღიმა. მართალია, მელანი საფრანგეთში დაბრუნებისთანავე არ დაუკავშირდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, ბოლოს ხომ მაინც მოძებნა. რატომღაც დეიდა ავას ნათქვამი მწარე სიტყვები გაახსენდა: „იცოდე, თუ მაგ გოგოს არ დაივიწყებ, ბოლოს სწორედაც რომ ეგ მოგიღებსო!"

თუნდაც ასე იყოს, მე თანახმა ვარ… – ჩაიჩურჩულა და უამრავი ვარსკვლავით გაბრწყინებულ ცას ახედა:

„… Odeur du temps brin de bruyère
Et souviens-toi que je t'attends"********

ემირი

მარტოდ დარჩენილი ემირის საქმეები თანდათან უკან-უკან მიდიოდა. თავიდან ვერ ხვდებოდა, რატომ მცირდებოდა მათი საერთო შემოსავალი და ფული სად ქრებოდა, ხოლო როდესაც ყველაფერი ნათელი გახდა, მაშინ უკვე გვიანი იყო.

მურადს ცუდად ესარგებლა მის სახელზე

* მიხარია შენი სახის ხილვა მელანი, იმედია კარგად ხარ…
** გმადლობთ, ელიას, ზოგჯერ ცხოვრება რთულია.
*** ვიცი, მელანი, ცხოვრება ხშირად მძიმე და უსამართლოა, ბედნიერების მომენტები იშვიათია.
**** კი, ასეა და შენ როგორ ხარ?
***** არც ისე ცუდად… ისევ იგივე ცხოვრება მაქვს, – იცი, ჩემი შემოქმედება, სახლი, ჩემი ძაღლი… ახლა ბედნიერი ვარ, თან გაზაფხული მოდის და ყვავილებიც.
****** კარგია, მიხარია შენთვის… დადედა შენი ცხომ კარგად. (თარგმანი ფრანგულიდან).
******* შენ მეუბნები, რომ ცხოვრება რთულია, რა ხდება შენს თავს, მელანი?
******** ხანდახან ცხოვრება ძალიან მიჭირს. ბედნიერი მომენტებისგან დაცლილი ცხოვრება.

******** მესმის მელანი და ეს მე გულს მტკენს. იცოდე, თუ კიდევ მოგინდება ჩემი ნახვა და ეს შენთვის კარგი იქნება, ძალიან გამიხარდება. გარდა ამისა, მინდა იცოდე, რომ შენ ყოველთვის ჩემს გონებასა და გულში ხარ… (თარგმანი ფრანგულიდან)
******** ,,დრო-ჟამს მანანის სურნელი რჩება
გახსოვდეს გელი მუდამ და მარად." – გიომ აპოლინერი, ალკოჰოლი, 1913 წ

გადაფორმებული ქონებით და თითქმის ყველაფერი პოკერში წაგებული ვალების დასაფარად დაეყადაღებინა. ეს ყველაფერი ემირმა მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც ერთ-ერთი მევალე პირდაპირ მას დაუკავშირდა და ძმის მოკვლით დაემუქრა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ემირმა, მურადი სასწრაფოდ ინგლისში გააგზავნა, ხოლო მისი ცოლ-შვილი დროებით ანკარაში, ჰანდანს შეაფარებინა. სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა თურქეთში.

რითაც კარგად ისარგებლა ქვეყნის პრეზიდენტმა და დაადანაშაულა ჯარისკაცები, რომლებიც მოძრაობა „ჰიზმეტთან“ იყვნენ დაკავშირებულნი, რომელიც თურქეთის მთავრობამ გამოაცხადა, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია სახელწოდებით „Feto“. თუმცა, მოძრაობის სულიერმა ლიდერმა და აშშ-ში გადასახლებულმა სასულიერო პირმა ფეთჰულაჰ გიულენმა, დაგმო გადატრიალების მცდელობა და უარყო რაიმე კავშირი მასთან, ხოლო საპასუხოდ დაადანაშაულა პრეზიდენტი, როგორც გადატრიალების შესაძლო დამკვეთი.

ასე იყო თუ ისე, დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. იჭერდნენ ყველას, ვისაც სულ ოდნავი შეხება მაინც ჰქონდა მოძრაობასთან ან მის იდეოლოგიასთან.

ანკარამ შეაჩერა „Bank Asya“-ს საქმიანობა და გაყინა ყველა ანგარიში. ემირმა თურქეთში თითქმის ყველაფერი დაკარგა. 18 ივლისს მან ლონდონში გაფრენა მოასწრო. იმავე დღეს ანკარიდან ლონდონისკენ გაფრინდნენ ჰანდანი და მურადის ცოლ-შვილიც...

19 ივლისს ემირის დაპატიმრების ორდერი გაიცა. მის მისამართზე მისულ პოლიციელებს ბინა ცარიელი დახვდათ.

აგვისტოს ბოლოს, ემირი ჩაღლასთან ერთად, ინგლისიდან საფრანგეთში ჩამოფრინდა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა...

დებორა

(ჩარჩო ფოტოს გარეშე)

კოვიდპანდემიის გამო La Comédie-Française-ის ადმინისტრაციამ მუშაობის ჩვეული სტილი შეცვალა. ახალი წესების მიხედვით მსახიობებს ონლაინ რეჟიმში უნდა წაეკითხათ პიესები. დებორას ემილ ზოლას „ქალთა ბედნიერებიდან“ გარკვეული მონაკვეთი უნდა მოემზადებინა. ღელავდა. დარწმუნებული არ იყო, რომ თეატრის ეს ექსპერიმენტი წარმატებით ჩაივლიდა.

მაყურებელთან პირდაპირი კონტაქტი მოენატრა, დარბაზიდან წამოსული ემოციების ფონზე თამაში. თუმცა, ახლა მეტი გზა არ ჰქონდა, წყალი მოსვა, ჩაახველა და დაიწყო:

„– ორშაბათს ხომ მოეწყობა ბაზრობა? – იკითხა ქალბატონმა მარტიმ.

– რასაკვირველია, – უპასუხა მურემ.

როცა ქალებს ებაასებოდა, იგი მსახიობივით იცვლიდა ხმას და ნაზად ლაპარაკობდა.“

დებორამ კითხვა შეწყვიტა. რატომღაც დღეს რეპეტიციას გულს ვერ უდებდა. ისევ წყალი მოსვა და ფიქრებში ჩაიძირა.

თავისი ცხოვრების ბოლო თანამგზავრი, – ბენჟამინი გაახსენდა. ბუტია და სუპერ ემოციური. მისი მოულოდნელი, ცინიკური გამოხტომები და ვითომ თბილი, დაყენებული მზერა, კარგა ხანი იყო, რაც გულს ურევდა. კოვიდპანდემიის გამო სახლში გამოკეტვა, პირველ რიგში, მისგან თავის დაღწევასაც ნიშნავდა.

უცბად უჰაერობამ შეაწუხა. წამოდგა. სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად ფანჯარასთან მივიდა. პატარაზე შეხსნა და უმალვე დახურა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოსდა ვირუსებით გაივსო ოთახი. ყელში სასწრაფოდ წყალბადის ზეჟანგით დასველებული ბამბა გამოისვა და შეშინებული ღამის სანათურთან ჩამოჯდა. დაღლილი მზერა ოქროსფრად მოვარაყებულ, მცირე ზომის ცარიელი ჩარჩოსკენ გაექცა. ჩარჩოში ჩაფენილ თეთრ ფურცელზე: Du und ich, ხოლო ზურგის მხარეს: მუმელის ტბა, ზეებახი, გერმანია ეწერა.

დებორას ჩაეცინა... სევდით, ბრაზით და მცირეოდენი სინანულით.

ზამთარი იყო მაშინ, თებერვლის დასაწყისი. სტრასბურგში გადაუღებლად წვიმდა, როგორც კი გერმანიის მხარეს გადავიდნენ, თოვლი შემოეგებათ. შავი ტყის პეიზაჟის ფონზე, გაყინული ტბის გარშემო ბევრი ისეირნეს. ინტერესით მოისმინეს ლეგენდები ტბის ფსკერზე მცხოვრები ქალთევზების შესახებ. ფოტოები გადაიღეს და ვიდრე საკმაოდ გათოშილები „Berghotel Mummelsee“ – რესტორანს შეაფარებდნენ თავს, საცხობში უგემრიელესი პური იყიდეს და სუვენირების მაღაზიაში შევიდნენ. სწორედ იქ შენიშნა ბლეიზმა ეს პატარა, ლამაზი ჩარჩო. უამრავი ერთობლივი ფოტოს მიუხედავად, რატომღაც ჩარჩო მაინც ცარიელი დარჩა. დებორა ბლეიზისგან ელოდა არჩევანის გაკეთებას. ბლეიზი კი ალბათ მისგან...

დებორა დაიღალა. ამდენი წლის შემდეგ, ქა-

ლური ენერგიის ნატამალიც აღარ შერჩა. რატომღაც სულ ეგონა, რომ ბლეიზის შემდეგ, ერთხელ მაინც, აუცილებლად შეხვდებოდა „თავის ადამიანს“, მასთან ერთად „იგიჟებდა“, თავისუფლად ლაპარაკს და გულის გადაშლას შეძლებდა. იპოვიდა ისეთ ადამიანს, რომელიც მის ნდობას არასოდეს გახდიდა სანანებლად. პირიქით, დღითი დღე დაარწმუნებდა, რომ ის ყველაზე საიმედო და ერთგული პიროვნება იქნებოდა მის ცხოვრებაში.

სიმპატიური და მომხიბვლელი ბლეიზის შემდეგ, გარეგნობას დიდად აღარ გამოჰკიდებია. მისთვის ადამიანში მთავარი გული იყო და ის, თუ რა ადგილი ეკავა მას ამ გულში. სიყვარულით აღარავინ შეყვარებია. მხოლოდ უფლებას აძლევდა სხვებს, რომ ის ყვარებოდათ. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ერთმანეთის მსგავსი წარუმატებელი ურთიერთობების ფონზე, მაინც ის მტკივნეული, ძლიერი სიყვარულით გაჯერებული დრო ახსენდებოდა ყველაზე ხშირად. ბლეიზის ნაჩუქარ ჩარჩოში, ვერასოდეს ჩასვა სხვისი ფოტო. არც ამ ნივთის გარეშე ყოფნა უნდოდა. ის მას იმ ბედნიერების ალბათობას ახსენებდა, რომელიც ორივეს დიდი სურვილის და ძალისხმევის მიუხედავად, მაინც ვერ მოიპოვეს. ბლეიზი ხშირად ენატრებოდა, მაგრამ ახალი გულისტკენების ეშინოდა. იცოდა მათ ურთიერთობაში არაფერი შეიცვლებოდა. სიყვარულის და სიძულვილის ბეწვის ხიდზე ივლიდნენ და ერთმანეთს გაანადგურებდნენ.

ფიქრებში ღრმად ჩაძირულს ჩაეძინა. ორმოებით სავსე მინდორი ესიზმრა, მიწისკენ გადაწოლილი ხე, მხოლოდ ერთ მხარეს გაყვავილებულიყო. იქვე, ორი ბრმა, ხელჯოხებით შეიარაღებული მოხუცი ქალები გასასვლელ გზას ეძებდნენ. დებორა მათთან მივიდა და უსაფრთხო ადგილზე გასვლაში დაეხმარა. მობრუნებულს ბლეიზი შემოხვდა. ისევ ისეთი ახალგაზრდა, როგორიც სულ ბოლოს ნახა. დებორას თავისი ასაკის შერცხვა, შეკრთა და თვალი აარიდა. ის იყო უნდა გასცლოდა, რომ ბლეიზმა ხელი ჩაჰკიდა:

– დებორა, რატომ არ მელაპარაკები, ასე ძნელია? – უცხო და ძალაგამოცლილი ხმა ჰქონდა ბლეიზს. სევდიანი თვალები ცისფრად და ბალახისფრად უელავდა. გამხდარი ხელები უკანკალებდა. მაჯაზე ძოწის სამაჯური ეკეთა. თვლებნაკლული და ფერდაკარგული.

დებორამ მკერდზე მუშტები დაუშინა და ატირდა:

– C’est dur parce que tu es quelqu’un que j’ai beaucoup aimé autrefois… Et ce fut mon dernier amour dans ce monde…*

ბლეიზი შებარბაცდა:

– Moi aussi je t’ai aimé comme jamais cela ne m’étais arrivé auparavant… Ça me fait du bien de savoir comment tu vas , tu sais … Et , Ça me manque beaucoup de ne plus entendre le son de ta voix Déborah…**

ბლეიზის ხმა თანდათან მინავლდა და გაქრა. დებორას შეაჟრჟოლა. მინდორში მარტოდმარტო დარჩენილიყო. ხელში ოქროსფერი ჩარჩო ეჭირა, საიდანაც მათი ერთობლივი ფოტო უყურებდა. ფოტო, რომელიც არასოდეს გადაუღიათ. …

დასასრული

შარლოტა წლების განმავლობაში ცხოვრობდა წარსულის ტკბილ-მწარე მოგონებებით. ისე, რომ ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა. იმ წარსულით რომლის დასავიწყებლადაც ძალიან ახალგაზრდა გაიქცა ნორმანდიაში. მაშინ იქ, ჟივერნიში, ოსკარ-კლოდ მონეს სახლ-მუზეუმის კოხტა, მწვანედ შეღებილ კიბის საფეხურებზე უკანასკნელად ჩამომჯდარს, სულ ტყუილად ჰგონებია რომ საბოლოოდ მოიშუშა ნატკენი გული და ყველაფერი დაივიწყა.

მაგრამ, დათრგუნული გრძნობებით გაგრძელებულმა სიცოცხლემ ბედნიერება ვერ მოუტანა. რამდენი ნაბიჯიც არ გადადგა, ყველა მცდარი და ტკივილის მომტანი აღმოჩნდა. ტკივილის მომტანი მისთვისაც და სხვისთვისაც. გაუტანლობისგან გათანგულს სადღაც ხომ უნდა ამოესუნთქა. ამიტომაც გარბოდა იქ, სადაც ყველაზე ლამაზი და ძვირფასი დღეები ეგულებოდა. და იქაც, ტკივილი ხვდებოდა. ტკივილი და სინანული უარყოფილი სიყვარულის გამო.

ბავშვობაში ერთი სული ჰქონდა გაზრდილიყო და სახლიდან ძალიან, ძალიან შორს წასულიყო. უდედოდ გაზრდილს, უფროსი დების გაუტანლობა და ჟანდარმი მამის ხისტი ხასიათის ატანა ხშირად უჭირდა. მაგრამ ამასთან ერთად იყო პარიზის დრამატული ხელოვნების ეროვნულ კონსერვატორიაში სწავლის ლამაზი წლებიც. მერე კი დიდი სიყვარული, რომელიც მიუხედავად დრამატული დასასრულისა, მთელი ცხოვრება თან გაჰყვა და რომელიც სხვა ვერცერთმა ურთიერთობამ ვერ გააქრო. ყველა პაემანზე ჟან-ბატისტის ნაჩუქარი საყურეებით

* ძნელია, რადგან შენ ხარ ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარდა... და ამ ქვეყნად, ეს იყო ჩემი ბოლო სიყვარული...

** მეც მიყვარხარდი, ისე როგორც არასდროს... შენ ეს იცი, თუ როგორ გამიხარდება შენი ამბის გაგება და მე ძალიან მენატრება შენი ხმის გაგონება, დებორა...

მიდიოდა. ვერცხლის უნაზეს ნაკეთობაში ცრემლის ფორმის გიშრები და მრგვალი იასპები იყო ჩასმული. მისთვის ძვირფასი სამკაული მუდმივ კავშირს აგრძნობინებდა თავის პირველ სიყვარულთან, იმ შარლოტასთან, რომელიც აღსავსე იყო იმედებით და სიცოცხლის სიყვარულით.

მერე და მერე, ის წარსულიც გაუხუნდა და როდესაც მხოლოდ სევდიანი, უსახური აწმყოს ანაბარა დარჩა, მაშინ მიხვდა რომ მისთვის ყველაფერი დასრულდა. წარსულთან ერთად მომავალიც დაკარგა. სულში გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო და ყველასგან გაირიყა. მარტოდ დარჩენილი ეცადა აღედგინა წონასწორობა და დაკარგული სიამაყე. ხანდახან გული უჩვილდებოდა, სხეულის შიგნიდან წამოსული ტკივილი ყელში ებჯინებოდა და თვალებს მწარე ცრემლებით უვსებდა.

– ვინ ხარ? ვისთვის ხარ? შენთვის ვინ არის?.. – არც ერთ კითხვაზე არ ჰქონდა პასუხი.

კოვიდპანდემიის გამო სახლში გამოკეტილი, სიბნელეში ფანჯარასთან საათობით ჩამომჯდარი გაშლილ ხელისგულებს ნერვიულად ისვამდა ცრემლებით დასველებულ სახეზე და გამოსავლს ვეღარსად ხედავდა. არც არავინ და აღარც აღარაფერი უნდოდა. ჟან-ბატისტის გარდაცვალების ამბავიც ტელევიზიიდან შეიტყო. ეს უკვე დასასრული იყო, დედამიწის ზურგზე, აღარსად ეგულებოდა თავისი ადამიანი.

პანდემიამდე კარგა ხნით ადრე, ლუიმ პაპისეული სახლი გაყიდა და საცხოვრებლად პარიზში გადავიდა.

– ეგ ჩემი ქალაქიაო, – ჩურჩულებდა შარლოტა, როდესაც შვილის გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო, – სადღაც იქნებ კიდევ არისო ჩემი ნაფეხურები...

ლუი, ხანდახან ტელეფონით ეხმიანებოდა პარიზიდან, საუბრის დასასრულს მისი ნათქვამი: Je t'aime maman – ხშირად საწინააღმდეგოს ეუბნებოდა.

მას და მელანის ისევ არ ესმოდათ ერთმანეთის.

...და განა ვინმეს, ბოლომდე ესმის სხვისი ამქვეყნად?!

ადამიანებს ხომ უფრო მეტად საკუთარი ტკივილები გვტანჯავს და გვაწამებს...

შარლოტა და ეტიენი

შარლოტამ ფოსტის ყუთი გასაღებების ასხმულადან ყველაზე პატარა გასაღებით გააღო. კურიერს, ინტერნეტსაიტიდან გამოწერილი თბილი შალი უკვე მოეტანა. შეკვრის წინ კონვერტი შენიშნა. უმალ აიღო. ზედ მხოლოდ მისი მისამართი ეწერა. გამომგზავნს კონვერტი სკოჩითაც დაეწებებინა. ადმინისტრაციულ წერილებს, შარლოტა ყოველთვის უხეშად ხსნიდა. ამჯერად, წებოვანი ლენტი ფრთხილად ააძრო და ვიდრე გზავნილს ნახავდა, ერთხანს შეყოვნდა. კონვერტი არ გაიხსნა. მაშინ მან საჩვენებელი თითი, ოდნავ შეხსნილ კუთხეში ფრთხილად შეყო და ბოლომდე გაჰყვა. შიგნიდან ღია ბარათი და ცარიელი პატარა ფურცელი ამოიღო. ბარათს წითელი, მოგრძო ფილებით გადახურული ერთსართულიანი, პატარა სახლი და წითელფოთლებიანი, შენობისკენ გადახრილი ეული ხე ეხატა. ცა მათ ზემოთ მოცისფრო, მოვარდისფრო, მოყვითლო ფერებში ბრწყინავდა. სახლის გარშემო ყვავილნარი დაეხატა, მოშორებით კი გამწვანებული გორა მოჩანდა. შარლოტა უცნაურად აღელდა. ბარათი ამოატრიალა. შავი კალმით და ოდნავ გაკრული ხელით დაწერილი ყოველი სიტყვა დაფარული ღელვით წაიკითხა:

„Bonjour Charlotte, Un mot pour te dire que je pense à toi très souvent. Il m'est impossible de t'oublier. Je serai heureux d'avoir de tes nouvelles car tu es pour toujours dans mon cœur. Réponds moi s'il te plaît. Je t'embrasse - Étienne"...*

ეტიენს, თავისი მობილურის ნომერი და სახლის მისამართი, იქვე, თავისი სახელის ქვეშ მიეწერა.

– მახსოვს ეტიენ... – თავისთვის ჩაიჩურჩულა შარლოტამ და თბილი შარფით და ეტიენის ბარათით ხელში, აფორიაქებული აუყვა კიბის საფეხურებს.

* გამარჯობა შარლოტა, ერთი სიტყვით მინდა გითხრა, რომ შენზე ხშირად ვფიქრობ. შენი დავიწყება შეუძლებელია. მოხარული ვიქნები თუ შენგან რამეს შევიტყობ, რადგანაც შენ სამუდამოდ ჩემს გულში ხარ. მიპასუხე, გთხოვ. ეტიენი. (თარგმანი ფრანგულიდან).

თინათინ თელაველი

მაყრიხლებს შენი მთა–ველი,
ლაღი სიტყვრფით მზედ ელავ,
ხარ: ჩაუქრობი სანთელი,
ვერ გაგიწვლი სხვაში ჩემს თელავს...

მეფის სახელი, დიადი,
გფენს მზენარსულის დიდებას,
და ანმყოს, – მზისებრ ხვიადი,
მომავლის რწმენით ბრწყინდება...

თ. თელაველი

სიმღერა თელავზე...

თინათინ თელაველი

ცივ-გომბორის მთა გშვენის,
ხიბლით სავსე ქალაქო,
მარად მშვენი, – მაგ შენი,
სილამაზით არაკობ...

მზე გაბრწყინებს შვიდფერი,
ცისარტყელის ფერებით,
გლოცავ, გულით გიმღერი,
ალერსით და ფერებით...

ქონგურებით იმშვენებ
ძველი ბურჯის გალავანს,
მზიან წარსულს იფერებ,
სიდიადეს არ მალავ...

ერეკლეს ხმლით ამაყობ,
და... ლამაზი მთა-ბარით,
სიცოცხლის მზით ვარაყობ, –
ცხრაასი წლის ჭადარით...

ნადიკვარი გალაღებს, –
ვერ იქნები მდუმარი,
განდობს გულის გასაღებს –
მასპინძელიც, სტუმარიც...

ალაზნის ხმით დამტკბარი,
ქრიან, აქ, სხვა სიონი,
სილამაზით – ზღაპარი,
გამკობს კავკასიონი...

იაგუნდიც შენა ხარ,
ჩემი მზეც და ლალებიც,
მწამხარ უფლის ვენახად,
გეტრფი, გენაცვალები...

თელავი არის ჩემი მზე

თელავი არის ჩემი მზე... და... ჩემი თავდავიწყება,
ცისკრის ყოველი ნათება, ფერადობს, ზღაპრად იწყება,
სხივმჩენი ზეცა ელვარებს, შუქ-ფერთა გამით მძივდება,
ამ, სიყვარულის ქალაქში ტრფობის მზე არ რით ბინდდება...

ერეკლე მეფის სახელით დის სიამაყე, დიდება,
მომავლის რწმენა, იმედი მზის შარავანდად ინთება,
ხან, უძიროა ლაჟვარდი, ხან, კი, ფერს იცვლის, ღვინდება,
აქ, სიცოცხლეა ნეტარი და... უკვდავებად ბრწყინდება...

თელავს...

წარსულიც მიყვარს შენი,
აწმყოც მალაღებს, ახლა,
მომავლის შუქის მჩენი,
იმედის სხივად მახლავს...

თელავს!..

მთები, თოვლით მოსირმული,
მზის სხივებით ბრწყინავს, ელავს, –
და... იხუტებს სიყვარულით,
ერეკლეს ხმლით ნაკურთხ თელავს...

წარსულ დღეთა სიდიადით,
ის, ხომ, დღესაც, ხიბლავს ყველას,
ფიქრებს ანდობს გულზვიადი,
ლამაზ, ფერად ცისარტყელას...

ჩვენს ბრძენ მეფეს, პატარა კახს,
სიტყვა ხმლით და საქმით უთქვამს,
და... შესწირა ქართულ მიწას:
ფიქრიც, სულიც, გულიც, სუნთქვაც...

თელავს!...

თელავო!!! მიყვარს: ლაღი მტრედები,
თავს ევლებიან შენს ზეცას როცა,
სიტურფით მშვენი, უფრო მშვენდები,
და... სიყვარულით გლოცავ და გლოცავ...

მე, შენს სიყვარულს გულით ვატარებ,
ეს, სიყვარული, სიცოცხლით მანთებს,
ვუმღერ შენს ზეცას, ლაჟვარდს და დარებს,
ვუმღერ შენს წალკოტს, ამ მზეს და ამ მთებს.

და... თავს იღბლიან მგოსანს ვადარებ,
რადგან, მხვდა წილად, ვჭვრეტდე შენს მთა-ბარს,
ჩვენს გულებს უხვი მზით რომ ახარებ,
მსურს, გიძღვნა ხოტბა, სამოთხის სადარს...

სიმღერა თელავზე...

გვირგვინს ილამაზებ ცივის მთიდან,
მზე გაბრწყინებს, სხივით ელავო,
ვეტრფი მზის ამოსვლას ნადიკვრიდან,
შენს მზეს, შენს სიყვარულს, თელავო!!!

მისამღერი:
შენით მზეობს, ჩემთვის, საქართველო,
შენით მზეობს ფიქრი ყველაო,
ჩემო საფიცარო, სანატრელო,
ჩემო საამაყო, თელავო...

მეფის სახელი რომ მზედ დაგყვება,
მილხინს, სიამაყით ვღელავო,
მინდა გალაღებდეს სვეც და შვებაც,
იმზეგრძელე, ჩემო თელავო...

მისამღერი:
შენით მზეობს ჩემთვის საქართველო,
შენით მზეობს ფიქრი ყველაო,
ჩემო საფიცარო, სანატრელო,
ჩემო საამაყო, თელავო!!!

სიმღერა თელავზე

ამ, სიყვარულით ძგერს გული,
ამ, სიყვარულით ხარობს მზეც,
ამ, გულს შენ გიძღვნი ჩემო თელავო!..

მაგ, სილამაზით ქებული,
მაგ, სილამაზით თვალს ალხენ,
მაგ, სილამაზის მზით, რომ ელავო...

მისამღერი: თუ, ოდეს, დაგჭირდეს სოცოცხლე ჩემი,
თუ, ოდეს, ეს გული დაგჭირდა,
გჯეროდეს, ჩემთვის ხარ სიცოცხლის მჩენი,
გჯეროდეს, მზე, შენთვის მწამს, მინდა...

შენი უკვდავი მზის, მთების,
შენი მეხოტბე ვიქნები
შენი მზით ვხარობ ჩემო თელავო!..

შენს ცისკარს გულის მზით ვხვდები,
შენს ტრფობას ველტვი, ვინთები,
შენს მომავალზე ფიქრით ვღელავო...

მისამღერი: თუ, ოდეს, დაგჭირდეს სოცოცხლე ჩემი,
თუ, ოდეს, ეს გული დაგჭირდა,
გჯეროდეს, ჩემთვის ხარ სიცოცხლის მჩენი,
გჯეროდეს, მზე, შენთვის მწამს, მინდა...

თელავს...

ტრფობას, მაგ, სიტურფის ფერთა ხიბლით,
ვერ-რით შეველევი, ვერა,
გულში სიამეს მგვრის, ნეტარ მივლის,
მეფის ციხე-ბურჯთა მზერა...

საამაყო წარსულს, შენ, მზედ ითვლი...
ვერვინ დაგაჩოქა ჯერაც,
ღმერთმა, სულ, გიბრწყინოს მზეც და ხიბლიც
შენი უკვდავების მჯერა...

თელავს!...

მზის ამოსვლის საოცრებას
ნადიკვრიდან ვუცქერი,
მიფერადებს ლაღ ოცნებას –
ტრფობა, შენი, უცვლელი...

სხივი ქარგავს, მაგ, მთა-ველებს,
ედემს, ზღაპრის სადარის,
გამკობს, ფიქრის ზღვას აღელვებს:
ალაზანიც, ჭადარიც...

ტყის სიტურფეც, – მთათა, მშვენი,
გეტრფის, გეალერსება,
და... ვით შეძლოს ქება შენი,
ამ, პატარა ლექსებმა?..

P.S.
გვირგვინს გადგამს, დიადს, მზით მჩენს,
გმირი მეფის სახელი...
საქართველოს გადაარჩენს
მისებრ, ბრძენი ქართველი...

თელავს!...

თელავია – ჩემი მზე, სიყვარულის ქალაქი,
მუდამ, მწველი – ხიბლით და... სილამაზის ბარაქით,
მატიანით ჭარმაგი, – და... ჭაბუკი მარადის,
მზით, სიცოცხლის ნექტარით, უკვდავობის არაკით.

თელავს!...

აქ, ზეიმობს სიცოცხლე, – სიყვარულით ივსება,
მომავლის მზე, – იმედით, რწმენით, სხივით ინთება,
აქ, ზეიმობს სიკეთე, აქ, ზეიმობს ღირსება,
აქ, უძირო ლაჟვარდი – სხივ-ალმასით ირთვება...

თელავს!...

პატარძალივით მორთულა, – ჩემი პატარა თელავი,
დიდი წარსულით ამაყობს, ზესიყვარულის მრთველავი...
ერეკლეს ბურჯის ქონგურებს, მზე სიდიადით დანათის,
თელავი, მუდამ იბრწყინებს, უბადლო ხიბლით, – თვალმნათით...

თელავს...

მე, ისე მიყვარს – ჩემი თელავი,
რომ, ამ, სიყვარულს საზღვარი არ აქვს...
ვერვის დავუთმობ, ვერ-რით ვერავის,
ერეკლე მეფის სატახტო ქალაქს...

თელავს!...

რარიგ გაცოცხლებს, გალამაზებს ალაზნის ველი,
ოქროთ ნაქარგი, – ნეტარი მზით, სიტურფით მწველი...
ალაზნის ხმა, – ხან, მოღუღუნე, ხან, მჭექით მჩენი,
მთებით ნახატო, საოცრებავ, მონა ვარ – შენი...

თელავს!...

ცივ-გომბორის მთის კალთებზე,
მარგალიტად, სხივად ელავ,
მეფის სახელით ნაქებს, – მზე, –
დიდებას გფენს ზღაპარ თელავს...

გამკობს ველი ალაზნისა,
ნადიკვარი და ჭადარი,
ასე, ტურფა ქალაქი – სხვა,
მჯერა, ქვეყნად არსად არი...

მომავლის მზე სხივს გფენს, როცა –
ხარობს შენი ლაღი მხარე,
გეფერები, გულით გლოცავ,
გაბრწყინდი და გაიხარე!!!

ჩემო თელავო!!!

თელავო!!! შენ ხარ მარადი, მზესიყვარულით მშვენება,
შენ ხარ: უძირო ხიბლის ზღვა, ღმერთს, ალბათ, ასე ენება,
როს, მომხიბვლელი შენი ცა, ცისკრისას იწყებს თენებას,
ხოტბა მოგიძღვნა, გეფერო, შეგაქო მომეც, მე, ნება!!!

თელავია, – მარადისი... სიყვარულის ქალაქი...

მთა – ზურმუხტით მოხატულა, –
ყველა მხრიდან, თელავი,
ხიბლის ზღვაში მონათლულა,
მტერთა მსვრელი, მცელავი...

დროის რაშებს მიაგელვებს,
აწმყოს ანთებს წარსულით,
მომავლის მზით ფიქრს აღელვებს, –
სილამაზით გზა – სრულით...

თქვით, რა ბრწყინავს დარად მისი?! —
გულთა მზეთა ბარაქით?!.
თელავია – მარადისი, –
სიყვარულის ქალაქი...

ჩემო თელავო!!!

მთებით მორთულ, ზღაპარ თელავს, გიმზერ, გიმღერ, ვხარობ, ვტკბები...
გვირგვინს გადგამს, გალამაზებს, ეს, ლამაზი, მწვანე მთები,
მზე თელავო!.. ამბავს ჰყვები, მატიანის უხვი წლების,
მე, ცისკრისას, ყოველ დილას, გლოცავ, გეტრფი, რწმენით გხვდები...

თელავს!..

წლებს სიყვარულით მოვლეწავ,
თუმც, მახელებენ ნისლები,
მიყვარხარ, გლოცავ ყოველ წამს,
შენი მზით ვხარობ, ვივსები...

P.S.
შენი ტრფობით არ ვიღლები,
მზესიყვარულით ვინთები,
ლექსით გადავწვა ბინდები,
ამ გულს ზღვარაკად გპირდები...

გიული ჩიხიაშვილი

თვალს ხიბლავს: ფერთა
სიუხვე, – ირგვლივ,
მაღლით, ფრთოსნების
სილაღე, – ცაში,
შირაზის ვარდის
სადარი ქალი,
საამო თვალის,
მოდის ქუჩაში.

გ. ჩიხიაშვილი

დედულეთი

არავინ, არ მწამს — უსახო,
არც, არაფერი — უფერო,
მიყვარხარ შენ, როგორიც ხარ, –
საქებარი და საფერო.

შენ, ჩემო, თბილო მამულო,
ნათელო, ტაძრებიანო,
გაუხუნარო, ედემო,
ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზღვიანო.

ქინძმარაულის მადლითა
სავსევ, – ქვევრ — მარანიანო,
ველებო, ალაზნიანო,
ხვავიან — ბარაქიანო.

შრომაში — დაუზარელო, –
ერო — ბრძენო და ჭკვიანო,
მამა-პაპათა საძვალევ,
მდუმარევ, თვალცრემლიანო.

დაგბედებოდეს, მარადის, –
სიკეთე, სიბრძნით სვიანო,
მრავალჟამიერ, იმრავლე —
ერო, გამრჯევ და ჭკვიანო.

ჯვარცმა

იდგა ყიჟინა — უმეცართ, ბრბოთა, –
სიცოცხლესა და სიკვდილსა ზედა,
დაჭრილი სულის წვეთავდა სისხლი,
სისხლის ცრემლებით ტიროდა დედა.

განა ყიჟინა? — ლოცვა, ვედრება,
მადლია — სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე,
იყო დიადი სულის ტკივილი,
გაკრული იყო, როდესაც ჯვარზე.

გიული ჩიხიაშვილი

როცა...

ქრება ხალისი, როცა ღამდება,
ქარი აწყდება დარაბებს, როცა,
და... ისადგურებს მოწყენა გულში
აღარ თენდება დროულად, როცა...

დრო წასულია, გაუსაძლისი,
აღარ ახსოვხარ არავის, როცა...
და... უსასრულოდ, გრძელდება ღამე,
გული კი, იმ, ძველ სიყვარულს ლოცავს...

თვალს ხიბლავს...

თვალს ხიბლავს: ფერთა —
სიუხვე, – ირგვლივ,
მაღლით, ფრთოსნების
სილაღე, – ცაში,
შირაზის ვარდის
სადარი ქალი,
საამო თვალის,
მოდის ქუჩაში.
არ გაიკარებს —
ბინდისფერ ფიქრებს,
ბრიალებს; მზე და...
ვარდით, – მაისი...
და... ისე მშვენის
დღეს ხალხის ქუჩას,
როგორც, – მწვერვალებს,
ედელვაისი!

ხათუნა გოზალიშვილი

თვალებში მომავლის სხივი უდგათ, იმედიანად და თავ–დაჯერებულად გამოიყურებიან – წინ ხომ მთელი ცხოვრება უდევთ...

ასე ეგონათ, როცა ამ სურათებს იღებდნენ...

ნეტავ კიდევ მცნობენ? – შემეპარება ეჭვი. მე ხომ წლე–ბი განვლე, შევიცვალე. ახლა მათზე გაცილებით დიდი ვარ, უკვე დედად შევეფერები, ისინი კი მარად ახალგაზრდებად დარჩნენ... თუმცა ისე გულიანად, ისე თბილად მიღიმიან, ეჭვი უმალ მიქრება...

რას ვფიქრობ?...

სააღდგომო ჩანახატი

ჩემი მშობლების საფლავებთან ახლოს, თითქოს განგებ, ჩემს სანაცნობოს მოუყრია თავი. ორი ჩემი კლასელია, ერთი მეზობელი, ორიც სკოლელი... ჰოდა, შევჩერდები ხოლმე ამ საფლავებს შორის, ხელს ვუქნევ და სათითაოდ ვესალმები: გამარ-ჯობა თემო, გამარჯობა დათო, გამარჯობა გელა, გამარჯობა გია, გამარჯობა ზურა... როგორ ხართ? მჯერა, უხარიათ ჩემი დანახვა და უსაშველოდ თბი-ლად მიღიმიან ძალიან ლამაზი, 18-20 წლის ბიჭები. თვალებში მომავლის სხივი უდგათ, იმედიანად და თავდაჯერებულად გამოიყურებიან – წინ ხომ მთე-ლი ცხოვრება უდევთ...

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ხათუნა გოზალიშვილი

ასე ეგონათ, როცა ამ სურათებს იღებდნენ...

ნეტავ კიდევ მცნობენ? – შემეპარება ეჭვი. მე ხომ წლები განვლე, შევიცვალე. ახლა მათზე გაც-ილებით დიდი ვარ, უკვე დედად შევეფერები, ისი-ნი კი მარად ახალგაზრდებად დარჩნენ... თუმცა ისე გულიანად, ისე თბილად მიღიმიან, ეჭვი უმალ მიქრება...

ჰოდა, ასე, საფლავებს შუა ჩამდგარი ვუყვე-ბი ჩემს ამბებს, ხან ერთისკენ შევტრიალდები, ხან მეორისკენ, ჩვენი ბავშვობის ოინებსაც ვიგონებ და ვიცინით... მერე მახსენდება, რომ ისინი კვლავაც ბავშვები არიან, იმ ლამაზ ასაკში ჩარჩენილები. როცა სჯეროდათ, რომ მთებს გადააბრუნებდნენ... გული ტკივილით მეკუმშება, მაგრამ არ ვიმჩნევ. უპეზე მომდგარ ცრემლსაც და ყელში გაჩხერილ ბურთ-საც უკან ვაბრუნებ და სათითაოდ ვემშვიდობები: ნახვამდის თემო, ნახვამდის დათო, ნახვამდის გელა, ნახვამდის გია, ნახვამდის ზურა... შეხვედრამდე...

ნეტავ როგორი კაცები დადგებოდნენ? რა ვიცი, კარგები კი იყვნენ და...

მანანა
შიოშვილი

ნეტავ თუ ვჭირდები ვინმეს,
შევუშრო ცრემლები, დარდის,
ნეტავ თუ მეძახის ვინმე,
გავხვიო იმედის ალში,
ნეტავ თუ ოცნებობს ვინმე,
ვაჩუქო სიტყვები, ლაღი,
ნეტავ თუ მომელის ვინმე
თავისი ფიქრების ნავში;

მ. შიოშვილი

მე ქართული მიწის ღვიძლი შვილი ვარ

მე ქართული მიწის ღვიძლი შვილი ვარ,
ვაზის რტო ვარ, სექტემბრულად გავსილი,
ხან მუხა ვარ, ამოზრდილი, მიწიდან,
ხან — ყვავილი, ციცაბოზე გაზრდილი!
ხან წყარო ვარ, ცივი მთების შვილი და
ხანაც ღვინო — მარნის ჭურში ჩაღვრილი,
ვნაღვლიანობ — შემოდგომის ბინდი ვარ,
თუ ვლხინობ და ირემი ვარ, ლაღი მთის!
მე ქართული მიწის ღვიძლი შვილი ვარ!...

ამედევნება სიყვარულად „დილის საარი"!...

ამედევნება სიყვარულად „დილის საარი",
როს გავუყვები ერეკლეს აღმართს,
თუ გული გულობს,
გზები რა არის?
რა ზღვამ დაგვძლიოს,
რა ცამ და რა მთამ?!...
ამედევნება სიყვარულად „დილის საარი",
როს მივაშურებ ერეკლეს
აღმართს,
წლები რა არის, წლები რა არის,
თუ, სიყვარულის, ვიმარჯვებთ ქარგას?!...
ამედევნება სიყვარულად „დილის საარი",
ოდეს გულისთქმას გავანდობ ჭადარს;
ის მზე აქ არის, ის მზე აქ არის,
ფესვებს რომ უთბობს ერეკლეს ქალაქს!
ამედევნება სიყვარულად „დილის საარი",
მზის ათინათით სული გამთბარა,
ქვეყნად სად არის, ქვეყნად სად არის,
ღვთის მადლი წვიმდეს ციურ მანანად!
ამედევნება,
ამედევნება სიყვარულად
„დილის საარი"!...

საღამოს ბინდის ფიქრები

ნეტავ თუ ვჭირდები ვინმეს,
შევუშრო ცრემლები, დარდის,
ნეტავ თუ მეძახის ვინმე,
გავხვიო იმედის ალში,...
ნეტავ თუ ოცნებობს ვინმე,
ვაჩუქო სიტყვები, ლაღი,
ნეტავ თუ მომელის ვინმე
თავისი ფიქრების ნავში;...
...ან იქნებ დღეს უმძიმს ვინმეს —
ზიდოს სიმარტოვის ჯვარი,
ან იქნებ იღლება ვინმე
სიმართლის ბრძოლების ქარში...
იქნებ, საარსებოდ, ვინმეს
მხოლოდ გაახარებს ბწკარი;
...ან თუ ვერ გავეცი სითბო,
სხვა რომ იხარებდა წამით...
...ან იქნებ ვიძინებ მშვიდად,
სხვა იტანჯებოდეს დარდით,
მარტოს გამითენდეს მზისფრად,
ვინმე დაიღველფოს ავდრით...
...ან იქნებ მცნებები, ღვთისა,
ვინმემ დაივიწყოს ჯავრით...
...ან იქნებ მოსულა ჟამი
და მე დავუკეტე კარი...
სულს და გულს, ერთმანეთისას,
ობლობის, გავუნელოთ დარდი.

თელავქალაქო

აქ დავიბადე,
აქ გათალეს ჩემი აკვანი,
აქ გავიზარდე,
აქ მეგულვის მთელი სამყარო,
აქ მიხარია,
აქ ვამაყობ ქართველდედობით,
აქ ვიწრთობი და
აქ ვარწყულებ ლექსის საბადოს!
აქ ყოველ დილით
ჩემს ბავშვობას ვერუდუნები,
აქ ჩემს გონებას
კვებავს წარსულ ფიქრთა სალარო,
აქ კვლავ, ვით უწინ,
საამაყოდ ელვარებს სული,
სამარადისოდ მემზეგრძელე,
თელავქალაქო!

დილის ბინდის ფიქრები

შემოათენდა ცაზე,
ფიქრი აღვარა ცარგვალს,
სად ეჩქარება ასე
ჩემი ნუგეშის ვარსკვლავს?...
ცას სწყდება ელვა, ვერცხლის,
დღე აფერადებს აღმართს,
სად ქრება, ვინ მოელის
ჩემი ნუგეშის ვარსკვლავს?...
თვალები კრთიან მზერით,
მზე ბინდის ბრწყინვას მალავს,
გავცქერი, სასოებით,
ჩემი ნუგეშის ვარსკვლავს.

თელავი

მთაზე — თოვლი,
ბარში ოქროს ტევრია!!!
სიყვარული ოდეს
თოვლში მწვევია!!!
შემიყვარდი
და შენ მინდა შეგაქო,
თოვლისფერად მოქათქათე
თელავო!
დამათენდა ქართულ
სიზმართღამეში,
დღეს მიღამებს
ტრფობის ალი, მგზნებარე,
თუ ვიცოცხლებ,
ლექსის სინარნარეში
და ულექსოდ
განა ვინმეს ვენახე?!
მთაზე – თოვლი,
ბარში – ოქროს ტევრია!!!
სიყვარული გულის სუნთქვად მწვევია!!!

თელავის დილა

ისე ლამაზად თენდება
თითქოს
თელავში ღმერთი ახელდეს თვალებს!
სხვაგან რა არის ჭადრის სადარი?...
აბორგებული
სუნთქვით თვლემს
ღამე!...

თელავში,
ღმერთის ფერებით — თეთრით,
იღვიძებს დილა,
ილევა ღამე!...
ისე ლამაზად თენდება
თითქოს
თელავში ღმერთი ახელდეს თვალებს!

თელავი თავად პოემაა

ღვთის საკმეველი დასალბუნობს
ზუზუმბოს რტოებს,
ღვინობისთვეში დახვევია თავბრუ
ნაძვის მთებს;
ხვალის ფიქრებთან შერკინება
თუ განმაცვიფრებს,
რაღას ვინატრებ, რითიც ვსუნთქავ,
ალბათ, ამის მეტს!
არ ვეძებ რითმებს ამ ქალაქში,
რითმის ემბაზში,
თელავი თავად პოემაა,
სულს განადიდებს,
არც სიყვარული გენატრება,
არც უკვდავება,
შეყვარებულად იბადები,
ლექსად გაზვირთებს!
აქ ცივი მთებიც სანატრელი,
მშვენიერია,
სადაც მზის ფერი,
ჩემი გულის ფეთქვის ფერია!

ნაწვიმარი ღამე

ნაწვიმარ ქუჩაზე, ხარბად,
სუნთქვა — სურნელის, ცაცხვის;
ნადიკვრის
ანთრაკი მთვარე,
როკვა —
მსუბუქი ქარის;
ცივიდან, შემკობილ ლანდად,
ჟღერა —
უჯარმის ზარის,
აგვისტოს სადარად რწევა
მოზღვისფრო ფიქრთა ნავის;
ალაზნის
კამკამა წყალი,
წამწამს კიდული ცვარი,
ვარსკვლავთა ზღაპარი, ხვამლი —
დაუდეგარი ღამის;
მთაკავკასიონის შუბლი,
გადამოსილი, მკრთალი,
შუქით, ვერცხლისფერი ცის და
ელვით — მზისფერი ხვალის.



ნიკო ფიროსმანი. კახეთის მატარებელი

კახაბერ პავლიაშვილი

– აჰა, ესეც ასეე! ხომ გაიკარი ჯარიმა, არც ახლა დანუ-ნარდები? – დაჯდა ისევ თავის სკამზე თამადა, – ვაგრძელებ სადღეგრძელოსა...

– მოიცა... მოიცა, – ახლა შალიკო ნამოდგა ფეხზე, დოქი აიღო და ზალიკოს ჭიქა ბოლომდე შეუვსო ღვინით, – ეხლა შენ დალიე ჯარიმა!

– რათა კაცო, მე რაღაში მაჯარიმებ? – გაუკვირდა თამადას.

– რაში? რაში და ერთი ნევრი გაკვარ სუფრაზე და ჩამთვის ვერ მოგივლია, ამდენს მალაპარაკებ. ერთი კაცი ვერ გაგიჩუმებია და ამა შენ დიდ სუფრას როგორ უნდა გაუძღვე. შენ რა თამადა ხარ?

ღუმელთან ქალების ფხუკუნი გაისმა, რომელიც მალე გულიან სიცილში გადაიზარდა. ზალიკოსაც სიცილი მოერია.

კ. პავლიაშვილი

ერთი კაცის თამადა

შალიკო ზალიკოს დეიდაშვილია, ზალიკო კიდევა შალიკოსი. მართალია დეიდაშვილები სხვებიცა ჰყავთ, მრავლადაც, მაგრამ ესენი რომ არიან გადაბმულები, ამგვარად არავინაა

აი, ახლაც ზალიკოსთან ქეიფია გამართული. სუფრას ორნი უსხედან, შალიკო და ზალიკო. სუფრაზე როგორც წესია, მასპინძელი თამადობს ხოლმე, ჰოდა ზალიკომაც ისე დაიწყო თამადობა, არც არავის ამოურჩევია, არც არავის დაუნიშნავს. ერთი კი უნდა ვაღიაროთ, თამადობას შეუდგა თუ არა, სუფრის წევრი გააფრთხილა: სიწყნარე იყოს თორემა, ჯარიმებს გავახურებოო...

ამათი ცოლები ღუმელს უსხედან, გოგრის თესლსა ხალავენ და იმითი ერთობიან. ხანდახან გარეთ გადიან, თოვლში მოგუნდავე, მოხტუნავე ბავშვებს გასძახებენ, მაგრამ შიგნით მაინც ვერაფრით იტყუებენ. ხანდახან სუფრასაც შემოუსხდებიან, მაგრამ, ძირითადი იმათი ასპარეზი მაინც ღუმელის ახლო ადგილია.

დრო გადის. ჯერ ჭიქები იცლებიან, მერე დოქებიცა. შეფაკლულ შეჟინჟღილებულ ლოყებს სიწითლე ემატებათ. კაცებს ღვინის ეშხითა, ქალებს კი ღუმელის სიცხითა. უხდებათ კიდეცა.

დარიკოს მესამე დოქი მოაქვს, თალიკო გოგრის თესლებს აკნატუნებს, ზალიკო თამადობს, შალიკო უსმენს.

– ამ ჭიქით, ჩვენს დაჭმუჭნულ მთა-ბარს გაუმარჯოს, ოღრო-ჩოღროსა, იკლი-ბაკლოსა. ტყესა და ველსა, სერსა და ვაკესა, წყალსა და ხევსა, ფოთოლსა და ბალახსა... მისმეენ კაცო... შალიკოო?!

შალიკო ოცნებით სადღაც დაფრინავს, სხეულით აქ არის სუფრასთან, ფიქრით სხვაგანაა. ზალიკო რაღა თამადა იქნება ეს ამბავი რომ გამოეპაროს?

– მისმენ კაცო... შალიკოო?! – აფრთხილებს ისევ ზალიკო.

– ჰოო... გისმენ, გისმენ!... მაგრამ ქალების სადღეგრძელოს რატო არა სვამ, ბუნება რომ შემოგვაპარე. აგერ დარიკო როგორ გემდურება, ხედავ?



კახაბერ პავლიაშვილი

– შენ ქალებს თავი გაანებე და ჭიქას მიხედე. ქალები აკი ვადღეგრძელეთ კაცო, შენ აქ არ იყავი? არ დაგაჯარიმო ახლა, ჰაა?

– მე კი აქ ვიყავი, მაგრამ დარიკო რომ იყო მაშინ გარეთ გასული დაგავიწყდა? იქით შენ არ დაგაჯარიმო, გაიგე?

– შენა პირველი გაფრთხილება მიიღე. ისე იგულისხმე, ვითომ ყვითელი ბარათი გიჩვენე. დარიკოს თუ დღეგრძელობა უნდოდა, რაღა მაშინ გავიდა გარეთ, ქალებს რომ ვადღეგრძელებდი. ახლა დამელოდოს, სანამ მეორედ ვადღეგრძელებდე. ჰოდა ვაგრძელებ თამადობასა. ბუნების ძალას გაუმარჯოს მეთქი, აქოჩრილ ტყესა, აქაფებულ ჩანჩქერსა, მდინარესა და იმის შვილსა – ნაკადულსა!

– შენ ნუ გაახურე, ნაკადული მდინარის შვილი კი არ არის, მშობელია გაიგე? წინაპარია. მდინარე ნაკადულებიდან იწყება. – შეაპარა შალიკომ.

– ეგ შენზე კარგად ვიცი, მაგრამ, თამადას მაინც ნუ ევაჭრები, რასაც თამადა გეტყვის, უნდა დაუჯერო.

– რათა კაცო, ღმერთი აღარ არის? – იბოღმება შალიკო.

– როგორ არ არის ღმერთი, არის, მაგრამ გაიგე, რომ ახლა აქ მე ვარ ღმერთი. თამადა ღმერთიაო, ნათქვამია, შეუშვი ყურებში.

– თამადა, თორემ შენც ახლა პარლამენტის



მხატვარი სოფიო ჭელიძე

არჩევნებში აგირჩიეთ თამადათა. ვინ აგირჩია, ვინ დაგაყენა თამადად? – შალიკოს გამარჯვების მაჩვენებელი ღიმილი დასთამაშებს სახეზე, მაგრამ ზალიკოს დამარცხება არც ისე ადვილია.

– რაო, ბუნტია? აქამდე თუ თამადა ვიყავი და რასაც ვიტყოდი კანონის ძალა ჰქონდა, ახლა გადამიდექი წინა? მე შენ გასწავლი ჭკუასა. – ზალიკო ფეხზე წამოდგა და რიხით მიაძახა თავის დეიდაშვილს.

– აბა ახლავე გაავსე ეგ ჭიქა ბოლომდე და ულაპარაკოდ გადაჰკარი. რა ჭიქის ღირსი ხარ, მაგრამ, ჯერ ერთი ჭიქა მიითვალე ჯარიმაში.

შალიკოს სიტყვა აღარ ამოუღია, თავისი ჭიქა ბოლომდე შეავსო, უთქმელად გამოსცალა ბოლომდე. თვითონვე შეივსო ჭიქა და თამადას მიაჩერდა.

– აჰა, ესეც ასეე! ხომ გაიკარი ჯარიმა, არც ახლა დაწყნარდები? – დაჯდა ისევ თავის სკამზე თამადა, – ვაგრძელებ სადღეგრძელოსა...

– მოიცა... მოიცა, – ახლა შალიკო წამოდგა ფეხზე, დოქი აიღო და ზალიკოს ჭიქა ბოლომდე შეუვსო ღვინით, – ეხლა შენ დალიე ჯარიმა!

– რათა კაცო, მე რაღაში მაჯარიმებ? – გაუკვირდა თამადას.

– რაში? რაში და ერთი წევრი გყავარ სუფრაზე და ჩამთვის ვერ მოგივლია, ამდენს მალაპარაკებ. ერთი კაცი ვერ გაგიჩუმებია და აბა შენ დიდ სუფრას როგორ უნდა გაუძღვე. შენ რა თამადა ხარ?

ღუმელთან ქალების ფხუკუნი გაისმა, რომელიც მალე გულიან სიცილში გადაიზარდა. ზალიკოსაც სიცილი მოერია.

– მართალი ხარ, ხო იცი შენა, აბა რა ჩემი ფეხების თამადა ვარ, ვიჯარიმებ თავსა. – თქვა თამადამ და საერთო სიცილ-ხარხარში სავსე ჭიქა გამოცალა. ფაქტი ის იყო, რომ ასეთი უცნაური არგუმენტით საქართველოში თამადა ჯერ არავის დაუჯარიმებია.

მერე ისევ შეივსო ჭიქები კახურად, სანახევროდა. ისევ გათამამდა ზალიკო, ბუნების სადღეგრძელოც მიიყვანეს ბოლომდე. ჟრიამულობდა ორკაციანი სუფრა. ქალების სიცილ-ფხუკუნი ხანდახან ჩურჩულ-ჭორაობაში გადადიოდა. ჭიქებში კი ნაპერწკლებს ყრიდა რქაწითელი, ოხშივარი ასდიოდა ხაშლამის ქვაბს. ტაფაზე ხტოდნენ გოგრის თესლები, ტკაცუნობდა ღუმელში ხმელი რცხილის შეშა და დრო გადიოდა.

გარეთ კი ხვავრიელად თოვდა...

მესაფლავის ერთი ღამე

მესაფლავე მიხეილამ ერთხელ კიდევ შეხედა თავქვე დაქანებულ მზეს და ხელი ჩაიქნია:

– ეჰ! ჯანი გავარდეს, რაც არი, არი. დავიწყებ და იქნებ ამაღამ მოვგუდო. ჭიატას საფლავს კი ხვალ გავთხრით მე და ხუჭა. – ჩაილაპარაკა თავისთვის და იქვე მიყრილ-მოყრილ იარაღებიდან ბარი ამოარჩია.

პირველი პირი მწვანიანი იყო და ბარით შედარებით ადვილად იჭრებოდა. მეორეზე წერაქვი დაუნაცვლა. მერე წერაქვს ნახევრად გაცვეთილი ნიჩაბი შეაშველა, რომელიც საფლავების თხრაში შემოადნა ხელში მესაფლავეს. ორიოდე საათში მუხლებამდე დაიყვანა მოსათხრელი საფლავი და რაკი მზის ჩასვლას ბევრი არაფერი აკლდა, ამოვიდა მაღლა და სასაფლაოს ჭიშკარისაკენ აიღო გეზი, რომლის ახლოსაც თავისი პატარა სახლი ედგა მესაფლავეს.

ათიოდე წუთში ყველაფერი მოიხელთა რაც ამ ღამით დასჭირდებოდა.

საფლავის გათხრის დროს: სამიოდე პარაფინის სანთელი, ჭიჭილით ღვინო, პური, ჯამით კომბოსტოს მწნილი, ხახვი, ნიორი და მარილი. ლურსმანზე ჩამოკიდებული ძველი შინელი ჩამოხსნა, მხარზე გადაიკიდა და უკან, საფლავებზე დაბრუნდა. საფლავის პირას, მწვანეზე შინელი გაშალა, ზედ დაალაგა ყველაფერი და ვახშმობას თუ სამხრობას შეუდგა,

ორი თვის გაუპარსავი წვერი თეთრად მოსდებოდა სახეზე. ქუდი რომ მოიხადა, ნიავმა თავზე გაბურძგნული, დაუვარცხნელი ჭაღარა თმებიც აუწეწა, მაგრამ, ახლა ამათთვის არ ეცალა მესაფლავეს. მთელი მისი ყურადღება ჭიჭილაზე იყო გადატანილი და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, შეჰყვებოდა თუ არა ღვინო საფლავის გათხრამდე.

პირველი მიცვალებულის შესანდობარი დალია. უფალს შეევედრა, სამოთხეში მიეღო ახალი

მიცვალებულის სული. ალალი კაცი იყო და ყველას იქით უწერდა საგზურს. მიცვალებულებზე გაჩერება არ შეიძლებაო და ცოტა ხანში ცოცხლებიც დალოცა მესაფლავემ. ორიოდე ყლუპმა ღვინომ ძალა მოუმატა, ღიღინის ხასიათზე მოიყვანა. ერთი მადიანადაც გააბოლა და ისევ საფლავის ამოთხრას შეუდგა.

ამასობაში მთლად ჩამობნელდა. პარაფინის სანთელი აანთო და საფლავის გვერდზე გამოშვერილ პატარა ქვაზე, ჯერ სანთლის გამდნარი წვეთები დაასხა, მერე ზედ სანთელი დაამაგრა. ისევ წერაქვს დაუბრუნდა.

კარგა ხანს ხალისით იმუშავა.

ხალისიც გამოელია. მერე მოვალეობის გრძნობა დაეუფლა. დაიღალა...

დასასვენებლად ამოფოფხდა ზევით. ჩახედა, ჯერ ნახევარიც ვერ მოეთხარა.

რა ექნა, ქვა-ღორღიანი იყო მიწა. ისევ წერაქვი დასცხო გამეტებით.

სამნი იყვნენ ერთად, საფლავი, ღამე და მესაფლავე.

მერე საფლავი და ღამე ორივე განახევრდა. თვითონ მთელი იყო და მიწას გამეტებით ურტყამდა. წერაქვი, ნიჩაბი და ჭიჭილა ერთმანეთს ენაცვლებოდა მის ხელებში.

მამლებმა მეორედ იყივლეს. ქვაზე დაკრული სანთლის მოციმციმე შუქზე საფლავს გვერდით ფეხის მოსაკიდებელი ადგილი გამოუთხარა და ქშენით ამოცოცდა.

ჭიჭილაში ორიოდე ყლუპისოდენა კიდევ ჭანჭყარებდა.

უკვდავების წყალივით დაეწაფა. მერე შინელზე წამოწვა.

„ერთხელ კიდევ ჩავუხტები და მგონი კიდევაც მოვამთავრო“.

შემოდგომის გრილი, უმთვარო ღამე იდგა. ტანში სიცივე ჩუმად შეეპარა.

„აბა მიხეილ, ნუ გეზარება, ყოჩაღად მიდი, შე ბებერო, შენა! – შეაქო – შეაგულიანა საკუთარი თავი.

საბოლოოდ ჩაცოცდა დაბლა. დაბლა შედარებით თბილოდა.

მშობლიური მიწის სითბოს ყოველთვის ახლად გათხრილ საფლავში გრძნობდა მესაფლავე, ყველაზე ძალუმად კი მაშინ, თუ ძარღვებში ვაზის სითბოც დაუვლიდა, ჭიჭილიდან გადმონაცვლებული.

ტანში საამო მოთენთილობა იგრძნო. წამით გაუყუჩდა, მაგრამ, წერაქვმა თავი შეახსენა და მესაფლავეც მუშაობას შეუდგა.

წერაქვს ნიჩაბი შეუნაცვლა.

მიწის ამოყრის დროს სანთლის ნალევს მიწის გოროხი დაეცა და სანთელი ძირს ჩავარდა. კუნაპეტი ღამე გადაეფარა ახალ გათხრილ საფლავსა და მესაფლავეს.

მიხეილამ ჯიბეში ასანთი მოძებნა. ერთი მარცვალიღა დარჩენილიყო. ხელის კანკალით გაჰკრა ერთხელ, ორჯერ... არ აინთო. ნაპერწკალიც კი არ გაუყრია. გაფშეკილი თითები ძლივს მოხარა და ასანთის ღერს თავი გაუსინჯა. რას აინთებოდა, მარტო ღერო იყო, გოგირდის თავი არ ჰქონდა.

ალალი გულით შეუკურთხა ასანთის გამომშვებ ფაბრიკასა და მაღაზიის გამყიდველს.

დასწყევლოს ღმერთმა. მოსასწორებელი დარჩა საფლავის ძირი, არადა ამის გულისათვის შინ როგორ წავიდეს ასანთის მოსატანად. ამოსვლა ჩასვლად არცა ღირს. არადა რა ქნას, ხვალ მეორე საფლავია მოსათხრელი. უნდა აუცილებლად ამ ღამითვე მოამთავროს ეს საფლავი.

საფლავის კედელში გამოთხრილ საფეხურს ხელის ცეცებით ძებნა დაუწყო, ცალ ხელში ნიჩაბის ტარი მოიმარჯვა და ამოსასვლელად მოემზადა. სწორედ ამ დროს ვიღაცის თუ რაღაცის ხმა გაიგონა. მერე თანდათან უფრო გამოიკვეთა ადამიანის ლაპარაკი. მიაყურადა.

გათხრილი საფლავის ახლოს ბილიკი გადიოდა. ამ მოკლე ბილიკით სარგებლობდნენ სოფლიდან ტყისკენ მიმავალი თუ ტყიდან მომავალი ხალხი, რადგან საურმე გზა უფრო შორიდან უვლიდა. მართალია ძირითადად დღისით დადიოდნენ ამ ბილიკზე სოფლელები, მაგრამ ზოგიერთი უშიშრები არც ღამე ერიდებოდნენ საფლავების მოკლე ბილიკზე გამოვლას.

აი ახლაც ორი ახალგაზრდა, წაბლით გავსებული ზურგჩანთებით ნაბაზრალის ტყიდან სოფელში ბრუნდებოდა. მოდიოდნენ შუა სასაფლაოზე გამავალ ბილიკზე და ალბათ შიშის გასაფანტავად ერთმანეთს ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ.

ან კი რისი უნდა შეშინებოდათ. მკვდრები რომ არავის ერჩოდნენ, ეს დიდი ხანია იცოდნენ და მერე ორ კაცს ერთად რა შეაშინებდა.

მიხეილა საფეხურზე შედგა, ერთი ხელით ნიჩაბის ტარს დაეყრდნო, მეორე ხელით კი საფლავის კიდეს მოეჭიდა.

იგი მაშინვე მიხვდა, რომ ბიჭები ტყიდან ბრუნდებოდნენ, რადგან წაბლის მოკრეფის სეზონი იყო და ამ დილით ტყისკენ მრავლად აიარეს. გულით გაიხარა მათი ხმის გაგონებაზე, რადგან სახლში წასვლა აღარ მოუწევდა ასანთის მოსატანად. აი კიდეც გაუსწორდნენ მესაფლავეს:

– ბიჭებო! – დაუძახა მესაფლავემ, – თქვენს გახარებას... ასანთი გექნებათ...

დანარაჩენი არაფერი დაუნახია მიხეილას, უფრო გუმანით იგრძნო:

ბიჭებს სახე მოეღრიცათ მისკენ, საფლავიდან სანახევროდ ამოწეული თეთრწვერა მოხუცი გაცოცხლებული მიცვალებული ეგონათ. რაღაცნაირი, ველური ბღავილი აღმოხდათ და მოუსვეს, მაგრამ რა მოუსვეს...

– კაცოო! – ამბობდა მეორე დღეს მიხეილა, – ვერ კი ვიცანი ვინ იყვნენ, მაგრამ მაგრები რო ყოფილან, ნაღდია. იმ მაღალ გალავანზე ისე გადახტნენ, ფეხიც კი არაფრისთვის წამოუკრავთ. კარები ვიღას ახსოვდა საით იყო. იმათ ნარბენზე კიდევა ორიოდე ნიტრა წაბლი ავკრიფე, ეგ იყო და ეგაა.

რაჟდენ მექვევრიშვილი

როცა აღზევდა გრძნობა, ნეტარი,
და... პაემანზე შევხვდი ფერიას,
აღარ მაცალა ცრემლმა სათქმელი,
თვალებს, რომ... თქეშის ზღვად მოერია.
მნარე სირცხვილმა დამადნო ბიჯი,
ვერ ვისახელე თავი, სნორებთან,
ასე, მტირალს და... ბავშვივით, გულჩვილს,
რომელი გოგო მომინონებდა?!..

რ. მექვევრიშვილი

კეთილი მაცნე

ნიავმა ჩამიჩურჩულა:
ნეტავ, სულ, ასე, მევლოსო,
რომ... ღმერთის ყველა სურვილი
მე ვამცნო საქართველოსო.
უფალმა ასე ინება,
ერთად ერთმა და ძლიერმა,
ცოცხლობდეს ხალხი, რომელმაც,
მიმწუხრის ჟამსაც იელვა.
მრავლობდეს ერი, რომელიც
ასე, გმირი და ბრძენია,
რომელსაც, თვითონ, მკერდდაჭრილს
სხვისი ტკივილიც სტკენია.
ამიერიდან, ეს მხარე
მხოლოდ, და... მხოლოდ ხარობდეს,
მარად ეფინოს ღიმილი,
სევდა და დარდი აროდეს.
სჯეროდეს, აუსრულდება:
ნატვრაც, ოცნებაც, მთავარი,
დავითმა ფეხი აიდგა,
უკვე, გზაშია თამარიც...
მომახარა და გაჰქროლა
იმ ანგელოზის ფრთიანმა,
ვინც იმედის მზე მაცხუნა,
ვინც რწმენა გამიმთლიანა.
ერთი მოვასწარ: მივძახე
კიდევ, მესტუმრე, ნიაო,
შენ, დედასაქართველოსი
კეთილი მაცნე გქვიაო.
გულში, სულ, სითბო იქნება,
აღარ დაძრები იაო,
რადგან, სამშობლოს მომავალს
მხრები მხნედ გაუშლიაო.
სიკეთე მინდა მარადი,
ეს, შენთვის, შემიძლიაო...

ნერილი მატანს

წავალ წამოვალ ფიქრებში,
მომენატრები მატანო,
მიყვარხარ, გრძნობა ფარული
უხმოდ, როდემდე, ვატარო?!..
შენი ვალი მაქვს და... იგი,
მსურს: ამ ლექსს გამოვატანო.

ქაქუცას მამულ-დედულო,
გაგბრწყინებია თვალები,
გმირ გალავანთა მტერთა მძლევს
გლოცავენ ცისკრის ზარები;
კარგი შვილების გამზრდელო,
შენს გულმკერდს ვენაცვალები.

ყველიერს აღარ გაგიცდენ,
სუფრა, რომ იცი ზღაპრული,
მინდა: ამ, ხელით მოვხადო
შოთი, თონეში ჩაკრული,
ვიხილო ხინკლის ზეობა
და... ყეენობა მატნური.

გულის ბოლომდე, გამლებო,
სისხლით და ხორცით გამტანო,
სიყრმიდან მეიმედები,
ეგებ, შვილადაც ჩამთვალო,
ბავშვობის, ტკბილო სიზმარო,
ჩემო, ლამაზო, მატანო.

წმინდა მძევლები

როცა აღზევდა გრძნობა, ნეტარი,
და... პაემანზე შევხვდი ფერიას,
აღარ მაცალა ცრემლმა სათქმელი,
თვალებს, რომ... თქეშის ზღვად მოერია.
მწარე სირცხვილმა დამადნო ბიჭი,
ვერ ვისახელე თავი, სწორებთან,
ასე, მტირალს და... ბავშვივით, გულჩვილს,
რომელი გოგო მომიწონებდა?!..
...მაშინდელ ყმაწვილს, დღეს ენატრებით,
თქვენ, სიყვარულის წმინდა მძევლებო,
ნეტავ, თუ, კიდევ, განმეორდებით,
ნაკადს შერთულო, ჩემო ცრემლებო?!..

გული პატარა

ცხოვრების გზაზე, როგორ გავქანდი,
წლები ვერცხლისფერ ფიფქებს მაყრიან,
უკვე, დავკაცდი, უკვე, დაქალდი
და... გულში, მაინც, რაღაც მაკლია...
ასე მგონია, ფრთებმა წამიღო,
როცა იმ დღეებს, კრძალვით, ჩავუვლი,
ბავშვობა იყო, ანცობა იყო,
ტრფიალი, განა დანაშაული?!..
ძნელი ყოფილა სევდის ატანა,
გულში შერჩენილ ფერმკრთალ იების,
და, თუ, მატკინე გული, პატარა,
მაღირსე წამი მონანიების...

გამოთხოვება

დასრულდა... ჩვენი გზები იყრება,
ტკივილად იქეცა, პატარა გოგო,
და... კარგად ვიცი, შენზე ფიქრებმა
და... მოგონებამ არ უნდა მზოგონ.
თვალს შევაპარებ ლამაზ პირიმზეს,
მივაგნებ ჩემი ოცნების ფრინველს,
და... ისეთ ტრფობას ავაგიზგიზებ,
რომ... სჯობდეს პირველს,
რომ... სჯობდეს პირველს...

ვესტმო

უნიჭიერესი ქართველი პოეტის ფარნა რაინას მშობლიური სოფელი თუშეთში

ათასგვარ გრიგალს გადანაყარი,
ბერმუხის ფრთებით შრიალებს ვესტმო,
ეს, მკლავნაცადი, მთათა რაინდი
ამ, მწვერვალების მშვენებას ვერ თმობს...
სისხლის ძარღვებად ჩქერენ წყარონი,
ვარსკვლავებს ღამე გაუძარცვიათ,
და... პოეზიით გადამთვრალ მუზებს
ტანზე შავლეგოს ჩოხა აცვიათ...
ქულაღრუბელიც, რძედ რომ იღვრება,
ნაკურთხი ცვარი გაბრუებთ, თითქოს,
და... შორს, არწივთა ფრთების შემოკვრაც
მოჰგავს რაინას მოქნილ სტრიქონს...

სიმღერა მაღრაანზე

მინდა მოგეალერსო,
მშობლიურო, მაღრანო,
შენს მიწაზე სიმღერამ
ვერასოდეს დამღალოს.

ოდითგანვე, ქებული,
დღესაც, ისევ, წინა ხარ,
ეს, პატარა სოფელი
რა, დიდ, წარსულს ინახავს?!..

ძვირფასი ხარ, მაღრანო,
საოცნებო ბაღნარო,
მიყვარს შენი ხალხი და...
მხიბლავს შენი სამყარო...

ზემო მაღრაანშია
შენი მკვიდრი სხეული,
საყდარ ნასახლარები,
ხიბლით გამორჩეული...

ციხეც „მაღრაანისა“,
დგას ლეგენდადქცეული,
ტბაც გაქვს, დედამდინარეც
ცელქი „მაჭარეული“.

საკურორტო სოფელი,
მოხატულო, ბაღნარო,
ხარებას და გოგიას
საბინაო ბაღრანო.

მთა გორებიც გამშვენებს,
ერთმანეთზე მიჭრილი,
მიგიხუტეს გულმკერდზე,
ხარ: სიყვარულმისჯილი.

შენი მინდვრის ბარაქა:
მაღრანული ქისია,
მისი ღვინის სურნელი
ევროპამდე იციან.

შენ შეგხარი მაღრანო,
ედემო და ბაღნარო,
ხალხო, გულით მაგარო...
და... სულითაც მაღალო.

მარიამ კაპანაძე

შენ უღმერთო ნანილს
მზეზე ახუნებ...
მეორე მხარეს ლოოცვა–ლოოცვით ქაჩავ ზეცისკენ!
შენ ინერ ცოდვებს, მოძღვრის ლოოცვას
უსმენ მორცხვობით!..
არ გყოფნის მინა, არცა ზეცა, არც შენი სული!

მ. კაპანაძე

ქალებს, რომლებსაც გაზაფხული მოპარეს

მომპარეს გაზფხული,
სულს სურდა ყვავილობა, გავიზარდე...
მომპარეს ყვავილები, სატრფოს მორთმეული... დავიშანთე.
მომპარეს გაზფხული, კვირტს სისხლით ვღებავდი, გავიფანტე.

ქალი ხარ, გაიზარდე, სატრფოს მხარ-მკლავებში გაიზარდე...
ქალი ხარ ბნელ ქუჩაში, ქალი ხარ ჭრელ ამბავში,
ქალი ხარ შვილმკვდარიც, ქალი ხარ მტირალიც...

მარტში, იანვარში შენს ტუჩებს სიმშრალე ჩაუწვება.
მარტში, გაზაფხულზე, დედობას მოგილოცავს ერთი მღერა...
მარტში, გაზაფხულზე შენს სატრფოს ავიწყდება შენი მზერა!

მარტში, ჭრელ კაბის ქვეშ ნაზად იმალება გულის ძგერა...
ხვდები გალეშილ კაცს, მთვრალ ხელს კაბას უსვამს და... ფიცხდება!
ხდები მეტად ქალი, ხდები შენი ქმარი...
შენ თავს სახლში მისულს ავიწყდება,
ქმარი გაიხადოს, ტანი დაიბანოს, სული აიყვავოს, ავიწყდება!..

მაგრამ კვლავ თენდება, მაგრამ კვლავ კვირტდება...
ისევ გაიხსენე ქალი იბადება,
სატრფოს ყვავილისთვის იბადება,
ნამდვილი კაცისთის იბადება.

* * *

შენ უღმერთო ნაწილს
მზეზე ახუნებ...
მეორე მხარეს ლოცვა-ლოცვით ქაჩავ ზეცისკენ!
შენ იწერ ცოდვებს, მოძღვრის ლოცვას
უსმენ მორცხვობით!..
არ გყოფნის მიწა, არცა ზეცა, არც შენი სული!

არ გყოფნის ფურცლის ნაგლეჯები ცოდვის სახმობად!
სანთლის მწველ წვეთებს თითებს უშვერ გაუაზრებლად!
ცხოვრებაც ასე წამიერად გწვავს სულის კანებს!..

ამ დამწვარ სხეულს აღარ შველის ნამი ბუნების.
აღარ დაიწვა იქნებ ახლა ცოდვილო შვილო,

მარხვით და ლოცვით
იძლიერო ამყრალი სული.

აღარ გიმუხთლოს იქნებ ახლა ცხოვრების კინომ
და გათამაშოს ბედნიერი ქალის როლები!
ეს მოლოდინი, ეს ოცნება ცოდვილთა სულის
ასრულებადი ოცნებაა ცხოვრებისფერში?!

* * *

შენ ბნელი ღამის თეთრო ჩრდილო,
მძიმე სულისა სიმფონია გიკვრია ჩემთვის.
ამაღამ? ვფიქრობ, გავემგზავრო უგზო სიზმარში,
იქნებ კი ვნახო ამ სიზმარში მიზეზი კვდომის...
და ისევ ისე გამოვიხსნა ჩემივე თავი...

შენ ჰგავხარ ეკალს, კვლავ მესობი ამ წყეულ გულზე.
ვინ იცის, იქნებ ამ წლისათვის ბოლოს გწერ წერილს!
გავხარ თეთრ ურჩხულს, გავხარ ღვინოს ან ბურუსს, უკუნს.
ჩემი თვალები ამ ბურუსში ეძებენ ნათელს...
იქნებ კი ვპოვო და გიპოვო წლის მერე კვლავაც!

გამიხელდება ისევ გული, გონება, სული.
ავყვები განცდას ამქვეყნისთვის მახინჯს ან ლამაზს
და კვლავ დავკარგავ ღმრთის სახებას ჩემსავე გულში!

ო, რა მძიმეა ამ დროისთვის კარგო უფალი,
როცა თვით კაციც აღარ არის შენთვის ძმობილი.
ო, რა მძიმეა, რა მძიმეა გალობა უხმოდ
და განსაცდელი ულოცველად ცრემლის გუბეში!

მაგრამ არ კარგო შენ იმედი გამოფხიზლების,
შენ, ვინც კითხულობ ახლა ამ ლექსს გახელებული,
ისევ და ისევ ნახავ ვარსკვლავს შენსავე ფერში.
კვლავ მოვა ღმერთი შენს კარებთან შუაღამისას
და... მაშინ უხმო, უსუნთქველი სიტყვების ნაცვლად
დაიწყებ მღერას, ლოცვასა და გამოფხიზლებას!

გაგშორდებიან მოღალატე კაცთა ტომრები,
კვლავ გაუმზადებ შენვე სახლში ადგილს ღვთისკაცებს
და ის ეკალი, ის აჩრდილი, ის ღვინო, შავი დაიწყებს დენას
წვეთ-წვეთობით სხეულის კარში.

* * *

ამ შუაღამით გადავშალე ფურცელთა დასტა,
აწ გადავთვალე გარითმული სიტყვათა თავსხმა.
ახლა გაწვიმდეს, ამ ღამესვე მინდა, გაწვიმდეს,
სახლს სახურავზე გადურბენდეს შხაპი შენფერი...

ღმერთს ვფიცავ, მინდა კვლავ ჩავიცვა
მუხლამდის კაბა და შენი ხელი ჩემს მუხლს ალერსს გამოუთხრობდეს...
ღმერთს ვფიცავ, ახლა ღამეშიაც მწყურდება წყალი, შენს პეშვზე
მდინარ გადმომდინარ, გადამდინარი!

შენს შავ წამწამებს ღაწვთა წრეზე ჩამოსვენებულთ
კვლავ ამ შავ ღამეს მოვუყვები ამბავს ასლჩაცმულს.

ამ შუაღამით გადავშალე ფურცელთა დასტა,
კვლავ ჩაგჩურჩულებ მე ძილის დროს,
მიყვარხარ ახლად...
ამ შუაღამით, შუაღამით მინდება თავსხმა,
მინდება განცდა, ძილი,
სუნთქვა და სულის ნახვა! მინდება ჭკნობა, აყვავება,
შენს გულზე ფანტვა...

ალბათ, ამ ღამით მთვარე შენთან
მომიყვანს ქალად, ჩამაცვამს კაბას,
სიზმრის ფარდას კვლავ აშლის ახლად.

დედები

თქვენ გიცხოვრიათ უცხო მხარეში?
სადაც დედები, მხოლოდ დედები
ოკეანისა თევზთა ფანტელში გარჩენენ, ჟანგბადს გიწილადებენ,
უმეგობრობას აღარ გაჩვევენ!..
თქვენ გიცხოვრიათ მლაშე წყლების ქვეშ –
მარილისა და სისხლის მორევში?
სადაც დედები, მხოლოდ დედები
წყალს ატკბილებენ მარწყვთა წვენებით!

თქვენ, გიცხოვრიათ ომის ქარცეცხლში?
სადაც დედები, მხოლოდ დედები
იცვამენ აბჯრებს წინახაზისთვის.
თქვენ გიცხოვრიათ? თქვენ გიძინიათ?
თქვენ გიტირიათ დედის მკლავებში?!
მხოლოდ დედები, მხოლოდ დედები
წყალს ატკბილებენ მარწყვთა წვენებით!..

დათოვლილი მთვარე

აღარ მესიზმრები, ჩემო,
აღარ დამიმშვენე ღამე.
მთვარეს ვატანეო თეთრად
ღამე წერილები შენთან!..
აღარ მესიზმრები, ჩემო,
აღარ დამიმშვენე ღამე...
მიდის ლიანდაგზე თეთრად,
მიდის დათოვლილი მთვარე.
პირზე მაშრებიან ამბრნი,
სულზე მახმებიან დარდნი!..
„გაჰყევი ამ ქუჩებს კალმით,
გაჰყევი, გაჰყევი ღამით“
ამბობენ ჩემ გასწვრივ ქალნი!
მე ისევ გამიწყრა ბავშვი,
მას ისევ უნდიხარ ნავში!
თოჯინას დაუწყდა თმები,
მოვძებნოთ სამოსი ჩვენით!
წასულმა ჩამაცვი ჭრელი,
ბაგენი მიხსენი მალვით...
ქარში მაპოვნინე კაცი,
მაღალი, ღიმილით, მკრთალით!
წასულმა ჩამაცვი ჭრელი,
მე ისევ დაგეძებ ბნელში...
მსურს გითხრა ამბავი, ლოცვით,
მსურს ისევ გაკოცო მალვით!
ჩვენ დავრჩით ლიანდაგს მარჯვნივ,
თითქოს კი ჩავაგდეთ თასში
მონეტა ჩემი და ჩვენი...
შენ ზეცას ამშვენებ, კალთით,
კალთა მოგპენტია დარდით,
რაღაცა გადარდებს მაინც...
ალბათ, შენც გინდება ჩემთან,
ალბათ, შენც იცინი ზეცად!..
წასულმა მაპოვნინე ქვეყნად
ხელის დამჭერი და ფარი...

ივეტა
პავლიაშვილი

ბინდდებოდა. კარგად აღარ მოჩანდა საღებავებისა და ფუნჯის გარეშე შეღებილი ლამაზი შემოდგომა. სიჩუმე ჩამოვარდა, ფანჯრიდან ყურებას შევეშვი და ირგვლივ მიმოვიხედე. მძღოლმა რადიო გამორთო და სალონში შუქი ანთო. ჩემი ყურადღება მონსულ ბადეში ჩასმულმა ათლიტრიანმა ბოყვმ მიიპყრო. მინის ბოყვში საყრობთან თავმოყრილი ბუშტულები შევამჩნიე და მანამ რამეს მოვიფიქრებდი, ისეთი ხმაურით ამოხეთქა მაჯარმა, მანქანა ლამის სავალი გზიდან გადახტა. მოულოდნელი ხმაურით შემკრთალი მგზავრები პანიკამ მოიყვა. მერე კი შუმხუნა ბოყვ და ჯერიდან ძირს დამსკდარი საყრობი რომ დაინახეს გამხიარულდნენ.

ი. პავლიაშვილი

არ დაიდარდო

ივეტა პავლიაშვილი

მიკროავტობუსი, როგორც იქნა, შეივსო მგზავრებით. დავიძარითო, გამოაცხადა მძღოლმა და უმალ შეხტა საჭესთან. გვიანი შემოდგომის სუსხიანი საღამო იყო. ლოდინით დაღლილი მგზავრები გასუსულები ისხდნენ, ზოგს ჩასძინებოდა კიდეც. გავცდით თუ არა ბარჯისხევს, მგზავრებიც გამოცოცხლდნენ და ალაპარაკდნენ – ზოგი რას ამბობდა და ზოგიც რას.

ჩემი მეთერთმეტე ადგილი იყო – ავტობუსის თითქმის შუა ნაწილი. წყნარად ვიჯექი და მათ ნაამბობს ჩამოყრილი მწიფე ხილივით ვკრეფდი. სულ უკან, გრძელ სავარძელზე მამაკაცები ისხდნენ და მშვიდად საუბრობდნენ. ეტყობოდათ კახეთში პირველად იყვნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ ნანახსა და გაგონილს. როგორც მათი საუბრიდან მივხვდი დაკრძალვაზე იყვნენ ჩამოსული. ერთ-ერთი მათგანი ამბობდა: კარგი ადამიანი გამოაკლდა ჩვენს სამეგობროს. ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით, ვმეგობრობდით, უაღრესად ზნეკეთილი და მგრძნობიარე ადამიანი იყო, წარჩინებით დაამთავრა. მაგრამ ის თავის რაიონში გაანაწილეს და რაც დავამთავრეთ აღარ გვინახავს ერთმანეთი. ვინ წარმოიდგენდა ადრეულ ასაკში მის გარდაცვალებას, ცხონებულს რა დიდებული ოჯახი ჰქონიაო. მეორე ამბობდა: მართლაც რა ლამაზი ყოფილა ეს დალოცვილი კუთხე, რა მაგარი პურ-მარილი სცოდნიათ, ასეთი ღვინო და ასეთი მომზადებული, განათლებული თამადა იშვიათად გვინახავსო, – და დანარჩენებიც ეთანხმებოდნენ. ბოლოს ერთ-ერთმა იკითხა: ნეტავი ჩივაძე ვინ იყო ოჯახისთვისო.

სოფელში ყველა ერთმანეთს იცნობს და მეც მივხვდი ვისზე საუბრობდნენ, ჩვენი ოჯახიდან ჩემი ძმა იმყოფებოდა დაკრძალვაზე. მისი მონაყოლიდან ვიცოდი, რომ დაკრძალვას ბევრი ადამიანი ესწრებოდა. ქელეხის სუფრა სახლის უკან მდებარე ხეხილის ბაღში იყო გაშლილი. სახლის გვერდით კი თონეს და ცეცხლზე შედგმულ ქვაბებს დასტრიალებდნენ ოჯახის დასახმარებლად მოსული მეზობლები. მაგიდას არაფერი აკლდა – სართულებად ეწყო საჭმელები. ხალხი მაინც ხაშლამას ელოდებოდა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, მაგიდებს შორის ერთი ახოვანი მამაკაცი გამოჩნდა სინით, მაგიდების ჯერ ერთ მწკრივს ჩაუარა, მერე მეორე მწკრივში გადაინაცვლა და ხაშლამით სავსე დიდი სინი, ქალაქიდან ჩამოსული სტუმრების მაგიდაზე ერთ-ერთ მეინახეს წინ დაუდგა. მცირე პაუზის შემდეგ, იმდენი ხაშლამა შემოიტანეს ზოგან ხელუხლებელიც კი დარჩა. ახლა შილაფლავის დრო რომ მოვიდა, ისევ ის მამაკაცი გამოჩნდა და ცხელი შილაფლავიანი სინი, პირველად ისევ იმ მეინახის წინ დადგა. გვერდით მაგიდაზე მყოფმა კახელებმა ერთმანეთს გადახედეს. ერთმა მათგანმა ჩივაძე იცნო და გულუბრყვილოდ წამოიძახა – ბიჯო, ეს ჩივაძე (ცნობილი ფეხბურთელი) იქაც ხომ ცენტრშია და აქაც ცენტრში როგორ არისო.

წუთისოფლის წარმავლობაზე ვფიქრობდი, ჩვენმა მძღოლმა რადიო რომ ჩართო. იოსებ ნონეშვილის ჩონგურზე ამღერებულმა ლექსმა – „ბიჭო იქნებ პაპა იყო შენი“ უფრო მეტად დამაფიქრა. მძღოლმა ალბათ გაიფიქრა ჭირი ულხინოდ შეუძლებელიაო და სიმღერის დასრულებისთანავე სხვა არხზე გადართო, „არ დაიდარდოდან“ ბუბა კიკაბიძის „ჩიტო-გვრიტო მარგალიტო“ ისმოდა. ირგვლივ მიმოვიხედე. ჩემს წინ ორი ქალბატონი იჯდა, ერთი თვლემდა, მეორეს კი გაზეთი „სოფლის ცხოვრება“

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ჰქონდა გადაშლილი და გულდაგულ ათვალიერებდა. მასთან ერთად მეც ვკითხულობდი, რადგან შორსმხედველი ვარ და მოშორებით უკეთესად ვხედავ ვიდრე ახლოს. საინტერესო სტატია იყო, მაგრამ ქალმა გაზეთი გადაკეცა და ბოლომდე წაკითხვა ვერ მოვასწარი. ჩემს გვერდით მჯდომ მამაკაცს გადავხედე, რომელსაც ორი ჩანთა ჰქონდა გასასვლელში დადებული და მოსახვევში ხელს აშველებდა ხოლმე, რომ არ გადაბრუნებულიყო. შევეკითხე რომელი სოფლიდან იყო. აღმოჩნდა, რომ დეიდაჩემის მეზობლად ცხოვრობდა სოფელ ზეგაანში და თბილისში ჩურჩხელა მიჰქონდა გასაყიდად. შემომთავაზა – გასინჯეთო. მართლაც სანაქებო იყო. ჩვენს საუბარს სხვებმაც მოჰკრეს ყური და ერთი ჩანთა ჩურჩხელა მალევე გაიცალა – მგზავრებმა შევიძინეთ.

ბინდდებოდა. კარგად აღარ მოჩანდა საღებავებისა და ფუნჯის გარეშე შეღებილი ლამაზი შემოდგომა. სიჩუმე ჩამოვარდა, ფანჯრიდან ყურებას შევეშვი და ირგვლივ მიმოვიხედე. მძღოლმა რადიო გამორთო და სალონში შუქი აანთო. ჩემი ყურადღება მოწნულ ბადეში ჩასმულმა ათლიტრიანმა ბოცამ მიიპყრო. მინის ბოცაში საცობთან თავმოყრილი ბუშტულები შევამჩნიე და მანამ რამეს მოვიფიქრებდი, ისეთი ხმაურით ამოხეთქა მაჭარმა, მანქანა ლამის სავალი გზიდან გადახტა. მოულოდნელი ხმაურით შემკრთალი მგზავრები პანიკამ მოიცვა. მერე კი შუშხუნა ბოცა და ჭერიდან ძირს დამსკდარი საცობი რომ დაინახეს გამხიარულდნენ. ზოგიერთი ყურძნის წვენით გაწუწული მგზავრი დამაჯერებლად ირწმუნებოდა: „ღვინომ თავად გვაკურთხაო.“ გაოგნებული მძღოლი კი – აბა ეს საქმეაო?! – გაიძახოდა და მთელი ძალით წმენდდა საქარე მინას. სალონში ისეთი სუნი დადგა კაცი დათვრებოდა. შეწუხებული ბოცის პატრონი უხერხულობაში ჩავარდა, აღარ იცოდა რა გაეკეთებინა, ამასობაში ბადიაურსაც მივუახლოვდით.

ბადიაურში შევჩერდით. სხვა მგზავრებივით, ბოცის პატრონიც გადავიდა მანქანიდან და ცხელი შოთით და გუდის ყველით ხელდამშვენებული დაბრუნდა. ბოცაში დარჩენილი ჯერ კიდევ დაუღვინებელი ყურძნის წვენი პატარა ჭიქით ხელიდან ხელში გადადიოდა და იცლებოდა. ზოგიერთი ერთმანეთს უკვე სახელითაც კი მიმართავდა. ჩვენი გმირი – სახელად გელა, საგარეჯოში ჩავიდა. მგზავრები ისეთი ემოციებით დაემშვიდობნენ, თითქოს დიდიხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. საგარეჯოში ახალი მგზავრი ამოვიდა და გელას ადგილი დაიკავა. ცხოვრება მოულოდნელობით არის სავსე. ცოდვილ მიწაზე კი მარადიული არაფერია. ცხოვრება დაუსრულებლივ მიედინება და ჩვენც თან მიგვიყოლებს. ერთი მეორეს ვენაცვლებით – ზოგი მიდის, ზოგიც მოდის.

მძღოლმა რადიო ჩართო – „არდაიდარდოს“ ეთერიდან მხიარული ჰანგების ისმოდა.

ჩიტო, შენს პირს შაქარი!

კარგი ამბავი, ჩიტო! შენს პირს შაქარი!... ასე იწყება ამ ბოლო დროს ჩემი მომავალი დღის ახალი განთიადი – სხივნარა გაზაფხულის ლამაზი გარიჟრაჟი.

ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მეღვიძება; მაშინ, როცა დღე და ღამე ერთმანეთს გასაყარზე ესალმება და ეთხოვება, სწორედ იმ დროს, როდესაც ლამპიონები ქუჩაში თვალებს ხუჭავენ ორი ფრთოსანი თავის ტკბილ გალობას დაასრულებს, ამოფრინდებიან ფიჭვის დაბურული ტოტებიდან, კეკლუცად მოერგებიან ხის კენწეროს და წამიერი სიჩუმის შემდეგ ლაჟვარდებს შეერევიან. თუმცა, შარშან ამ ხეებზე ჯერ მტრედის ხუნდები ღუღუნებდნენ, მერე ყვითელგულა პატარა ჩიტები, წელს კი სხვა ფრინველები იდებენ ბინას. წარმავალია ყველაფერი, მარადიული არაფერია. ასეთია რეალობა ჩვენი ყოფიერებისა.

მდუმარე მღელვარებით ველოდები გათენებას და ვარ განცდის მოლოდინში. ცოტაც და, ზღაპარივით გაქრება წუხანდელი ღამე. საცაა სიამის წამი დაეპკურება ჩემს გულს. ნათელი მოეფინება სამყაროს, ოცნებას, სიტყვას, საქმეს. ამიტომაც, გაღვიძებისთანავე პირველად ცას შევხედავ, სიცოცხლე რომ ვიგრძნო და მის კრიალა ლილისფერ

ფონზე, ისეთივე წმინდა, ნათელი იმედით და სიკეთით სავსე მიზნები დავისახო.

დღის ფონზე, ბევრჯერ მზე და მთვარე ერთდროულადაც დამინახავს ცაზე. სანახაობით მოხიბლული უსიტყვოდ მოვფერებივარ მათ ძლიერებას და სილამაზეს, მათ ერთგულებას, სიბრძნეს და სიყვარულს ერთსულოვნად, უშურველად რომ უნაწილებენ დედამიწას სიცოცხლეს. მადლიერებით შეპყრობილს ხელები ზევით ამიწევია ზეცისკენ და გამიფიქრებია, სიცოცხლე უმზეოდ და უმთვაროდ არ იქნება, მთვარე უმზეოდ მთვარე არ იქნება, როგორც ჩიტი უსივრცოდ ვერ იფრენს და ფრთების გარეშე ჩიტი არ იქნება. ასევე მეც, ჩემი ჭეშმარიტი საკუთრების – ჩემი ადამიანური ღირსების გარეშე ვერ ვიქნები.

მოკლედ, ყველაფერი წინასწარ გათვლილია და ისეა შექმნილი, რომ ერთის არსებობისთვის მეორის არსებობა აუცილებელია. ადამიანი ხომ ყველაზე გონიერ არსებად შექმნა გამჩენმა?! ჩვენც ხომ შეგვიძლია დავდგეთ ერთად, უანგაროდ გავუნაწილოთ ერთმანეთს სიყვარული და დავეხმაროთ ბედნიერების ძიებაში? ხომ შეიძლება წინა კაცი უკანას ხიდი იყოს? ხომ შეიძლება წაქცეულ კაცს ხელი გავუწოდოთ და დავეხმაროთ წამოდგომაში? და ძალადობით და სიმდიდრის ძიებით კი არა, მადლისა და სიკეთის კეთებით დავიმკვიდროთ საუნჯე?!

მეოცნებეს ვინ იცის რამდენჯერ გადამიცურავს ეს უკიდეგანო სივრცე, მისი თეთრი, ფუმფულა ღრუბლის ქულები, ზოგჯერ გაპენტილ ბამბას, ან კიდევ ბუმბულით აგებულ აფრიან ნავს რომ მაგონებდნენ. დღეს კი, ნეტავ, ასე მშვიდად, თავდაჯერებულად საით მიიწევს ეს თეთრი ქარავანი?!

დაასრულეს ლოცვასავით წკრიალა ჰანგები ჩიტებმა – ძლიერ მიყვარხარო, რომ ეფიცებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ კიდევ შემოურბინეს სიყვარულით აშენებულ ჩალის ბუდეს და ცის ლაჟვარდში მიიმალნენ. თურმე, ჩიტებსაც ჰქონიათ თავიანთი დაუწერელი კანონი – ისინი ხომ მხოლოდ თავიანთი შრომით ნაშენებ ბუდეში სახლდებიან და სხვის ნაბუდარს ახლოსაც არ ეკარებიან. მართალია ადამიანივით აღზრდა არ სჭირდებათ, მაგრამ შრომაც სცოდნიათ და მისი მადლით მიღებული სიხარულის განცდაც. მათაც ჰქონიათ მადლიერების, პატივისცემის გრძნობა და კმაყოფილების გამოხატვის უნარი. თითქოს იმათაც შეუსმენიათო უფლის მცნებანი: „არ ისურვო შენი მოყვასის სახლი და არც არაფერი შენი მოყვასისაო“.

სიჩუმე ჩამოწვა, გაისუსა ირგვლივ ყველაფერი. დუმდა მრავლისმომსწრე ფიჭვიც. ვინ იცის, რამდენ მსგავს საიდუმლოს იფარავდა თავის მარადმწვანე წიწვებსა თუ გირჩებში?! ვინ იცის, რამდენს შეუფარებია თავი მისი ძლიერი ტოტების ქვეშ? ანდა, რამდენ წყვილს შეუფიცავს ერთგულება მის ძირში?!...

ასე ყოფილა დასაბამიდან და ასე იქნება სამყაროს დასასრულამდე.

წლების წინ, სწორედ ასეთივე ანთებული გულით და გულუბრყვილო ბავშვური თვალებით შევყურებდი დაუსრულებლად ცას და მაშინაც დედის ნანასავით ნეტარებას მგვრიდა ჩიტების ლაღი გალობა და ჭიკჭიკის ტკბილი ხმა. ახლა კი, თითქოს მივიწყებული ნაცნობი ხმები მესმის შორიდან. ჩემი ცხოვრების შემოდგომა მიუყვება ბილიკს და ჩემი სამომავლო ოცნება წარსულის დაბრუნებაა მხოლოდ. ჩემი ცხოვრებით არასოდეს ვყოფილვარ ღმერთის უმადური. სიკეთე და წყალობა მუდამ თან დამყვება და ბედნიერი ვარ იმით, რაც მაქვს, რაც მარგუნა და მომცა უფალმა.

...გმადლობთ, უფალო! მთელი სიცხადით რომ დამანახე შენი სიმდაბლის სიმაღლე და ამ უღიმღამო ცხოვრებაში მშვენიერების შეგრძნება დამიბრუნე.

„ცა ღვთის ტახტია, ქვეყანა კი ღვთის ფერხთა კვარცხლბეკი“, – ჰოდა მეც ამ ქვეყნის შვილი ვარ, ამ ქვეყანაში ვცხოვრობ. მივყვები ცხოვრების დინებას, როგორც ხომალდი ზღვას და შორს მივყავარ სურვილს. ტანჯვა და წვალება ყოფილა ცხოვრება, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, შემიძლია თამამად ვთქვა: ამქვეყნად მოსვლა ნამდვილად ღირდა.

...თეთრი ქულები აღარსად ჩანდნენ ცაზე, ნუთუ ნაპირი იპოვეს?! თუ საპნის ბუშტივით ჰაეროვნად შთაინთქნენ ეთერში?

ცაო! რატომ არა ხარ გამჭვირვალე?!

ვინ იცის, იქნებ ის მგალობელი ჩიტებიც ღრუბლებს მიღმა თავშესაფარში დაბინადრდნენ? – სულის ჩამდგმელი ტკბილი ჰანგებით რომ აახალგაზრდავებდნენ ჩემს ცხოვრებას? მტაცებდნენ მეწამულ ფიქრებს, მანთავისუფლებდნენ ტკივილებისგან, მიხსნიდნენ ყველანაირი განსაცდელისაგან, მაშოშმინებდნენ და მიცავდნენ ისე, როგორც ერთ დროს დედის თბილი ხელები და მონატრებული მოფერება.

მე მაინც იმედით სავსე გულით ველოდები განთიადს – ოცნებასავით ლამაზს და მიჩნდება სურვილი, საგაზაფხულო გზები მოვძებნო, რამე დავწერო, თუნდაც იმიტომ, რომ წარმავლობაზე ფიქრმა ჩემი სული არ გათელოს. არ მინდა ჩამიქრეს ხელში საკუთარი სულის სანთელი. ვინ იცის, ბედის ბორბალი როგორ დატრიალდება და წუთისოფლის ეტლიც საით აიღებს გეზს. მოვა დრო და სული იზეიმებს, მომავალი მეც გამომიხმობს წარსულიდან. დრო ხომ მარადისობის გარანტია.

ნათელა ქურციკიძე

უსასრულოდ, მხოლოდ შენთვის
ავენთები სანთლად...
და... ცხოვრებას გადაგიქცევ
საუკუნო ზღაპრად!

გულისგულში მიზიხარ და...
არ გაკარებ ნიავს
შენ, ხომ ჩემი ჩაუქრობი
სიყვარული გქვია...

ნ. ქურციკიძე

კვლავ, გაბრწყინდება!..

დედაო ღვთისა, მზეო, მარიამ!
ქართველი ხალხი გთხოვთ, გევედრებით,
მოგვეცი ძალა სიყვარულისა,
ერთურთის შველის და იმედების.

რომ... საქართველო იყოს ძლიერი,
სიყვარულია ძალა ერთობის;
გულს გვიხარებდეს, სილაღეს გვძენდეს
ნათელი აზრი ჩვენი გონების.

სიკეთის შუქი გასწვდეს ამიერ
და... ყოველი დღე იყოს – ნათელი,
ბურჯად შევუდგეთ სანატრელ მამულს,
ეს, ვალი არის ყველა ქართველის.

გმირობა, სიბრძნე, კაცურ კაცობა,
ჩემს პატარა ერს ძლიერ სჭირდება,
ღმერთო! მოგვმადლე ყველას ეს ნიჭი
და... საქართველო კვალავ გაბრწყინდება.

დავუფიქრდეთ

დავუფიქრდეთ, რომ შევიცნოთ სამყარო,
შევისწავლოთ მისი ყოფნის არსი,
დავუფიქრდეთ და ვისწავლოთ ცხოვრება
რომ... ტკივილი აღარ იყოს არ სით...

დავუფიქრდეთ და გვახსოვდეს ყოველთვის,
ქვეყნად ჩვენი დაბადების აზრი,
რომ ცოდვებით დამძიმებულ მიწაზე
ვთესოთ, მხოლოდ სიყვარული დარ მზის...

ნათელა ქურციკიძე

ერთმანეთის მოფერება ვისწავლოთ,
გვქონდეს გული სანთელივით წმინდა!
გვერდში დგომა, მეგობრობა ვიცოდეთ
რაც ძალიან გვჭირდება და გვინდა.

რომ ყოველთვის, გზები გვქონდეს ლამაზი,
მოფენილი იითა და ვარდით...
გვმეგზურებდეს სიკეთე და ღირსება,
დავივიწყოთ ნაღველი და დარდი...

გულის გულში მიზიხარ

გულის გულში მიზიხარ და
არ გაკარებ ნიავს,
შენ, ხომ ჩემი მშვენიერი
სიყვარული გქვია.

ხან, ღამეებს თუ, ვათენებ,
ფიქრებს ვუხმობ, ამით,

იმიტომ, რომ მენატრები,
ყოველ წუთს და წამით!

მინდა, მუდამ ჩემთან იყო,
მსგავსი ლამაზ ფერთა,
და... ცხოვრების ყველა წელი
გავატაროთ ერთად!

შენ მოგიძღვნა ეს სიცოცხლე,
თუნდაც მქონდეს ასი...
უშენობით, ქვეყნად ყოფნას
სულ, არა აქვს ფასი!

უსასრულოდ, მხოლოდ შენთვის
ავენთები სანთლად...
და... ცხოვრებას გადაგიქცევ
საუკუნო ზღაპრად!

გულისგულში მიზიხარ და...
არ გაკარებ ნიავს
შენ, ხომ ჩემი ჩაუქრობი
სიყვარული გქვია...

მშვიდობის ზეცა გეფაროთ

ახალგაზრდობა, მინდა, რომ
მუდამ, გხედავდეთ, ლამაზებს.
მშვიდობის ზეცა გეფაროთ,
მზე სხივებს ჰფენდეს სავაზეთს.

გულშიც სიამე გეფინოთ,
იყავით ზრდილნი, ჭკვიანი,
ჭკუა, გონებით სავსენი,
გამორჩეული სვიანი.

თქვენ უნდა იყოთ სიკეთით
გამთენებელი ღამისა,
უნდა ადიდოთ სახელი,
ჩვენ გვაქვს სურვილი ამისა.

თუმც, პატარა გვაქვს სამშობლო,
ქართველებიც ვართ ცოტანი,
სული, ხომ, სალი კლდისა გვაქვს,
გვსურს ვიყოთ სიბრძნის მომტანი...

არ დავივიწყოთ, გვახსოვდეს
ვინ ვართ, საიდან მოვდივართ,
არ შევარცხვინოთ მამული
ვიცოდეთ ვისი მოდგმის ვართ!

გაზაფხული მოვიდა

რა ლამაზად გარიჟრაჟდა,
მტრედისფერად თენდება,
მზე განთიადს ეგებება
ტროლა ცას ევლება.

ყვავილების თაიგული
უხარია – ნაკადულს,
მოიმღერის და სურნელი
მოაქვს ტურფა გაზაფხულს.

მწვანე სამოსს ირგებს ნაზად,
და ირთვება ბუნება,
ფრინველები მიმოქრიან,
ცალკ-ცალკე და გუნდებად...

იას, გული გაუშლია,
ენძელების ჯარია...
ყველა, ნაზი გაზაფხულით,
მოიხიბლა ძალიან.

დავით მესხს ზამთარი არ უყვარდა. თუ თოვდა, ეგონა, იმდენს ჩამომყრის თავზე, თოვლის კარად მა–ქრევსო, თუ ყინავდა, ყინვის ლოლუას დამამსგავსებს, ჩე–მგან ყინულის ხანჯალს ვერ ჩამოყინავს, უფრო უწნაურ გროვას დამამგვანებსო.

დაინყებოდა ზამთარი და ჩაიკეტებოდა შინ.

ე. თავბერიძე

პირველი მგზავრი

ისეთ ჩინებულ ამბავზე მოგახსენებთ, ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში დამჯილდოებელი რომ მოიძებნებოდეს, სამახარობლო მერგებაო, – ამბობდა ნიკო ნიკოლაძე, თან, ძალიან რომ დაერწმუნებინა მკითხველი, ღმერთს გეფიცებითო, – ამატებდა. სხვა დროს დამაჯერებელი თხრობით, ათასი არგუმენტის მოშველიებით არწმუნებდა ყველას, ახლა რა ისეთ ახალ ამბავს ატყობინებდა, ღმერთსაც რომ ისაჭიროებდა?!

მდგომიარე 1871 წლის თოთხმეტ აგვისტოს, მარიამობის წინა დღეს იკურთხება და გაიხსნება რკინის გზა ფოთიდან ყვირილამდეო.

თუ ამას აუწყებდა ქართულ საზოგადოებას, ეკუთვნოდა, რას ჰქვია, არ ეკუთვნოდა სამახარობლო, მაგრამ დამჯილდოებელს მართლაც სად ნახავდა?! ღმერთის დაფიცებაც ამიტომ აღარაა უადგილო, ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა – რკინიგზის ერთი, ფოთიდან ყვირილამდე მონაკვეთი იხსნებ-იკურთხებოდა.

თოთხმეტ აგვისტოს ყვირილაში უმაღლესი მთავრობა, მაღალ-დაბალი სამღვდელოება შეიკრიბებოდა, ზოგი თავს ჩაქინდრავდა, ზოგი თავაწეული იტყოდა სიტყვას, გაბრიელ ეპისკოპოსი დააბოლოვებდა ნათქვამ-მოსმენილს, აკურთხებდა რკინიგზას.

მარიობა დღეს რკინიგზა მგზავრებს გადაიყვანდა, საქონელს გადაიტანდა. ამფერ სანუკვარ ამბავს ძვირად გაიგონებდა კაცი და მართლა ეკუთვნოდა ნიკო ნიკოლაძეს სამახარობლო!

რკინიგზას კი ხსნიდნენ, მაგრამ ყველაფერი ჯერ არ მოთავებულიყო – არც „სტანციის სახლი“, არც საყარაულო ქოხები, არც ის ადგილები შემოეღობათ, სადაც რკინიგზა სასოფლო გზას კვეთდა, ტელეგრაფიც არ გაუმართავთ, ტელეგრაფისტები არ შეურჩევიათ... ესენი, მართალია, აუცილებლად ჭირდებოდათ, მაგრამ უამათობაც დიდად არ უშლიდა ხელს მოძრაობას, ცოტა თუ დიდი გაჭირვებით მაინც იმუშავებდნენ.

ამას ეშველებაო, – ამბობდა ნიკო, – რკინიგზის მოსამსახურეები ფრთხილად იქნებიან, ხიფათს აიცდენენ. ის უფრო დამაფიქრებელია, ფოთიდან ახალსენაკამდე გზა ჭაობზე რომ გადის, ვაგონები ისე ირწევიან, როგორც ნავი აბობოქრებულ ზღვაში. ჭაობიან ადგილებში ნიადაგი თუ არ გამაგრდა, ხალხი დაფრთხება, რკინიგზით იშვიათად ივლისო.

ელგუჯა თავბერიძე

მატარებელი 40-60 ვერსის სიჩქარით იმოძრავებს, ჯოჯოხეთური ქროლა არ გეგონოთ, ევროპაში საათში ას ვერსსაც გადიანო.

ცხრა აგვისტოს კომისია ჩამოვიდოდა, გაკეთებულს შეამოწმებდა, თუ ფაცხაფუცხით მოხლაფორთებულს არ გავდა, მაშინ ამიერკავკასიის რკინიგზის ფოთი-ყვირილის მონაკვეთი გაიხსნებოდა.

შესამოწმებლად კი მოდიოდნენ, მაგრამ წინდაწინ იცოდნენ, ნებისმიერი ხარვეზის მიუხედავად, რკინიგზა მაინც გაიხსნებოდა, იკურთხებოდა, ნაკურთხი გამოსწორდებოდა. რკინიგზის ხაზი კარგადაა გამართული, მანქანები ინგლისში საიმედოდ გაკეთებულიო.

ნიკო ნიკოლაძეს რკინიგზის ფოთი-ყვირილას მონაკვეთის გახსნამდე ორი კვირით ადრე ყველაფერი დაუთვალიერებია. ჯერ ფოთში ჩასულა, იქიდან ქუთაისში რკინიგზით ამოვედი, იმ ვაგონებს გამოვყევი, საამშენებლო მასალებისა და მოსამსახურე პირებისთვის ფოთიდან ქუთაისისკენ რომ გა-

მოგზავნესო.

იმ ვაგონს, რომელშიც ნიკო იჯდა, საამშენებლო მასალებიც გადაჰქონდა, მომსახურეებიც გადაჰყავდა. მუშათა სახელები, რასაკვირველია, არ ვიცით, იმათი ვინაობაც, მარიობა დღეს ფოთიდან ყვირილამდე რომ იმგზავრეს, უცნობია.

ამიერკავკასიის რკინიგზის გახსნამდე ორი კვირით ადრე იმგზავრა „დროების“ კორესპონდენტმა ნიკო ნიკოლაძემ, ამიტომ, მართალია, ოფიციალურად არა, მაგრამ მაინც ისაა ჩვენთვის ცნობილი პირველი მგზავრი.

ტურფა ყვავილი

ეს ნოველა ძველქუთაისური ამბების ქრონიკიდანაა

დავით მესხს ზამთარი არ უყვარდა. თუ თოვდა, ეგონა, იმდენს ჩამომაყრის თავზე, თოვლის კაცად მაქცევსო, თუ ყინავდა, ყინვის ლოლუას დამამსგავსებს, ჩემგან ყინულის ხანჯალს ვერ ჩამოყინავს, უფრო უცნაურ გროვას დამამგვანებსო.

დაიწყებოდა ზამთარი და ჩაიკეტებოდა შინ.

— დათიკო, ნიკოლაძეებმა საღამოს გვესტუმროსო! — გასძახებდნენ შინაურები.

— ვინ თქვა? — ისე გაიკვირვებდა, თითქოს დედამიწას უკუღმა დაეწყოს ტრიალი.

— ბიჭი გამოუგზავნიათ.

— რით ვერ გაიგეს მაგ მამაცხონებულებმა, ზამთარში გარეთ გასვლა შავი ჭირივით რომ მეჯავრება!

— შენ გეჯავრება, იმათ კი არა.

— ჰოდა, უჩემოდ იმუსაიფონ, გამოზაფხულდება და ვეახლები.

— რას ამბობ, დათიკო, გამოზაფხულებამდე ბარე ასი ტურა იკივლებს.

— იკივლებს და იკივლოს! ამ ქარ-ყინვაში შინიდან ფეხის გამბიჯებელი არა ვარ!

— ნება შენია, მაგრამ სირცხვილს სად მიუდიხარ?! — არ ეშვებოდნენ.

— არსადაც არ მივუდივარ, ვერა ხედავთ, შინ ჩავიკეტე, გარეთ ცხვირსაც არ ვყოფ?!

— სხვათა უცნაურობებს დასცინი, შენი, ალბათ, იმათ გაკვირვებიათ და ამიტომაც გეძახიან ამ ყინულყიამეთში.

— ნუთუ აღარ ახსოვთ, ნუთუ აღარ ახსოვთ! — ამოიოხრებდა და თვალწინ თოვლიან-ყინვიანი ზამთრები ჩაურბენდნენ.

* * *

მიჟინებით არ თოვდა. უცებ გათოვდებოდა, უცებვე გადაითოვებდა, გადაკრიალდებოდა ცა და მიწაზე ჩამოყრილ თეთრ ფიფქებს ყინვის არტახებში მოაქცევდა. თოვდა და ყინავდა. მოყინულზე ათოვდა და ისევ საგულდაგულოდ ყინავდა.

გაიყინა რიონი. ბავშვები, ზოგჯერ უფროსებიც, დაღმა, ჯაჭვის ხიდიდან თეთრისკენ სრიალებდნენ. აღმა მოსრიალენიც გამოჩნდნენ, გზის შესამოკლებლად, რამდენიმე ნაბიჯს ჩქარა გაივლიდნენ, გასრიალდებოდნენ, ისევ გაივლიდნენ, ისევ გასრიალდებოდნენ.

მტრისას, რიონზე დაფენილი ყინული ჩამტყდარიყო, ერთს კი არა, რამდენიმეს ჩაიყოლებდა. ყინვის მარწუხებში მოქცეულ მდინარეში მკლავსაც ვერ გაატოკებდნენ. არ ჩამტყდარა, ღმერთმა დაინდო მოსრიალენი.

ეპისკოპოს გაბრიელის გარდაცვალების წელს იმოდენა მოთოვა, თოვლის გვირაბებში დადიოდნენ. მაშინ გადაუღებლად თოვდა, არ ყინავდა. ახლა, ანუ მომდევნო წელს, დღისით თოვდა, ღამით გადაკამკამდებოდა ცა და მოასარქალებდა ყველაფერს.

გზაწვრილებზე სიარული თითქმის შეუძლებელი შეიქნა. კუს ნაბიჯებით დადიოდნენ, მაინც ეცემოდნენ, ისისხლიანებდნენ სახეს, იტეხდნენ თავს. გიმნაზიის მოსწავლე, ვინმე ჭიჭინაძე, მოყინულ ქვაფენილზე გაიშხლართა, დაიჟეჟა ტანი, გაიტეხა თავი, სამი დღე იწვალა, მეოთხე დღეს სული უფალს მიაბარა.

ცოცხალი გვყოლოდა, სხეულის დაჟეჟვას ვინ ჩიოდა, ფეხი მოეტეხა, დაკოჭლებულიყო, ოღონდ ცოცხალი დაგვრჩენოდა, ხეიბარს მივხედავდითო, — კიოდნენ ჭირისუფლები.

გადაიარა ამ ზამთარმა, დადგა მეორე წელიწადი. ალაბნახევარი, ანუ ერთ მეტრამდე მოთოვა, მთელი დეკემბერი, იანვრის ნახევარი თოვდა და ყინავდა. სახლის სახურავები ყინვის ლოლუებმა შემოსა, ზოგი ხანჯალს, ზოგი თოფს, ზოგი უცნაურად აწოწილ არსებებს დაამგვანა. მზეში ელავდნენ, თოვლში კრიალებდნენ, დაათოვდა, მიაყინავდა, დაალღობდა, ისევ ჩამოხანჯლავდა ყინულის ქანდაკებას. შუა იანვრის მერე თოვაც, თოვლის ყინვით გაფიჩხულებაც თითქოს მობეზრდა დედაბუნებას და დათბა, გაწვიმდა, თოვლმა სწრაფად დაიწყო დნობა, თუმც მალევე გადაიკარა, არ აზვავებულა ნათოვ-ნაწვიმარი...

იმ დღეებში, როცა თოვდა და ყინავდა, ბალახვნის ქუჩაზე, დადიანის მოსახვევთან, ფურნე გაძარცვეს. წაიღეს გამომცხვარი პურები, ხურდა ფული ამოხიკეს სალაროდან. ვერ დაძრახავ, ფურნეს თუ ძარცვავ, პირველ რიგში, პურს დაითრევ, რასაკვირველია, ფულსაც გააყოლებ ხელს, იმ დღეს თუ არა, მეორეს მაინც ყველი რომ იყიდო, პურს – ყველი, ყველს – პური უხდება... მაგრამ ქურდებმა პურ-ფული არ იკმარეს, მოიპარეს სასწორი, გირები, საცხობი თუ საფუარი იარაღები, ჭურჭელი, რისი წაღებაც შეიძლებოდა ან არ შეიძლებოდა, გააყოლეს ხელს.

წაიღეს. შედარებით მსუბუქები ზურგზე შემოიდეს, მძიმენი ურემზე დადეს და ისეთ ადგილას მოაქუჩეს, რომ პრისტავ-მისტავებმა ვერ მიაგნეს. ბოქლომი ჯერ დაჭყლიტეს, მერე გატეხეს, ერთი საათი მაინც დაჭირდებოდა გაჭყლეტვას, ამდენი, თუ მეტი არა, გატეხვას. არც რკინის ჭახანი გაუგონია ვინმეს, არც ურმის ჭრიალისთვის მოუკრავთ ყური. უფროსი მეფურნე თათრები თავის ქვეყანაში წასულან, ფურნე აქაურ ნაცნობთათვის დაუტოვებიათ, ისინიც მაინცდამაინც გაქურდვის ღამეს არ ყოფილან შინ.

თითქმის შუაგულ ქალაქში, თოვლიან-ყინვიან ღამეს იპარავდნენ ყველაფერს, გარეუბანში რას იზამდნენ?!

თოვდა, ყინავდა, იპარავდნენ. არც ყინვაზე დაცდომიათ ფეხი, არც ურემი მოცურებიათ, გატეხეს, წაიღეს...

დადიანის მოსახვევიდან რომ გამოსულან, დუქნიდან ვიღაც ძაგნიძე მოფრთხილფეხობდა თურმე. მძარცველებს დაუნახავთ თუ არა, აჩქარებულან. ძაგნიძეს უფიქრია, მეც ავუწყობ ფეხს, ისინი თუ ჩქარა მიდიან, მე რა ეშმაკი წამაქცევსო... რა იცოდა საწყალმა, ისინი რისთვის ჩქარობდნენ, იმათი შემყურე, ესეც აჩქარებულა, დაცდომია ყინულზე ფეხი, თავიც, ხერხემალიც ისე დაუზიანებია, რომ თოფურიას საავადმყოფოში ექიმებს ვერაფერი უშველიათ, ორ კვირაში გადასახლებულა იმიერში.

მეოცე საუკუნის პირველ წელს, თებერვალში გათოვდა, სამ დღეს თოვდა, სამივე ღამეს ყინავდა. ყინულის ლოდები ჩამოაქანდაკა, სახლი თუ ბუჩქი ვერცხლისფერ ქანდაკებას დაემგვანა. გაიყინა მდინარე, გუბე, ტბა, მორევი, წყაროები ყინულის სამარხებს დაემგვანა.

ხალხი სახლში ჩაიკეტა, გარეთ იშვიათად გამოდიოდნენ. თუ მაინც გამოყოფდნენ ცხვირს გარეთ, ერთი საათის გასავლელს სამს ანდომებდნენ, კუზე ფრთხილ ნაბიჯებს ადგამდნენ, უფრო მიიპარებოდნენ, ვიდრე მიდიოდნენ.

ამ თოვლიან-ყინვიან თებერვალში ქუთაისში გარდაიცვალა ნინო, იგივე ნუცა სიმონის ასული მესხი. ჭირისუფლებმა ტრაგიკული ამბავი გაზეთითაც შეატყობინეს საზოგადოებას: ნაცნობებს, ნათესავებს ეუბნებოდნენ, პანაშვიდი ყოველდღე გაიმართება, განსვენებულის დაკრძალვა კვირას, 18 თებერვალს, სოფელ რიონში მოხდებაო.

ნინო მესხს ოჯახში ნაბოლარს ეძახდნენ. წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ქალთა სასწავლებელი. მალე გაიცნო ქალაქმა, როგორც ნიჭიერი და მოსწავლეების საოცრად მოყვარული პედაგოგი. ასწავლიდა რუბანის ქალთა სასწავლებელში, სადაც, ძირითადად, ღარიბთა ქალიშვილები სწავლობდნენ.

მასწავლებელს გულსაკლავად დატიროდნენ მოწაფეები, მოთქვამდნენ ახლობლები, შორებლები... ცას წვდებოდა მოთქმა-კივილი მეგობარ-დაქალებისა, მოზარეები შორიდან იწყებდნენ ტირილს, კივილს, სახეს იხოკავდნენ, თმებს იგლეჯდნენ.

ნინომ, იგივე ნუცამ, ძმის — დავით მესხის მკლავზე დალია სული. მესხების ოჯახს ჭირის დღე არ დაკლებია, კარგზე კარგები, თანაც ძალიან ახალგაზრდები გადასახლდნენ იმიერში, მაგრამ დავით მესხი არც ერთის სიკვდილს ისე არ დაუტანჯავს, როგორც ნინოს სიკვდილმა დატანჯა. ჭირისუფლებში მკვდარივით იდგა გათეთრებული, გაწამებული, სახეზე არაამქვეყნიურ ტანჯვააღბეჭდილი.

სიკვდილი ყველანაირი საშინელია, მოულოდნელი გარდაცვალება ნამეტნავად შემზარავი. შენს მკლავზე სულის დალევაც უმძაფრესი განცდაა, მაგრამ მარტო ეს არ უჩერებდა გულისცემას დავითს.

ნუცა მესხი მეტად მოხდენილი, ტანადი, იერიანი ქალი ბრძანდებოდა. გაუთხოვარ ტურფა ყვავილს ქუთათური კავალრები თავს დასტრიალებდნენ, ახლა მუნჯებივით გაქვავებულები შესცქეროდნენ ცას.

გავიმეოროთ, იმ ზამთარს, ქუთაისში უჩვეულოდ დიდი თოვლი მოვიდა. სახურავებზე დადებული თოვლი ჯერ მოყინა, მერე ისევ დაათოვა, ისევ მოყინა. იქიდან ჩამოშვებული ყინულის ლოლუები ვეებერთელა ხანჯლები გეგონებოდათ. ერთ-ერთი სახლის წინ საქმეზე მიმავალ ნუცას სახურავიდან ჩამოვარდნილი ყინულის ლოლუა დაეცა თავზე, შლიაპა გაუხვრიტა და სული გააცხებინა... ეს შალვა დადიანია.

მესხების საგვარეულო ჩხია (ესეც შალვა დადიანია) თვალები უკანასკნელად შეანათა ცისკიდურს ნინო მესხმა.

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ნუნუ ძამუკაშვილი

ყვავილები ბაასობენ,
ერთურთს ეფერებიან;
ბავშვებმა თქვეს: რა ლამაზი
ნაზი ფერიებია.

ისს უთხრეს ლექსები და
გვირილებს სიმღერები...
თავს ინონებს ყვავილების
ჰანანინა ღერებიო.

ნ. ძამუკაშვილი

საქართველოს

ჩვენი ქვეყნის სილამაზე,
მშვენიერი, ტურფა,
სიყვარულით მოუხატავს
საქართველო, უფალს.

ჩვენი ერთგულება ამკობს
სიძლიერე, შვენის
კიდევ უფრო გაბრწყინდება,
საქართველო ჩვენი.

მომავალი იმედია,
სიხარული დიდი,
ოცნებები, მწვერვალისკენ,
სიამაყით მიდის.

სამშობლოს

მიყვარხარ, ჩემო სამშობლო,
ზურმუხტი გშვენის და ლალი,
როგორ უხდება, ცხრათვალა
მზეს უამრავი დალალი.

დახატულია: მთა ბარი,
სიოც, ნაზად ჰქრის ფრთამალი,
როგორ იხარებს მამული,
ყველა, რომ იყოს ალალი.

გაზაფხული

ყოჩივარდა გახლავარ,
წითელსამოსიანი,
გავაღვიძე ენძელა
და ლურჯთვალა იანი.

ნუნუ ძამუკაშვილი

ცხრათვალა მზემ, ხალისით,
გვასაჩუქრა სხივებით,
რა, ლამაზად მომართა
გაზაფხულის სიმები.

მერცხალს, მალე, ვიხილავთ,
ბულბულსა და იადონს,
გმადლობთ, რომ გაგვახარე,
გაზაფხულო, დიადო!

გვიყვარხარ, მზეო!..

გვიყვარხარ მზეო, ცხრათვალა,
ოქროსფერი გაქვს სამოსი;
მოდი და... გამოანათე,
სუყველა სხივი ამოსვი!

შენი სხივებით ვარსებობთ,
შენ ზრდი: გვირილებს, ზამბახებს,
შენ აამღერე კვირტები,
სევდა მოსცილდათ ამ ბაღებს.

შენ მატებ ელფერს ყველა დროს:
გაზაფხულს, ზაფხულს, მშვენიერს,
შემოდგომაზეც, ზამთარშიც
ლხენით შევყურებთ შენ იერს.

რომ... დაგინახავთ, ვბრწყინდებით,
შენს მოსვლას ყველა ვაფასებთ,
თუმცა, ცხრათვალა გქვია და...
ვინ დათვლის სხივებს, ათასებს?!..

მზის და მთვარის სეხნიები

მზის სხივებთან საუბრობს
მზია გოგო, ეხლა,
თურმე, რომ დავიბადე,
დედამ მითხრა: მზე ხარ!

როცა გავიღიმებდი,
მზის სხივები მეხვია...
ბებოს უთქვამს: ვხარობთო,
გოგოა, მზის სეხნია.

მერე... ძმა დაიბადა
და დაარქვეს ბადრი,
მიყვარს ჩემი ძმაიკო,
მას, ბადრ მთვარეს ვადრი!

ანაბარი

მერცხალმა ბუდე და კერა,
რომ ჩააბარა მაშოს,
ფისო ახლოს არ მიუშვა,
ბუდე არ ჩამოშალოს.

მე თბილ ქვეყნებში მივფრინავ,
გული კი მრჩება თქვენთან,
რომ დავბრუნდები, ვიქნები
თქვენთან, ბარტყებთან ერთად.

კუდმაკრატელა მერცხალო,
მოვუვლი, სანაქებოდ,
მე, რომ სკოლაში ვიქნები,
ბუდეს მიხედავს ბებო.

მხატვარი თამარი

ჩვენი გოგო, თამარი
გამოვიდა მხატვარი,
არწივს ხატავს, ბრიალას,
ფრთებით ცაში ატანილს.

ხატავს თუთიყუშებსაც,
ჟივჟივას და ჟაკოსა,
ვნახეთ, თუთიყუშებმა
ერთმანეთი დაკოცნა.

ფარშევანგიც დახატა,
სილამაზით ქებული,
ჭრელა ჭრელა ბუმბულით,
ფარშევანგს, რომ ებურვის!

მე, რატომ არ მხატავო?
ციკანს გააქვს კიკინი!
და... დახატა ციკანიც,
ორი, კოხტა, კიკინით.

ყოჩაღი ბექა

საძოვარზე მიჰყავს ცხვარი,
ყოჩაღია ბექა,
არ იწვიმოს, გაიყოლებს
ჩემს, ნაჩუქარ თექას.

ლორთქო, ბალახს ძოვენ ცხვრები,
ცას – ლაჟვარდი ფარავს,
საღამოზე ჩააბარებს
პაპას, მოვლილ ფარას.

მზე, სიცოცხლის წყარო

ყვავილები ბაასობენ,
ერთურთს ეფერებიან;
ბავშვებმა თქვეს: რა ლამაზი
ნაზი ფერიებია.

იას უთხრეს ლექსები და
გვირილებს სიმღერები...
თავს იწონებს ყვავილების
პაწაწინა ღერებიც.

მიხაკები და ვარდები
მზის სხივს ეწონებიან...
მზესუმზირამ: მზევ, ცხრათვალა,
შენზე მეტი ლექსია.

ყვავილებმა მზეს შეხედეს:
ფერხული გვაქვს და ვხარობთ
რომ, შენ ხარო მზევ, კეთილო,
ჩვენი სიცოცხლის წყარო!

ჩიტის რძე

„ჩიტის რძე“ მოგიტანე,
ჩემო გოგო, ნატო,
ვიცი, როგორ გიყვარს,
როგორ – გულით ნატრობ.

ჩიტს, რომ რძე არა აქვს?..
ჩემო, კარგო ბებო,
თორემ, აწოვებდა
ბარტყებს, სანაქებოს.

ეს, ხომ, შოკოლადია
და... „ჩიტის რძე“ ჰქვია,
ნიჭიერი გოგო ხარ,
ამას მიხვდი, გვიან.

ია

იამ: შენ ვერ შემაშინებ,
თოვლის ფიფქო, ერთი ციდავ,
დამინახე, მოგეწონე
მიტომ, ჩამოფრინდი ციდან.

მართალი ხარ, ჩემო კარგო,
არ მოვსულვარ მარტში, ამ დროს,
მინდა, გულით მოგეფერო,
მინდა, შენთან, მზემ დამადნოს.

მტრედი

მტრედი შემოჯდა რაფაზე
და ჭკვიან თვალებს აცეცებს,
სიფრთხილით კენკავს ბავშვების
შეთავაზებულ ნამცეცებს.

მოიპატიჟა მტრედებიც,
ჭრელები, ფერად-ფერადი...
ჩვენ, ხომ გუნდი ვართ, საამო,
მოჟღურტულე და მღერადი!

ცაში, ნავარდი დაიწყეს,
ხედავენ მთა-ველს, დაქარგულს,
მადლობთ, მადლობთო, ბავშვებო,
ახლა, ვეწვევით ნაკადულს.

ფისო

საქანელაზეა ფისო,
ჩვენი ფისო ფისუნა,
ნიავსა სთხოვს, მაქანავე,
თამაშობა ისურვა.

კატავ, შენ კი თამაშობ,
კნუტების მაქვს დარდები;
ქარად, რომ გადავიქეცი,
დაბლა ჩამოვარდები!

გაიპარა

გაიპარნენ იანი,
ლურჯი თვალებიანი;
სხვა გაზაფხულს მოვალთო
რომ არ იქნება თოვა.

ახლა გემშვიდობებით,
დავრჩით ფოთლის ამარა,
სიხარულით მერცხლებმა
ცაში შეკრეს კამარა.

ბარტყებს, კი ვეღარ ვნახავთ,
და ბუმბლავენ უჩვენოდ...
ჩვენ, ყვავილის მაგივრად,
სიყვარული ვუჩვენოთ.

მარიამ ნადარეიშვილი

ჩვენში, უძველეს ტექსტებში, სადაც ნადირობას გარკვეული სიმბოლური დატვირთვა და ახსნა მოეძებნება, პირველი ესაა – საისტორიო თხზულებები, ხოლო მეორე – ქართული საერო ლიტერატურის ძეგლები.

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა XI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია, კერძოდ ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთ მეფეთა". რაც შეეხება ძვ. ქართულ ლიტერატურას, ამ შემთხვევაში გამოსაყოფია შემდეგი ლიტერატურული ძეგლები: მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი", შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა".

მ. ნადარეიშვილი

ნადირობის სიმბოლიკა და წარმომავლობა ძველ ქართულ ლიტერატურაში

ძველი ქვის ხანაში (პალეოლითში) პირველყოფილი ადამიანისთვის ძირითად საქმიანობას შემგროვებლობასთან ერთად წარმოადგენდა ნადირობა. ერთი მხრივ, ნადირობა იყო საკვების მოპოვების ხერხი, ხოლო, მეორე მხრივ, ტანსაცმლით შემოსვის შესაძლებლობა. დროთა განმავლობაში ნადირობა იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ აირეკლა ჯერ პირველყოფილი საზოგადოების ხელოვნებაში, ზეპირსიტყვიერებასა და ბოლოს – ლიტერატურაში. ამჯერად ყურადღება უნდა შევაჩეროთ ძველ ქართულ ლიტერატურაზე.

ჩვენში, უძველეს ტექსტებში, სადაც ნადირობას გარკვეული სიმბოლური დატვირთვა და ახსნა მოეძებნება, პირველი ესაა – საისტორიო თხზულებები, ხოლო მეორე – ქართული საერო ლიტერატურის ძეგლები.

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა XI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია, კერძოდ ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთ მეფეთა". რაც შეეხება ძვ. ქართულ ლიტერატურას, ამ შემთხვევაში გამოსაყოფია შემდეგი ლიტერატურული ძეგლები: მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი", შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი" და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა".

დავიწყოთ ისტორიული თხზულებების განხილვით. მეთერთმეტე საუკუნეში მოღვაწე ქართველი ისტორიოგრაფი, ლეონტი მროველი ქართლის ცხოვრების პირველ ნაწილში შესულ თხზულებაში – „მეფეთა ცხოვრება" გამოყოფს ქვეთავებს, რომელთაგან ჩვენთვის არსებითად მნიშვნელოვანია „ცხოვრება ფარნავაზისი". ანალიზისას გასათვალისწინებელია ორი გარემოება: პირველი – ფარნავაზის სიზმარი, მეორე – ფარნავაზის ნადირობა. სიზმრის ნახვა, მზის მონაწილეობა მასში, ნადირის დადევნება, გამოქვაბულის პოვნა განძის აღმოჩენა, როგორც წესი, ხსენებული ქმედებების ერთობლიობა გვხვდება არაერთი ქვეყნის ზეპირსიტყვიერებაში.

ფარნავაზის სიზმარი და ნადირობა შემდეგი სიუჟეტის მატარებელია: ფარნავაზს ესიზმრა, რომ სახლიდან გასვლა სურდა, თუმცა ვერ გადიოდა. რა დროსაც სარკმლიდან მზის შუქი შედის, ფარნავაზს წელზე შემოერტყა და გაიყვანა ველზე. ამ დროს ფარნავაზმა იხილა მიწაზე ჩამოსული მზე. საბოლოოდ ფარნავაზმა სახეზე მზის ცვარი იცხო. მეორე დღეს ფარნავაზი სანადიროდ წავიდა. იგი დაედევნა ირემს, ხოლო დაჭრილი ირემი კლდის ძირას დაეცა. მალევე დაიწყო წვიმა. ფარნავაზმა კლდის ძირას არსებული გამოქვაბული გაარღვია და შიგნით შევიდა, სადაც დიდძალი განძი იპოვა, რამაც დიდად გაახარა და გაახსენა მისი სიზმარი.

მართალია, ქართული ფოლკლორული ნიმუშების ჩანაწერები XIX საუკუნიდან გვხვდება, თუმცა ისინი გადამუშავებული სახითაა წარმოდგენილი ისტორიულ ძეგლებში. ვინაიდან, სიზმარი, მზის კულტი (მისი ცვრის ცხება აუცილებლად მეფობას მოასწავებს), ნადირობა (ირმის დადევნება), განძის პოვნა

– თითოეული მათგანის ფესვები გადგმულია ზეპირსიტყვიერებაში. ამ შემთხვევაში ნადირობას სპეციფიკური დატვირთვა ენიჭება. ის რაღაც ახლის დასაწყისია, კერძოდ ნადირობაა ის მთავარი ნაბიჯი, რომელიც ფარნავაზს აშორებს მეფობისგან.

ცხადია, ისტორიული თხზულება ვერ იქნება მთლიანად აგებული თქმულებებზე, მითებსა თუ გადმოცემებზე, მაგრამ მსგავსი პატარა, თუმცა დიდი მნიშვნელობის მქონე ეპიზოდებით შესაძლებელია შემოგვინახოს ფოლკლორული სიუჟეტები. ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობაში ჩანს, რომ ეს გარემოება ლეონტი მროველის ისტორიულ თხზულებებზეც ვრცელდება. ცხადია, რომ ისტორიკოსის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ზეპირსიტყვიერი გადმოცემები, თქმულებები, სიუჟეტები და სხვანი, რომელთა ელემენტებსაც ვხედავთ ლეონტი მროველთან.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისტორიულ თხზულებებში, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია მეფის სახე, როგორც კარგი მონადირისა. ერთი მხრივ, ნადირობა ეს მეფეთა სპორტია, როგორც თავშესაქცევი საქმიანობა. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი საქმიანობაც. ნადირობის შემდგომ მირიან მეფეც და ფარნავაზიც იქცნენ ახალ პიროვნებებად. ამით იწყება მათ ცხოვრებაში ახალი, ძველისგან ბევრად განსხვავებული ეტაპი. ფარნავაზის შემთხვევაში სიახლეს წარმოადგენდა განძი და გამეფება, ხოლო მირიან მეფის დროს ესაა ახალი რელიგიის მიღება. თავის მხრივ, ორივე წარმოადგენს რაღაც ძვირფასს.

ახლა კი გადავიდეთ მხატვრულ ლიტერატურაზე და ყურადღება გავამახვილოთ საერო ნიმუშებზე.

პირველი ნაწარმოები, რომელიც უნდა განვიხილოთ, არის მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, რომელიც XII ს-ის დამლევითაა დათარიღებული. იგი საგმირო-საფალავნო ხასიათის პირველი რომანია. ნაწარმოების პირველივე თავში ნადირობის დროს აბესალომ მეფე ქვითკირის სახლს გადააწყდება, სადაც ნახავს ექვსი ჭაბუკისა და ერთი მზეთუნახავი ქალის გამოსახულებას წარწერით. აქედან გამომდინარე იწყება ამირან დარეჯანის ძის ამბავი, რომელიც რომანის მთავარი გმირია.

„ამირანდარეჯანიანის“ შემთხვევაში ნადირობის ეპიზოდის სპეციფიკურობა რამდენიმე კუთხით უნდა დავინახოთ. პირველი ისაა, რომ ავტორი პირდაპირ არ იწყებს საუბარს თხზულების მთავარ გმირზე. ეს გარკვეულ პოეტურ ტექნიკად/სტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომლითაც ავტორი თხრობას უფრო საინტერესოს ხდის. ცხადია, მცირე თხრობის შემდგომ ძირითად საკითხზე გადასვლა უფრო ამაღელვებელი და საინტერესოა, ვიდრე პირველივე წინადადებიდან მასზე საუბარი.

მეორე – ნადირობას გადავყავართ ახალ რეალობაში. კერძოდ იმაში, რომელზეცაა მთლიანი რომანი აგებული. მწერალს შეეძლო უშუალოდ დაეწყო ამირან დარეჯანის ძეზე საუბრით, მაგრამ მან ნადირობის სცენით განავითარა მოვლენები და ამით მრავალფეროვნება შეიტანა ნაწარმოებში.

რაც შეეხება ნადირობის ეპიზოდის წარმომავლობას, ზემოთ უკვე განვიხილეთ ქართული ისტორიული თხზულებები, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მათ რამე გავლენა აქვთ „ამირანდარეჯანიანზე“. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ არანაირი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა არ გვაქვს რომანის ავტორის – მოსე ხონელის შესახებ. ამიტომაც, ბუნდოვანია ექნებოდა თუ არა მას შეხება ისტორიოგრაფიასთან. თუმცა, ნათლად ჩანს მისი კავშირი მითებთან, თქმულებებთან და გადმოცემებთან. მაგალითად, მთავარი გმირის არქეტიპი შესაძლოა იყოს ამირანის მითების მთავარი გმირი, მას სწორედ მითებიდან გამოყოლილი აქვს თვისებები, ხასიათი და ძალა და თავგადასავლები. ასევე, ორივეგან ვხვდებით ზებუნებრივ არსებებს, ესენია: ბაყბაყ-დევი, დევი, ვეშაპი.

ნადირობა, ზოგადად, მოიაზრებს სახლიდან გასვლას. ამ შემთხვევაში გარკვეულ მსგავსებას დავინახავთ ჯადოსნურ ზღაპართან. ვინაიდან ამ ტიპის ზღაპარში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი სწორედ გმირის სახლიდან გასვლაა. ის სამყარო, რომელიც სახლის მიღმა ელოდება, სავსეა გამოწვევებითა და თავგადასავლებით. ასეა ნადირობაც. ჩვენ შემთხვევაში საუბარი გვექნება მხოლოდ მეფეებზე, თუმცა ვინ იქნება მონადირე, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ისაა, რომ მეფე გადის სანადიროდ, დაედევნება პირუტყვს ანდა ნადირს, რითიც იპოვის რაღაც ახალს, რაც მის ცხოვრებას შეცვლის.

სწორედ ასეა „ამირანდარეჯანიანშიც“. მეფისთვის მთავარი ქურციკის დაჭერა იყო,

თუმცა გადააწყდა ქვითკირის სახლს, იღებს ახალ ინფორმაციას, რომლითაც ინტერესდება და თხრობის დასასრულამდე მასზეა ორიენტირებული.

ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსე ხონელმა გარკვეული ინტერპრეტაციით დატვირთული ნადირობის წყაროდ გამოიყენა ჯადოსნური ზღაპარი. ოღონდ, მხოლოდ მისი მთავარი ელემენტი – სახლიდან გასვლა და რაღაც სიახლე, რომელიც პოეტურად გარდაქმნა და კომპოზიციურად გამოიყენა კვანძის შესაკვრელად.

შემდეგი ნაწარმოები, რომელზეც უნდა ვიმსჯელოთ არის შოთა რუსთველის პოემა – „ვეფხისტყაოსანი“. გავიხსენოთ ნადირობის სცენა. როგორც ვიცით, სანადიროდ წავიდნენ როსტევან მეფე და ავთანდილი. ამ მხრივ ნადირობა წარმოდგენილია, როგორც მეფეთა შეჯიბრება, სპორტი. სწორედ ნადირობით უნდა გამოვლენილიყო ავთანდილის განსაკუთრებული თვისებები და დამტკიცებულიყო, რომ იგი მეფის ასულისთვის, თინათინისთვის შესაფერისი პიროვნებაა. აღზრდილმა (ავთანდილმა) აღმზრდელს (მეფე როსტევანს) აჯობა, „ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია, მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია“ (81, 1-2). დამტკიცდა, რომ ავთანდილი, ერთი მხრივ, ღირსეული სარდალი იქნებოდა სახელმწიფოსთვის. მეორე მხრივ, ნადირობამ ცხადი გახადა, რომ ავთანდილი თინათინისთვის შესაფერისი მიჯნურია.

აქვე გასათვალისწინებელია ნადირობის სიმბოლიკის სხვა მხარეც. ესაა ახლის აღმოჩენა, ამ შემთხვევაში – უცხო მოყმის. ნადირობის შემდგომ დასვენებისას წყლის პირას გადააწყდნენ უცხო მოყმეს: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა, შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“ (84, 1-2). ავტორი მკითხველს აცნობს პოემის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს და იწყებს ძირითადი ამბის მოყოლას. გარდა ამისა, ამ აღმოჩენით თავდაპირველად გაცნობილი პერსონაჟების (როსტევან მეფე, თინათინი, ავთანდილი) ცხოვრებაში იწყება ახალი ეტაპი.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არალინეალურ თხრობასთან, რომლის დროსაც თხრობის პროცესში ირღვევა მოთხრობილი ამბების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ვიგებთ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ისტორიებს, რომელბიც დროში მონაცვლეობს. ამ ტიპის თხრობა გარკვეული შთაბეჭდილებისთვის და ეფექტისთვისაა გამოყენებული, რათა მკითხველმა შეიტყოს შედეგი, რომლის გამომწვევი მიზეზი ჯერ არ იცის. ეს გარემოება მკითხველში ბადებს კითხვებს, თუ ვინაა ახალი პერსონაჟი და რა გზა აქვს თხრობის ამ კონკრეტულ მომენტამდე გამოვლილი. ამით კი კითხვა უფრო საინტერესო ხდება. ამითაა განპირობებული ის, რომ ნადირობამდე არ იწყება მთავარი პირების ამბის თხრობა. აქედან გამომდინარე იძენს ნადირობა სიმბოლურ დატვირთვას.

ზემოთ განხილულიდან დავინახეთ ნადირობის სიმბოლიკა, ახლა საყურადღებოა მისი წარმომავლობის საკითხი. ამ მხრივ შესაძლოა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს“ ზეგავლენა მოეხდინა. ვინაიდან, ნადირობის სიმბოლური დატვირთვა ორივე ნაწარმოებში იდენტურია. იმ ფაქტს, რომ შოთა რუსთველი იცნობდა „ამირანდარეჯანიანს“, გვიდასტურებს „ვეფხსიტყაოსნის“ ბოლო ტაეპი, სადაც დასახელებულია მოსე ხონელი და მისი ნაწარმოები:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,

აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,

დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,

ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრომელსა.“

სავსებით შესაძლებელია „ამირანდარეჯანიანში“ მოყვანილი ნადირობის სცენა შოთა რუსთველისთვის გარკვეული ბიძგი ყოფილიყო, მასაც გამოეყენებინა იგი თავის პოემაში. მეორე მხრივ, როგორც ვახსენეთ, ესაა არალინეალური თხრობა, როგორც პოეტური ხელოვნება, რომელიც მწერლის ნიჭიერებას და განსხვავებულობას უსვამს ხაზს.

ბოლო ნაწარმოები, რომელიც უნდა განვიხილოთ არის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. როგორც ვიცით, მეფე და მისი თანმხლები პირები ნადირობის შემდეგ დასვენებისას ხის ძირას მჯდომ ჭაბუკს გადაეყრებიან. იგი სწორედ ის პიროვნება აღმოჩნდება, რომელიც მეფე ფინეზმა იხილა სიზმარში. ჭაბუკი, სახელად ლეონი, შემდგომში მეფე ფინეზის ვაჟის, ჯუმბერის აღმზრდელი გახდება.

ნადირობის ეპიზოდის შემდგომ უფრო

კარგად ვეცნობით ლეონის პიროვნებას. ცალსახაა, რომ იგია ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რომლის გარშემოც ვითარდება მოვლენები. საყურადღებოა არა მარტო პერსონაჟის შემოსვლა თხრობაში, არამედ შემდგომში მისი მომავალი საქმიანობაც – მეფის ვაჟის აღზრდა.

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ნადირობას, როგორც მეფეთა სპორტს. ცხადია, ერთია ნადირობის მნიშვნელობა, როგორც რაღაც ახლის დასაწყისის, ხოლო მეორეა წარმოადგინოს სამეფო კარისთვის დამახასიათებელი თავისებურება. ვინაიდან, მეფის სხვა თვისებებთან ერთად არსებითად მნიშვნელოვანია მონადირეობაც. მეფე „გულის გადასაყოლებლად“, განტვირთვისთვის (რათა მოწყდეს მძიმე სამყაროს, რომლის მმართველიცაა) მიდის სანადიროდ, მაგრამ ამ მოქმედებაშიც კი ჩანს ხელმწიფის თვისებები. ამით ვხედავთ სახეს მეფე-მონადირისა. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ზემოთ განხილულ ყველა ნაწარმოებში წარმოდგენილია მეფე და მისი სანადიროდ გასვლა, რასაც მოსდევს რაღაც ახლის დაწყება.

სიმბოლიკის წარმომავლობასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი, ერთი მხრივ, წინარელიტერატურული ძეგლების გავლენითაა შემოსული, ხოლო, მეორე მხრივ, კავშირი გვაქვს ზეპირსიტყვიერებასთან, კერძოდ ჯადოსნურ ზღაპართან. ვინაიდან, აქაც მნიშვნელოვნად ფიგურირებს სიზმარი, სიზმრის ახდენა და ნადირობა.

ამრიგად, ნადირობის სიმბოლიკა ძველ ქართულ ლიტერატურაში შეგვიძლია მოვიაზროთ რაღაც ახლის დასაწყისად. ავტორებისთვის დამახასიათებელია მთავარი სათქმელის არა პირდაპირ დაწყება, არამედ არალინეალური თხრობა, რისი იდეალური საშუალებაცაა ნადირობა. ლიტერატურაში წარმოდგენილი ნადირობის ამოსავალი წერტილი, გარდა ამ თემატიკისა, ავლენს მეორე მხარესაც. კერძოდ, იგი სამეფო კარისთვის (მეფისთვის) დამახასიათებელი ჩვეულებაა.

ახლა რაც შეეხება ნადირობის სიმბოლიკის წარმომავლობას ძველ ქართულ ლიტერატურაში. საისტორიო თხზულებები ნადირობის სცენას წარმოგვიდგენდნენ როგორც ჩვეულებრივ კომპონენტს მეფეთა ცხოვრებიდან. მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ ნადირობის სიმბოლიკა დაკავშირებული უნდა იყოს ჯადოსნურ ზღაპართან და მის სტრუქტურასთან. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში ზეგავლენა შესაძლოა მოეხდინა წინარელიტერატურულ ტრადიციას. ასევე გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციასთან (მეცნიერები ხშირად ამსგავსებენ ამ ორის კომპოზიციებს). გარდა ამისა, ნადირობის ამგვარი სიმბოლიკით წარმოდგენა უნდა მივაწეროთ ავტორს, როგორც პოეტურ ნიჭად, ვინაიდან არალინეალური თხრობა მკითხველისთვის ერთ-ერთი საინტერესოდ აღსაქმელია. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ ნადირობის ამ ტიპის მხატვრული ფუნქციით დატვირთვა და სიზმრის ფენომენიც სავსებით შესაძლებელია დაუკავშირდეს წინა ლიტერატურულ თხზულებებსა და ზეპირსიტყვიერებას, რომელსაც ავტორი გადამუშავებული სახით წარმოგვიდგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

აღმოსავლეთი და დასავლეთი ქართულ ხალხურ ზღაპრებში: ზეპირი და ლიტერატურული ტრადიციები, ელენე გოგიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2019.

ვირსალაძე ელენე, ქართული სამონადირეო ეპოსი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1964.

კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980.

კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1958.

ნესტან სულავა, ვეფხისტყაოსანი – მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009.

„ქართლის ცხოვრება“, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1955.

წიგნები

ლიტერატურულმა ჟურნალმა „საქართველოს მაომბემ“ 2023 წელს გამოსცა ეთერ ანაშვილის (1929 – 2003) თხზულებათა პირველი ტომი – პოეზია. წიგნის სათაურია „მომყავს აპრილი“.

გთავაზობთ წმინდა ილია მართლის სახელობის სალიტერატურო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომცემლის დეკანოზი ილია ჩიკვაიძის გამოსათხოვარ ბარათს, რომელიც 2003 წელსაა დაწერილი და წიგნს წინათქმად ერთვის.

ეთერ ანაშვილი

„ვინც კვდება, თავისთავს უკვდება“ – თქვა სიკვდილის წინ გიორგი ლეონიძემ, და ამ სიტყვებში გამოხატა სიკვდილთან თუ მარადისობის კარიბჭესთან პირისპირ დარჩენილი კაცის უმწეობა.

პოეტის სიკვდილია ძნელი.

„პოეტი ქვეყანას უკვდება“ – ჯანსუღ ჩარკვიანის ეს სტრიქონები ნამდვილად ძალგვიძს მივუსადაგოთ ეთერ ანაშვილს.

იგი სამწერლო ასპარეზზე XX სუკუნის 50-იან წლებში გამოვიდა. მას შემდეგ მის შემოქმედებით ენერგიას დაღლა არ დასტყობია.

სიყმაწვილიდანვე მიიქცია მან გიორგი ლეონიძის ყურადღება. დიდმა პოეტმა ჩვეული მზრუნველობით დაულოცა გზა და მამაშვილური სიყვარულიც არაერთგზის დაადევნა.

ერთხელ ბატონი გოგლასთვის თელავში შეხვედრა გაუმართავთ. შეხვედრის შემდეგ დიდი პოეტი სუფრასთან მიუწვევიათ, მაგრამ იქ მყოფთა განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონია, როდესაც გიორგი ლეონიძეს უკითხავს, ეთერ ანაშვილი სად არისო. ეთერი მოკრძალებული ადამიანი გახლდათ და საღამოს შემდეგ შინ წასულიყო. გოგლას ხელები გაუშლია – სუფრას არ მივუჯდები, ვიდრე ჩემს ეთერს არ მომიყვანთო.

„ალაზნის განთიადის“ მაშინდელი რედაქტორი, შოთა როსტომაშვილი მისულა ეთერთან, წამოდი, გიორგი ლეონიძე სუფრასთან უშენოდ არ ჯდებაო. ეთერიც წაჰყოლია... გოგლას გულში ჩაუკრავს შვილობილი და სუფრასთანაც გვერდით მოუსვამს.

„აი, ასეთი იყო ჩემი გოგლა!..“ – ცრემლებით იგონებდა ქალბატონი ეთერი, – ის დღე ლეონიძემ ჩემდამი მოძღვნილი ექსპრომტით დაამთავრა და თბილისს წავიდა...

გიორგი ლეონიძის გარდაცვალება რომ არა, ეთერ ანაშვილი დღეს ქართული პოეზიის ცაზე აკაშკაშებული ვარსკვლავი იქნებოდა...

დედის მძიმე ავადმყოფობის გამო ახალგაზრდა პოეტი ტოვებს ლიტერატურის ინსტიტუტს, თელავში ბრუნდება და ხანდაზმულობამდე სარეცელზე მიჯაჭვულ დედას უვლის...

ამასობაში გარდაიცვლება გიორგი ლეონიძე – პატრონ-მეურვე იმდროინდელი ნიჭიერი ახალგაზრდობისა...



„მისი გარდაცვალების შემდეგ, გამომცემლობამ ჩემი წიგნი გეგმიდან ამოიღო... მივეჯაჭვე ჩემს ტკივილებსა... დედა... გაჭირვება... ცრემლი... და ასე შევრჩი ცხოვრებას ჩემი ლექსებით თუ ტკივილებით“...

იგი იყო არისტოკრატიული ბუნებისა და დახვეწილი გემოვნების ესთეტი, უგანსწავლულესი ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგი და პოეტური ხელოვნების მშვენიერი ოსტატი.

მან უხმაუროდ იცხოვრა ამ მოკლე წუთისუფელში... ტკივილად და სიხარულად კი თავისი ჩინებული შემოქმედება დაგვიტოვა.

სიკვდილამდე სამიოდე კვირით ადრე, ძმა გარდაეცვალა. სამძიმარზე მისულს შემომტირა, მერე ცოტა ხანს გარინდებული იჯდა.

წამოსვლისას მითხრა, ამ დღეებში უნდა დამერ-

ეკა შენთვის, მეც ძალიან მალე მოვკვდები და ნაწერებს მიმიხედეო.

რა ვიცოდი თუ პოეტის წინასწარმეტყველება ასე მალე გამართლდებოდა.

ქალბატონო ეთერ! თქვენმა სიკვდილმა კიდევ ერთხელ შეახსენა ჩვენს საზოგადოებას იმ მარადიული ღირებულებების არსებობა, რომლის ფარგლებშიც არ არსებობს არცა თავადი და არცა მონა, არცა აზნაური და არცა დიდებული, სადაც თაყვანისცემა ღირსებასა და ნიჭს ეკუთვნის და არა ამქვეყნიურ ხმაურს, გვარიშვილობისა და მლიქვნელობის სინდრომით დაავადებულ ფილისტერულ მასას, რომლისთვისაც უღირსებობა ცხოვრებისეულად სავალდებულო კანონია.

თქვენ ხომ ჭეშმარიტად ეკუთვნით სამყაროს, სადაც ღირსება ღირსეულთა და დიდება დიდებულთა ხვედრია!

მინდა ეს გამოსათხოვარი ბარათი დიდი გოგლას თქვენდამი მოძღვნილი სტრიქონებით დავამთავრო:

„ვსვამ კახეთის წვენს,
აჰა, შევთვერი,
მხიბლავს ეთერის
ახალი ლექსი,
ვით დაწერილი ირმის ნუკრისა,
მის ქალწულურ გულს
და მის ოცნებას,
ვაშა! მაისი ჰქონდეს უკლისად!“

გვაპატიეთ, ქალბატონო ეთერ, რომ თქვენს ქალწულურ გულს და თქვენს ოცნებას ვერ მოვუარეთ!

მარადიული მაისი იყოს თქვენი თანამდევი ღვთის საუფლოში, სადაც ჩვენს დიდებულ წინაპრებთან ერთად თქვენი სულიც დავანებულა.

ეთერ ანაშვილი

მომყავს აპრილი

დღის მზის სახელით მომყავს აპრილი,
დედამიწასთან იქორწინოს ლამაზთვალებამ,
რომ შვას სიუხვე, სილამაზე, ცრემლიც უბინო
მინდვრად ხნული რომ დაინამება.

ოქროს სახელით მომყავს აპრილი,
ასეთი ნორჩი და თავდახრილი,
რომ შავ ხნულებში თვალებს ახელდენ
ზამთრის ძილისგან უღვთოდ დაღლილნი.

მე დღეს ღმერთი ვარ ნაყოფიერთა,
მე და აპრილი მოვდივართ ერთად
და ჩვენდა ჰიმნად გაისმის ერთხმად
გამოღვიძებულ გულების ფეთქვა!

დიდხანს ველოდი

ალ. ახმეტელის ხსოვნას

დიდხანს ველოდი ამ გათენებას,
ანგელოზები რეკავდნენ ზარებს,
გოლგოთას მხოლოდ ახლა ენება,
ითვლიდა ცრემლით გაჩენილ ბზარებს.

იდგა დუმილი და იდგა გლოვა,
დუმილზე უფრო ძლიერი რაღაც
და ყვავილები დაყრილი გროვად
მიცქერდა როგორც ახალი დამღა.

დიდხანს ველოდი ამ გათენებას,
დიდხანს დამქონდა დარდი უძირო,
იმედის ცეცხლიც დაბრუნდებოდი,
დაბრუნდებოდი, მწამდა უცილოდ!

და, ჰა, გათენდა! ასი წლის კაცი
გვიკრებ და გვრაზმავ ახალი ცეცხლით,
თითქოს სცენიდან წასულხარ არც კი,
„პირნათელები შენს წინ არ ვრცხვებით“.

გული გასკდება! ალბათ გასკდება!
ცრემლიც მერევა, როგორც აროდეს,
ეს დაბრუნება გასაკვირველად
უნდა მტანჯავდეს თუ მიხაროდეს?!7

კურთხეულ იყავ!

კურთხეულ იყავ, ოსტატის მაჯავ,
თუკი დიდებას მატებ ჩემს მამულს.
კურთხეულ იყავ, ოსტატის მაჯავ,
რომელიც აგებ თმოგვს და ანანურს.
კურთხეულ იყავ,
კურთხეულ იყავ,
რომელიც რიყავ
სულს არაწმინდას.
მე ჩემი ქვეყნის დიდება მინდა,
მე ჩემი ქვეყნის სიმღერა მინდა,
აბორგებული ქვებში, ფერებში.
კურთხეულ იყავ, ოსტატის მაჯავ,
შენ სინანული არ ჩაგყვა საფლავს.
შენ დავიწყება არ გფარავს ახლაც,
ანანური ხომ მგზავრივით ახლავს
ჩვენი დღეების ძახილს შორეულს.
ხომ ანანურმა გადაგვირჩინა
ერეკლეს გული, ხმალი და მაჯა,
კურთხეულ იყავ, ოსტატის ფიქრო,
კურთხეულ იყავ, ოსტატის გარჯავ!

* * *

შუამთას წმინდა გულით ვეახელი,
ყოველი ცოდვისაგან განბანილი...
შუამთა წამებულთა დედა არის,
სისხლით შეუღებავს თავმანდილი.

შუამთას სათაყვანოდ ვეახელი,
აქ ბევრის სიცოცხლეა დაფერფლილი
და წყარო მათი ხმისებრ მოწკრიალე
გმირთა სისხლით არის დაფერილი.

შუამთას დასაფიცად ეახელი,
იგი ხომ ხატი არის სალოცავი,
მკერდნაიარევი, ბეჭგაუღუნელი,
უკვდავება არის საოცარი!

* * *

ვით ზღვის მკერდს სერავს,
მისცურავს გემი.
ღრუბლების ფრთას ხევს გუმბათით გრემი.
გუმბათი?
არა, გულია გრემის
სიცოცხლის,
ტრფობის,
გმირობის მგვრელი.

ო, იდღეგრძელე ლიბო ურღვევო,
სისხლით და ცრემლით შედუღებულო,
ბევრჯელ რბეულო და აკლებულო,
გლოვასთან ბევრჯელ შეუღლებულო.

მზის შესახვედრად გულები ზემოთ,
ჩემო ლხენავ და სადარდოვ, გრემო!

* * *

ცა ფირუზი, ხმელეთს ქება რაღად უნდა,
დაგატყვევებს ნიაღვარი ფერების.
ყვავილებთან? მე თითოეულ ლოდთან მივალ
და უსიტყვოდ, ჩუმად მოვეფერები.

მერე რა რომ გული არ აქვთ,
მთლად უგრძნობი და მთლად ცივი როდია,
სითბო ახლავს ჩემი მზის და ჩემი მიწის,
ისიც ჩემი საქართველოს ლოდია!

* * *

სიტყვა ვარ თუ სატევარი?
ქალი ვარ თუ ამღერება?
ძეწნა ვარ თუ ავდრიანში
ზღვის გრგვინვა და აღელვება?
სიო ვარ თუ ამბორი ვარ

დამალული ვარდის შტოში?
მოჩუხჩუხე მაჭარი ვარ,
დავასველე დოქის ტუჩი!

იმედო!

იმედო, გულის იმედო,
იმედო, ერთო ციდაო,
ან მთიდან მომესალამე,
ან ჩამომძახე ციდანო!

ან – მზესთან ამობრდღვიალდი,
ან – მთვარის შუქში დამლანდე,
ან – მომკალ დარდადქცეული,
ანდა ხელახლა დამბადე!..

ქალი

ვარ დედა, სატრფო, დაი და შვილი,
ხან მრისხანება, ხან მშვიდზე მშვიდი...
ხეი ნაყოფის, სიკეთის, ტრფობის,
ხან ფიქრი ზრუნვის, ხან ღიმის მთოვი.
ვარ თავგანწირვა, ვარ დაბადება,
ვარ შერკინება, ვარ თავდადება,
ვარ მოკრძალება, სინაზე სულის
და მბრძანებელი ამ ქვეყნად სრული,
რამეთუ მე ვარ ხეი ნაყოფის,
ხეი სიკეთის და სიყვარულის – ქალი!

გახსენება

ტაბიძეს, ჩიქოვანს, ლეონიძეს

იყო დილა ცისკრული
მოყოლილი მერცხლის ფრთებს
და თბილისის ნიავი
მიწეწავდა ნაზად თმებს...

პოეზიის წალკოტში
პოეზიის მამა-მზე
ღიმილს არ იშურებდა
თავაზიან სალამზე.

მორიდებით ვუმზერდი,
სითამამე მიჭირდა...
გოგლა და ჩიქოვანი
მასთან იდგნენ მიჯრითა.

ქართულ ლექსის ღმერთებთან
პოეზიის წალკოტში,
ო, ლექსები კი არა,
მხოლოდ ლოცვა წარმოვთქვი...

და ტაბიძის წვერების
ნელმა სიომ დამბერა.
იდგა სამი ღმერთ-კაცი –
პოეზიის სამება!

ვიდექ გარინდებული
მათი ღიმის ალმურში...
ოქროსფერი დღე იდგა
ჩემს მკერდახტულ მამულში...

ახლაც, როცა სიტყვებთან
ჭიდილს ვბედავ კრძალვითა,
მათი ღიმის ნათელი
და ის დილა მაქეზებს.

ო, ის დილა ცისკრული
მოფრენილი მერცხლის ფრთით...
ახლაც ვუხმობ, ვეძახი
მთელი ძალით, მთელი ხმით!..

მაგრამ არ დაბრუნდება
ბედაური უბელო,
ჩემი ხმით და ლექსებით
აბა როგორ ვუყელო...

თორემ, იდგა ნათელი
პოეზიის წალკოტში,
როცა დიდი სამების
წინ ფსალმუნი წარმოვთქვი...

ჯვარი

ჯვარი, ჯვარი, ჯვარი,
თვითონ ლოცვა და ფსალმუნი დიდი
აზიდულა სალოცავად მუხლმოდრეკილი!
ქალწულია, აბა დააკვირდი.

ჯვარო, ჯვარო, ახლა მესმის, ჯვარო,
რამ გაქცია ცის ასულად,
შენი ლოცვა ვით ასულა ცამდე.
მეც შენს გვერდით გამაქვავე,
ცისმარე დღე ეს მშვენება დამანახვე,
სხვას არაფერს არა გვედრი, ჯვარო.

როგორ გითხრა

აბა, როგორ გითხრა,
სიმღერების წყარო
როგორ მოჩანჩქარებს,
როგორ მომქუხარობს...
როგორ შეეჯახა
ირმის რქები გრიგალს,
ან თვალები მწველი
როგორ, როგორ გიგავს
მთების ელვას ფრთიანს,
წამწამები მზეზე
შუბებად რომ კრთიან...
როგორ გითხრა აბა,
როგორ მღერის ვერხვი
ცხრაჯერ დამეწყრილი,
ცხრაჯერ დამეხილი...
როგორ გითხრა ახლა
ჩემს ბუდეში შენზე
როგორ გლოცულობ და
ვწერ ცეცხლიან ლექსებს...
შენ რა იცი ცეცხლი
აბორგებულ გულის,
შენ რა იცი სიტკბო
მწვანე გაზაფხულის?
მე კი დამწვა ამ ცამ,
ამ რაკრაკა წყარომ
და ეს ჩემი ლექსიც
მიტომ მომქუხარობს.

* * *

ხან შემართება მომდევს ვეფხური,
ხან კურდღელივით ვთრთი და მხდალი ვარ,
ხან გამიტაცებს ქარის ფერხული
ქალს გულში მერცხლის ფრთის ფართხალითა.

ხან სვეტიცხოვლის სანთლის ცრემლი ვარ
შენს სადიდებლად ალმოდებული,
ხან აჩეხილი ვენახივით ვარ
და ფესვიანად ამოგდებული.

ხან თამარ მეფის ფერხთა მტვერი ვარ,
ხან ქეთევანის ცრემლის კურცხალი,
ხან სააკაძის ხმლის ნასხლეტი ვარ,
ხან ვეფხზე ლექსი გაუხუნარი.

პირველი თოვლი გრემში

წუხელ გრიგალმა აიშვა თავი,
მოითარეშა თემურ-ლენგივით,
ხან გუგუნებდა მთის თხემზე ავად,
ხან ხეობაში ქროდა შლეგივით.
აკანკალებდა ნასახლარ მიწას,
უმემკვიდრეოდ დარჩენილ ნანგრევს,
ციებიანი კაცივით იწვა
ჩოხაგახდილი იმ ნაგრიგალევს.
მერე ვიღაცას თუ შეეცოდა,
როცა გაიგო გრემის ამბავი,
მოიტანა და ვით ძეს კაცისას
გადაახურა თეთრი საბანი.

ნუნუ ძამუკაშვილი

გილოცავთ იუბილეს

100 წლის გახდა თელავის

IV საჯარო სკოლა

სკოლა შესრულდა ასის
ასი წლისაა, – სკოლა!
რამდენ მომავალს ერის, –
მიართვა სიბრძნის კონა.

ასივე სექტემბერი
ოცნება იყო — დიდი,
სულით და გულით, სკოლავ,
რამდენ თაობას ზრდიდი!

რამდენმა პედაგოგმა
წლებს გააყოლა გული
და ჩაუნერგა ბავშვებს
სამშობლოს სიყვარული.

მზესავით არიგებდნენ
ცოდნის სხივს, – მოციმციმეს,
ასივე წელიწადში
ზრდიდნენ მამულის იმედს...

სკოლის კედლებში სუნთქავს
გოგებაშვილის ია...
და... აცისკროვნებს — ცოდნას, –
დღეებს გვთავაზობს — მზიანს.

შოთა, ილია, ვაჟა,
აკაკი, დავით, ტატო,
და... სკოლის სიყვარულით
სწვდებიან სიბრძნის ტატნობს.

სკოლა შესრულდა ასის,
ასი წლისაა, – სკოლა!
რამდენ მომავალს ერის, –
მიართვა სიბრძნის კონა.

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო", მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის" ლიტერატურული ჟურნალი „ოლე", წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე".

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
ლია დაუშვილი

ჟიური:
ზაალ გოტკოველი (თავმჯდომარე)
ვანო ჩხიკვაძე
გივი ჩილვინაძე
აკაკი დაუშვილი

მაკა გელაშვილი

* * *

გულში შენი სიყვარული ფეთქავს,
ანგელოზთა გუნდი ტაძარს გივსებს,
მე შენთან ვარ, მაშინაც კი როცა,
განგმირული ფერდი გტკივა ისევ.

აგტკივდება იარები ყველა,
როცა ცოდვას კარს გავუღებ ფართოს,
შენ ჩემთან ხარ, მაშინაც კი როცა,
სულის ფიქრებს განუწყვეტლივ ათოვს.

იქით, სადაც გოლგოთაა ახლა,
შენს ნატერფალს გავუყვები გზაზე,
მაცხოვარო, განგმოსავენ სამოსს,
ეკლის გვირგვინს დაგადგამენ თავზე.

აბა, როგორ ავარიდებ თვალებს
ამ ტკივილებს, ჩემში გადარგულებს,
მაშინ როცა ჩამოგხსნიან ჯვრიდან,
დაგიკოცნი ტერფებს, ხელისგულებს.

დამუნჯებით მტკივა ყველა ძვალი,
შეიძლება ენამ მეტი ვერ თქვას,
ყველა ცოდვა მაპატიე, ღმერთო,
გულში შენი სიყვარული ფეთქავს.

მზია სალვარიძე

ჯვრის აყრა

ჯვრის აყრისას ჯავრს არ ვიყრი შენზე, მამაო,
ალაოდ გავალ ტაძრიდან და
ქვაზე დამჯდარი მოვიჯერებ ტირილით გულს,
მწყრალი თვალებით
მზერას გავაპარებ ხატისკენ
და უტახტო დედოფალივით
შეგატოვებთ უგვირგვინო ნეფეს მეორედ
კურთხევისთვის.
ღმერთია მოწმე,
თუ ინებებს ცოდვის აწონვას,
თუ ტყუილ-მართალს გაარჩევს
და მერე შეგვრისხავს,
მისი არ ვიცი,
ჩემს ბაღში კი ზეთისხილი აყვავილდება
და მე კადილოსს მანდილში მოვაგროვებ,
ანაც კალთაში ჩავიყრი და ისე მოვიტან ტაძარში
ნიშნად შეწყვეტილი სიცოცხლისა...
ნიშნად გავერანებული სულისა...
ნიშნად ჩემი ნაყოფის ხის უდიერად ხლებისა
და შენ მერე გადაწყვიტე, მამაო,
რაოდენ გულწრფელი ვიყავი მაშინ,
როცა ჯვრის აყრაზე თანხმობა განვაცხადე...

ფიქრია ყუშიტაშვილი

ლოცვა

მარტის ტკივილები დამიამეთ,
წმინდანნო – კოზმა და დამიანე!
მოვედ ტაძარს ნუგეშმაძებარი,
ერთგული, როგორც რო მეძებარი...
ირგვლივ სანთლები ლიცლიცებენ...
მლოცველნი ხატებთან იფიცებენ...
ლოცულობს მამა ივლიანე,
შენდობა უფლისგან იგვიანებს...
ჯვარზე გაკრულია მაცხოვარი,
ტაძრის კარს უზის მათხოვარი:
– „გაიღეთ, უფალმა გიმწყალობოთ,
ზეცას ანგელოსმა გიგალობოთ!...
...აწი მე რაღა მაქვს სათქმელი?!" –
ანთია კანდელში სანთელი...
იწვის და ადნება სულის ბზარებს,
მიფანტავს ფიქრებს აბეზარებს,

კედლიდან კოზმა და დამიანე,
მიმზერენ...
ტაძარი დავიარე,
ამბორი ხატებს დავარჩინე,
გულს იმედები გავუჩინე...
ლოცვანი სულს რომ მიხარებენ,
ვფურცლავ ოთხთავსა და სახარებას,
და ჰა, სინანული ჩამესახა,
მზერას, აროდეს რომ არ ენახა,
ისეთი სიყვარული მეწვია და
ვითომ ჩიტი ვიყო მზეწვია და,
ისე ამამჩატა აღსარებამ,
გავბედე თხოვნა, – ანგარება
მისხალიც კი არ დავიტოვე,
მხოლოდ მე ვარ და სიმარტოვე...
ჰოდა, ერთადერთი მეგულება –
ეს განცდა არსად „იგუგლება“,
როგორც ტაძარს უცხო მათხოვარი,
ისე მჭირდები, მაცხოვარო!.
. . . . . .
მოვედ, ტკივილები დამიამეს
წმინდანთ კოზმამ და დამიანემ!...

გიორგი ზუბიტაშვილი

* * *

აელვარდნენ ასკილები წყაროს პირას...
დგას სიჩუმე უპირო და არც რის მთქმელი,
ნისლურ ფიქრი ქარს და სიოს შორეთს მიაქვს,
ფიქრი მძიმე, უთქმელი და უძრახველი.
უკან ჩემი ნაკვალევი ცრემლმა შალა,
ვით ამბავი სამიჯნურო – გულთ ისარი,
ვერ მომდრიკა, დრომ ვერაფრით ვერ დამღალა,
ამ წალკოტში მეფეც მე ვარ – კეისარიც!..
აელვარდნენ ასკილები წყაროს პირას,
თმა გაშალეს ტირიფებმა – ცხრა ნაწნავი...
მზეცა ვნახე, მთვარეც ვნახე, ნახვად ღირდა,
მხოლოდ შენღა დამრჩი, ღმერთო, სანახავი!

ჯემალ შანიძე

ანბო თბილელი

ფერფლადქცეულიც
თქვენი ღმერთის ვარ
და თქვენი მინდვრის მწვანე ბალახი.
იმ ალაჰს გული ვერ შეეთვისა,
რამდენი რამე დაგვრჩა ნანახი.
სანთლად ვანთივარ,
ქრისტე ღმერთისა,
ცისთვის დავიწვა,
განა არა ღირს?
მადლობელი ვარ
ჩემი ბედისა,
მტკვარო,
ხომ გახსოვს

სული ამაყი...
ფერფლადქცეულიც
თქვენი ღმერთის ვარ, –
თქვენი მინდორის მწვანე ბალახი.

თენგო ხუციშვილი (ქრისტეს მხედარი)

* * *

ეს მერამდენე დღეა უმზეო,
დათარეშობენ ღრუბლები ცაზე
და სული ჩემი როგორც უმწეო,
ხელგამოწვდილი აგდია გზაზე.

ვიცი, ეს ქარი რასაც მიპირებს,
უღვთოდ დათოფილ ცოდვილ მაჯებზე,
მჯერა, ოდესღაც ვინმე მიტირებს,
არ შეაშრება ცრემლი ღაწვებზე.

ნელი ნაბიჯით ვსერავ ბილიკებს,
არ მინდა მიწას რამე ვატკინო,
წვიმა კი ისევ შოლტავს ტირიფებს,
მთვარე კვლავ ცდილობს ღამე ატიროს

ციხედიდს* რეკენ ტაძრის ზარები,
სანთლებმაც ტანზე გაიძრეს ცვილი,
– ჩემო უფალო, არ გემალები,
შენთან მოვდივარ უძღები შვილი!..

მარიამ გოჯიაშვილი

ასე იყო ეს ზღაპარი

(შოთა ნიშნიანიძის ლექსის გამოძახილი)

თუ რიონზე სანაოსთან
ბონდის ხიდი ქანაობდა,
თუ ჯადოსნურ ლერწამს ვთლიდით
სად გაფრინდა ბედის ჩიტი?
თუკი დედაღვთისმშობელი
ვაზსაც უმაგრებდა ჭიგოს,
თუ კი ბჟოლაც თავად სხიპა,
ჩვენი საქმე სხვა რა იყო?
გუთნის დედას ქრისტე ღმერთმაც
გუთან-კავი დაულოცა,
მიწას კვალიც დაამჩნია
ნიკორა ხარს დაუჩოქა.
ხნულში თითო თითო წვეთიც
ხვავი ოფლად ჩააქცია...
ნუთუ მართლა ბალღამს ვთესდით...
ნუთუ მართლა დამრეცია?..
ვერც ბადრიმ და ვერც უსუპმა,

* ციხედიდი – მცხეთაში, სოფელ ძეგვის შესასვლელში, მარცხნივ შედის ციხედიდის ხეობა, სადაც VI საუკუნეში მოღვაწეობდა ევაგრე ციხედიდელი და დღეს ორი მონასტერია.

ვერ გვასწავლა ძმობის ფასი,
არ დავინდეთ ამირანი
შხამნარევი ღვინო ვასვით,
არ დავინდეთ, გადავჯაჭვეთ
კავკასიონს ჯვარად ვაცვით.
ვერც ძიძობა გაგვიწია,
კოლხმა ქალმა, ამორძალმა,
ვერც გვიშველა ჩიტ-ბატონას
ცხრა სანთელმა, ჩამომდნარმა
და ვერც ლოცვამ, ბერის ლოცვამ
ცრემლ-ნიაღვარ აღმომსკდარმა...
– ასე იყო ეს ზღაპარიც,
ჩიტ-ბატონავ ფრინდი, ფრინდი
ცის და მიწის გასაყარი
სად ვიპოვოთ ბეწვის ხიდი?
მაღლა ცაში წკრიალ-წკრიალ
წკრიალა ხმით იგალობე:
„ბორკილს გავწყვეტთ!“ „გიხაროდენ!“
„გიხაროდენ!“ იგალობე!

მირანდა ერისთავი

საუბარი ღმერთთან

ბევრი რამეა, ღმერთო,
რაც ჯერ აქამდე არ ვთქვით,
ტრანსპორტში ვარ და ბავშვებს
მოხუცი უთმობს ადგილს,
სხედან უტიფრად ჯინსით,
თუ ჯარისკაცის ფორმით
კაცები! – ამ დროს ბავშვმაც
იცის რა არის სწორი.
ვილაცა ქალი სავსე
მკერდით, ფულით, თუ პუდრით,
მშიერს ჩაუვლის ბავშვებს –
რაც დანაშაულს უდრის!
კიკინიანი თმით, თუ
ყურზე საყურის რგოლით –
ბიჭი უღიმის ყველას
და თბილ საუბარს უბამს,
ის გრძელფეხება გოგოც
მეძავი არის, მგონი,
რომ ამოვარდა მკერდი
და ატკბობს გზას, თუ უბანს, –
ტარებაში რომ ჩანთის
ეხმარებოდა გამვლელს, –
სანამ კლუბებში ღამით
ტეკილას ისევ დალევს.
ბავშვი პურს თავის წილსაც
მტრედებს, თუ ძაღლებს უწვდის:
სიკეთე ნიშნავს იმას,
რასაც ნიშნავდა უწინ...
ბიჭი ნაყინის ხურდას
ჭიქაში უყრის გლახაკს –
პურის ფულად რომ ჰქონდა –
და რომ წაართვა დედას,
სიკეთეს თვალით ვერა,
მარტო გულითა ნახავ
რადგან ყველაფერს მარტო
ღმერთი და გული ხედავს...
.....
და ამ ყველაფერს ამდენს
რატომ გიყვები? – ვინძლო,
ღმერთო, თუ შემხვდი სადმე
ქუჩაში მაინც გიცნო....

ივეტა პავლიაშვილი

მენატრები

მწყემსო კეთილო, შენს წმინდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
...გვესწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!
ნ. ბარათაშვილი

მინდა დავიქანცო, შენთვის დავიხარჯო,
მერე დავისვენო შენი მთების ჩრდილში.
მინდვრის ყვავილები ზეწრად დავიფინო,
მცველად დავიყენო შენი კუშტი მთები.
შენმა ცელქმა სიომ, მინდა ნანა მითხრას,
მინდა შემიმშრალოს ცრემლი სინანულის,
მინდა ისიც გითხრა, სხვისთვის რაც არ მითქვამს,
მინდა, სულ ტყვე დავრჩე შენი სიყვარულის.
ჩემო დედამიწავ, უნდა შემოგევლო,
უნდა მოვირბინო შენი მინდორ-ველი.
ხელით თუ ვერ შეგწვდი, თვალით მოგეფერო,
ეს ის ცრემლი არის, დიდხანს რომ ველოდი.
შენი ალაზანი შუბლზე ოფლს მიშრობდეს,
ღმერთი დამიფარავს ჯვარით – წმინდა ვაზის,
ჩემო შუამთავ და ჩემო ალავერდო,
მინდა სულ ტყვე ვიყო თქვენი სილამაზის.
ჩემო აკვნის დედავ, როგორ მენატრები,
ველარ გინახულე, ჩემო საყვარელო.
გრძნობებს თუ ავყვები, ცრემლად დავიღვრები,
შენს წინ დავემხობი, გთხოვ, რომ მაპატიო...
მინდა თქვენი სითბო გულში იღვრებოდეს,
როგორც ქრისტეს სისხლი – შავი საფერავი,
ჩემო გავაზო და ჩემო ნინოწმინდავ,
მინდა მრევლად დავრჩე თქვენი სალოცავის.
ვაზის ფოთლებით შევიშრობ ცრემლებს,
ლექსის სტრიქონებს გავაბნევ მინდვრად.
შენს კორდებიდან მოკრეფილ იებს,
ტყის ყაყაჩოებს წავიღებ მზითვად.
ბედნიერი ვარ მაგ საჩუქარით,
მე შენი სულის სიწმინდეს ვფიცავ,
შენი წარსული ხატია ჩემთვის,
ცრემლი მარიამის – წმინდა მირონია.
ტკივილს მონატრების ლოცვით ვიმსუბუქებ,
რადგან ჩემი რწმენა მხოლოდ ნინოსია.

მირანდა ზაბახიძე

„სულის იმედი"

შენსკენ მოსასვლელ ბილიკებზე სად არ ვიარე,
სად არ გეძებე, სად არ ვიყავ... და გზაც გამოჩნდა.
სანთელით გძებნე უფალო, და როგორ გინატრე,
შენს სიახლოვეს ყველა ყალბი სიტყვა მახსოვდა.

იქნებ დავწერო ერთი სიტყვა ცამდე მართალი,
სული ჯვარცმული ქრისტესავით ვაქციო ტაძრად.
აღუვსებელი საწყაულით შევსვა ზედაშე,
დაე, ამცილდეს სიცრუე და კვლა ვიყო კრავად.

სულის იმედი ახლა მხოლოდ შენზე ფიქრია,
ნაზარეველი ჩემში იქნებ ახლა გადარჩეს.
მე მხოლოდ ასე, მხოლოდ ასე, თუ შემიძლია,
არ შემაგუო საწუთროზე ყველა განაჩენს.

ვახ, სიცოცხლეო იმედად რომ ჩასახლდი სულში,
ყველა სუნთქვაში შენს ფეთქვას ვგრძნობ
დასაბამიდან.
ისე უეცრად, ისე ძლიერ აღელვდი გულში,
უფლის მზერას ვგრძნობ ტაძრის კარის
აღსავალიდან.

ილაღე გულო, დღეს სიცოცხლის შესვი ფიალა,
იმ მოგვებს უხმე გულის ფსკერზე რომ ჰგვანან
მნახველთ.
დედაქალწულო ჩემი სულის მსაჯულად გიხმობ,
შენ თუ დამიცავ, სხვა სიავე, მე რაღას მავნებს?!

ვიდრე სიცოცხლე სიყვარულით იმეფებს ქვეყნად,
ვიდრე გაზაფხულს იასამნის სურნელი ავსებს.
ვიდრე ჩვენს სიტყვას მადლიანი ელფერი
დაჰკრავს,
მჯერა არასდროს დედამიწას წარღვნა არ წალეკს.

თია ყავრელიშვილი

აფხაზეთი საქართველოა

როგორ მინდა აფხაზეთში რომ ვიმღერო,
ცხენზე მჯდარმა ვიჯირითო მალიმალ,
გულს დამაჭრეს აფხაზეთი – საქართველო,
ერთხელ ჩემო, ორაიდა რაიდა.

ენგურს აქეთ მაჯისცემა ესმით ჩემი,
და თუ ვინმემ ფსოუს წყალი დალია,
ფეხზე დავდგეთ დავიბრუნოთ ჩვენი მიწა,
ქართველებო, – ეს ხომ ჩვენი ვალია...

დამიჩეხეს საქართველო ნაწილ-ნაწილ,
გამიხლიჩეს და გამიყვეს ერია,
ჩემს მიწა-წყალს ოდითგანვე სისხლით მორწყულს,
არ ელევა ღალატი და მტერია.

როგორ მინდა ფსოუს წყალი პეშვით შევსვა,
იქ მიხმობენ მოჟღურტულე ჩიტები,
გულს დამაჭრეს აფხაზეთი, – საქართველო,
ტკივილივით დამირბიხარ, მჭირდები...

როგორ მინდა აფხაზეთში რომ ვიმღერო,
იქ ცის ნათელს საქართველოს ფერი აქვს,
ღმერთო ჩემო დამილოცე სამაჩაბლო, –
სოხუმი ხომ ქართულია, ჩემია...

აფხაზეთში სხვანაირად ვიღიღინებ,
ამ ღიღინსაც იქ ხომ სულ სხვა ხიბლი აქვს,
ყველა კუთხე მოვიარო სულ ფეხდაფეხ,
მერე ვიტყვი ორაიდა რაიდას...

მზე გიზგიზებს აფხაზეთის სალოცავში,
და სისხლივით გადამირბენს ძარღვებში,
ერთიანი საქართველო დამილოცე,
უფალს შევთხოვ და ერთობა ქართველში...

ჩემი სახლი მელოდება დაკეტილი,
გამიცივდა მამა-პაპის კერია,
მე ფესვებზე დაბრუნება მოვინდომე,
ცის თაღს ვნატრობ გაბრწყინებულს, ერთიანს

მოვა დრო და დროშით ხელში შევუყვები,
გზას, რომელიც აფხაზეთში წამიყვანს,
ვერაფერი შემაჩერებს, რომ ვიმღერო,
ერთხელ კიდევ ორაიდა რაიდა...

ქართულ დროშას მაღლა ავწევ სიამაყით,
აფხაზეთი, სამაჩაბლო, სოხუმი,
როცა შევალ ქართველებო დასცხეთ მერე,
ცეკვით შევხვდე, – გამარჯვება „ხორუმით"...

ღმერთო მინდა აფხაზეთში რომ ვიმღერო,
ცხენზე მჯდარი ვიჯირითო მალიმალ,
ერთიანი საქართველო დამილოცე,
მათქმევინე, ორაიდა რაიდა!

ლია მამულაშვილი

იუდას ამბორი

მოწაფეთაგან ერთ-ერთი გასცემს,
ბევრი ჯამიდან ერთია შხამი,
დაწერილია უკვე ბედი და
გაწერილია უხმო ღალატი.

მოწაფეთაგან შენ ერთი გასცემ,
შენ აგირჩია განგებამ ახლა,
ღამეს ედება ფერი ასპიტის
და ლუციფერი გადაჰკრავს ამ ცას.

დადგება მალე ჟამი სერობის,
საბედისწერო დადგება წამი,

თითქოს მერყეობს სული ცოდვილი,
კი თუ არაო, – ჩაგძახის მალვით.

და მაინც, დგება წამი გაცემის,
უნდა დაინგრეს ცაც თითქოს გრგვინვით,
შენ კი იუდა, შენი ხელიდან
მშვიდად გაიწვდი სამსალას სიმწრის.

იგრძნო, რა იგრძნო. იცის უფალმა?!
დაწერილია წინასწარ ბედი,
და განაჩენი აღსრულდეს უნდა,
მუხთალი არის ზოგისთვის ხვედრი.

არ გწყალობს... ღალატს სული ვერა გრძნობს,
გაყიდულია 30 ვერცხლად!
იქნებ შეჩერდე, არ ეამბორო! – გადაარჩინო
კაცობრიობა საოცარ სევდას.

მაგრამ ეშმაკი ხარხარებს უკვე,
სადღაც მამალიც სამჯერ იყივლებს,
საბედისწერო დაჰკრავს საათი
და საიდუმლო ცხადდება ისევ...

მისი გზა არის უფლის კარიბჭე,
შენ კი შენს ცოდვას როგორ აზიდავ?!
გეყოფა მიწა ეს სისხლიანი,
30 ვერცხლად რომ გადაგირჩა?!...

ჰა, შენი სული სადღაცა ახლა,
თოკს ეკიდება შენი სხეულიც,
აღესრულება ეს წამიც ახლა
და საუკუნო შენ გაქვს სახელი...

უცნაურია სამყაროს ნება,
და საზღაური ამ ღალატისთვის,
ჭეშმარიტებას ეძიებს ბევრი,
მაგრამ შეიცნობს მხოლოდ მპოვნელი.

ლალი მიქაია

წმინდანების ცხოვრება

წმინდანების ცხოვრება
ძალზე საკვირველია,
ყველა საოცრებაში
უფლის ხელი ერია.
იცით, წმინდა ზოსიმე
გალიაში ლომებთან,
რომ შეაგდეს მხეცები
თითქოს იქცნენ ლოდებად.
წმინდა შიოს მღვიმეში
ერთი მტრედი სტუმრობდა,
მას მოჰქონდა საგზალი,
შიოდა თუ სწყუროდა.
და მრავალი წმინდანის
მტკვარიც გახდა საძვალე,
ხოლო მათმა სულებმა
ცაში ჰპოვეს სავანე.

მაკა აბულაძე

* * *

გამომიყვანე სიზმრის კარიდან,
ცხადი ჩრდილებთან ვეღარ თანხმდება.
გადამარჩინე, სიზმრის ახდენას
და მოგიყვები, ჩემთან რა ხდება, –

როცა ზამთრობით, ჩემს თბილ მხარეში,
თოვლი ცას ტოვებს და ძირს ეშვება,
თოვლის სიმძიმით დახრილ ხეებზე,
ჩემს სიზმარს მთვრალი ფეხი ეშლება...

ღმერთო, გეძახი, ჩემს ცოდვებს რომ ჭვრეტ,
უხმო ლოცვებიც შენთან ხომ მოდის?
ჩემი მზერიდან, შენს ჭრილობამდე,
აღმართიანი გზაა – გოლგოთის.

ვილაგებ, თვალთა მახსოვრობაში,
გადათიბული მიწის კიდურებს.
ჰო, უნებლიედ ისევ გშორდები
და ბედიც ისევ შემომიმდურებს.

ხელუხლებელი მრჩება ტარიგი.
სულ მალე ელვა ზეცას მოზომავს,
ატკიებული ღრუბლის ტანიდან,
წვიმადშობილი თოვლი მოჟონავს.

ცეცხლის დისკოზე სხივმოხვეული
მზე, დაისიზმრებს გაყინულ მიწებს.
შეებრალება ჩემი სხეული
და ნაწილ-ნაწილ შემაკოწიწებს.

ასე სრულდება ყველა სიზმარი,
რომელიც ძილში ვერ მოემწყვრია
და გზები, როგორც მდინარეები,
უსასრულობას ცაში ერწყმიან.

ანა გელაშვილი

ღმერთს თუ უნდა...

პაწაწინა ჩიტი ჭალის,
წვრილ ფეხება წკირივით,
გულზე ფერი ცეცხლის ალის,
ნორჩი, დაუღალავი,
თითის სიგრძე ფრთის ფრთხიალით,
გვერდს აუვლის ყვავილებს,
გადახედავს ცალი თვალით,
შროშანებს და ნარგიზებს,
ცაზე შეკრავს ღრუბლის რკალებს,
შიგ მზეს დააბინავებს,
ააკენკავს მერე სხივებს
გაიკეთებს ნაწნავებს,
გვირგვინს დაწნის წვიმის ნამით,
თეთრი ღიღილოებით,
კაბას მოქსოვს ფერთა გამით,

ოქროსფერი ღილებით,
ლაპლაპა კლდეს გზად აღმართულს,
ნამცეც-ნამცეც გამოლევს,
მუხას ცისკენ ტოტებ გართულს,
ცხრა მთას იქით გაითრევს,
ხან ღრუბელზე შეასკუპებს,
ხან მზის სხივზე დაჰკიდებს,
ხმელ ფესვებზე ნამს აპკურებს,
ბროლის ბუდეს დაიდებს,
კენწეროზე შემომჯდარი,
გაზაფხულზე იმღერებს,
სადაც კარგი არის დარი,
მუხას იქით წაიღებს...
პაწაწინა ჩიტი ჭალის,
კლდეს აქცევს იაგუნდად,
მერე ნამცეც-ნამცეც დაშლის,
ძირს დასცემს, ღმერთს თუ უნდა!

ციური მესხიშვილი

მონაზვნის აღსარება
(გირშელს)

მიყვარხარ შენი მოლურჯო,
გახუნებული ფარაჯით,
ძლივს მოვაღწიე შენამდე
ძველი, სამეფო ყავარჯნით...
საუკუნეა მოვდივარ,
რომ მომეღწია შენამდე,
გზადაგზა გზირნი ამიძღვნენ,
შორით მზირები მზვერავდნენ!..
გამძარცვეს, ურცხვად წამართვეს
მეფის ნაბოძი ქულაჯა,
მომხვია თავისი ფრთები,
სამშობლოსფერმა დურაჯმა...
მოვედი, უნდა დავკოცნო
ნაკოშკარ-ნაქონგურალი,
აქ, სადღაც ახლოს მარხია,
ჩემი ფეხმარდი ქურანი.
იქეთ ნუკრები დახტოდნენ,
ფეხს არ ადგამდნენ გვირილებს,
გახსოვს? – ერთხელ რომ მაკოცე,
რა ნაზად ჩაიღიმილეს?!
ოქროს ჩარდახი თუ გახსოვს,
ჩვენს წერილებს რომ ვმალავდით? –
ის წერილები მიმყვება
ფსალმუნად უფლის კარამდი.
მაშინ მე სულ სხვა მიყვარდა,
შენ ვინ გიყვარდა მანამდი?!
რას ვიფიქრებდი, ოდესმე,
თუ ჩემ გულს მოიპარავდი!...
დღეს აღსარება მომინდა,
გულს დარდი შემომესია,
ბარძიმში ცრემლად ჩავწურე
სისხლით ნაწერი ლექსია!..
...გამომეცხადა უფალი,
როგორც მხსნელი და მესია!

თეთრ გვირილებმა მომიწყეს
მინდორში ფოტოსესია, –
გამოამჟღავნეს ფირები,
აჩვენეს ჩვენი „კადრებიც“...
მეორედ მოსვლაც რომ მოხდეს,
ისევ, შენ შემიყვარდები!

II
ისევ შენ შემიყვარდები
შენთვის ჩავიშლი ნაწნავს,
მოვალ და ჩუმად გაკოცებ
ხმლით გადასერილ ღაწვთან...
წუხელაც გნახე სიზმარში,
ჩემო ძვირფასო, გირშელ!
ჯაჭვის პერანგზე გიქსოვდი
ცხრაჯერ შელოცვილ გიშერს...
ცისკარმა გამოანათა,
მზე გადაევლო ცხრა კარს,
ცხრაჯერ ნალესი ორპირით
მტერს ჩაუსაფრდი, მზაკვარს.
საომრად უხმე ძმობილებს:
ჯუანშერსა და ჯიმშერს,
ჩემი ნაწნავით გიწმენდდი
მეფის ნაბოძარ შიმშერს.
ხომ იცი, როგორ მიყვარდი? –
ახლაც მიყვარხარ ისევ!
ღამით ვოცნებობ შენზე და
მთვარის სონატას ვისმენ!...
შენი თვალების ცეცხლი კვლავ
ტანში ჟრუანტელს მისევს...
როცა პირდაპირ კი არა,
ისევ ირიბად მიმზერ!..
შენთვის ვლაღობ და ვკეკლუცობ,
სარკედ ვიყენებ ღელეს,
წუხელაც შენთვის ვიცეკვე
ყელი კვლავ მოვიღერე...
მერე, შინდისფრად შევღებე,
შალის ლამაზი ჩოხა,
ციხის ქონგურზე ბულბულმა
შენს გამო დაიჩოქა!..
ცისკრის ლოცვისას მოვიხმე,
შავი შაშვების კაპელა
და ფრთებშესხმულებს ვამღერე
აკაკის „ციცინათელა!"
ყველაფერი რომ გიამბო,
სალ კლდეზე გადმოცოცდები,
დაგავიწყდება მტერი და
ჩემთან ალერსით მოცდები!..
მე არ ვარ შენი ძიძია!
არც შენ ხარ ჩემი ონისე!
მჯერა, რომ მტერთან ბრძოლის დროს
კაბაზე ხელს არ მომისმევ...
განა არ მახსოვს ის ღამე,
შენი მუხლების შეხება?..
ტაძარში შეპარულებს რომ
ჯვარი დაგვწერეს გლეხებმა?!..
მე დამინგრიე კოშკი და
შენ – აისრულე ოცნება...

ყელზე მძივებად მომხვიე
ჩემი ცრემლები ორ წყებად...
გახსოვს? – სიცილით კვდებოდნენ
ჩირგვში შემძვრალი ბოცვრები,
მე რომ დამებნა კალათით
ძლივს მოგროვილი მოცვები...
ახლაც იმ დღეებით ვცხოვრობ,
ჩემო ძვირფასო გირშელ,
წარსულის ფოლიანტებით,
აწმყოშიც სახელს გიმშვენ!..
კვლავ სიამაყით გაგიწმენდ,
ჩემი ნაწნავით შიმშერს,
თუ მოგენატრო, „სულიკო"
ამღერე თამარ იშხნელს!!!..

ლალი მიქაია

სალოცავი უმრევლოდ

ვიცი, მიხმობს, მეძახის
წმინდა „ჯეგე" ილორის,
მის ნიშაზე ვლოცულობ,
გზა ვარჩიე იოლი.
ალმახურს და ხაფშილას
აღარ შერჩათ ფოთოლი,
მოწყენილა უმრევლოდ
გუდავა და ჩხორთოლი.
ბედზე მოთქვამს უმრევლო
თვით ბედიის ტაძარი,
საფლავს გმინავს ბაგრატ მეფე,
ხმალს დაეძებს, სად არის?
კანანელის წმინდა სისხლი
გადუფარავს აქ ქართულს,
ღვთისმშობელო გადმოხედე
ძმებს, სამტროდ ხმალაღმართულს.
იოანე ოქროპირი
ვერ ისვენებს კომანში,
როცა ხედავს მისი მრევლი
აფხოებს ყავთ კომაში.
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
ხატებსა სდით მირონი,
„შავ ზღვას ძმურად ერთვიან
ენგური და რიონი".
ვიცი მიხმობს, მეძახის
წმინდა „ჯეგე" ილორის,
ძმათა შერიგებისთვის
გზა მასწავლოს იოლი...

მაია დიაკონიძე

წმინდა დემეტრე თავდადებულს!

მოგისაკლისე, რაინდო,
ნუთუ მომხდურთა გაგთელეს,
გწადია, რომ აარიდო,
ტანჯვა ამ ლამაზ მთა-ველებს!
წახვედი თავდადებული,
შუბი გშვენოდა ღონიანს,
რადგან სამშობლო ქებული
კაცის ძეს ერთი ჰქონია.
მოგისაკლისე, რაინდო,
ნუთუ მომხდურთა გაგთელეს...
ქვეყნად სიცოცხლეც არ გიჯობს
დედა სამშობლოს მთა-ველებს.
წმინდად შეგრაცხეს ვნებული,
ფარ-შიმშერს დღესაც აკვესებ,
ვაი, მათ, წამოგებული
ვინც დარჩა ეშმას ანკესზე.

ალა დათუკიშვილი

მიქაელი
(მამა მიქაელს)

მე მახსოვს ალში გახვეული
ტაძრის კედლები,
შენ შეეწიე მათ დამწვრობას,
როგორც მალამო,
მოხვედი,
გულის ძახილით და
სულის ვედრებით
ტკბილო მამაო.

შენ მოგვეცი
სოფელს სინათლე,
რომელმაც აწი ბნელსა სძლია
სამარადჟამოდ,
შენ განგვიმტკიცე ჩვენი რწმენა,
ჩვენი სიმართლე,
შენ დაგვარწმუნე,
მობუზული ფრთები გავშალოთ.

შენი თვალები ემბაზივით
დაწმენდილია,
ჩვენ მაგ თვალებში
ნათელს ვიღებთ,
მზეებს ვაღვიძებთ,
დღეს წინანდალი ფეხადგმული
შენი შვილია,
შენი შვილია და გვჭირდები
რომ არ წავიქცეთ.

მე მახსოვს ალში გახვეული
ტაძრის კედლები,
ჩვენი არცოდნის არცოდვებსაც
როგორ გვიქარვებ,
ტკბილო მამაო,
წინანდალში შენ გყავს მხედრები,
ყველა ბრძოლაში შენთანა ვართ
მამა მიქაელ!

დალი მაზმიშვილი

კვლავ დაბრუნდება

მე შენ დაგკარგე, ადამიანო!
სადღაც ქიმერას შეატოვე
სულის მშვენება,
ვინმესთან თუარ თანაზიარობ,
ასეთ სიცოცხლეს
რა ეშველება?!
უდაბნო სხვატში გაერთფერდა,
შენი სინაზე,
რა განძს უფლობდი,
არ გქონია არასდროს ათვლა,
იქნებ ტკივილად ჩამოცრემლდი
ზეცის მინაზე,
ვერ პატიობდი, ვერ უგებდი
მოყვასის ნათქვამს?!
ზამბახის ცვარად, ნამის ბროლად
იქეცი იქნებ,
ამ ამოუცნობ მშვენებაში
რა იყოს უნდა?
ხანაც დათრგუნვის, უარყოფის
დროშას რომ ირგებ,
ღალატისათვის იქნებ
მოძმე კიდეც შეგძულდა?!
ვენდობი შენს ფიქრს,
ვით ვაზის რტოს
გამოზამთრებულს,
გამოქვაბულის კედლებივით
უხმოდ გამხედავს,
დაგეძებ ყველგან,
ყველასაგან თვითონვე ვნებულს,
უფლისგან ქმნილს და
სიყვარულით ანთებულს გხედავ!
უშენოდ აზრი,
უცაბედად, დაკარგა ზეცამ,
თუ რამ გადარჩა, სახიერმა: –
მზემ, მიწამ, მთვარემ,
და მიმოფანტულს სითბოს მძივებს
მოთმენით ვცენცავ,
დაგიბრუნო და საბოლოოდ
გიპოვნო ბარემ!
კვლავ ერთგულება კაცის გულში
ოღონდ დაბრუნდეს,
ამოუცნობი ქიმერების
დამთავრდეს ცვენა...
აყვავდეს ფიქრი იასავით,
დავივიწყოთ საქმენი მრუდე,
შეუცნობელის ამოცნობის
შევძლოთ მოთმენა!
დაგკარგე მე და
მევე უნდა მოგძებნო ასგზის,
ფრთხილად და მყარად
სანდობარი ხელი შეგახო,
ვამცნო სამყაროს
შენეული ძალა და აზრი,
ჯვარზე გაკრული ქრისტესავით
აღარ მენახო!
მჯერა გიპოვნი,
ვით ტყეს – სიმწვანე,
ვით მიწას – ორთქლი,
ვით რწმენა – ზარებს,
სხვა სიმაღლეთა
მიღწევად და რწმენად გიწამებ,
ქრიზანთემების უთეთრეს ნაპირს
შენ ჩაგაბარებ!
მე შენ მიყვარხარ ადამიანო!
დასაბამიდან სიყვარულში
გვდევდა საერთო,
მოყვასისათვის მოსვლა
აღარ დააგვიანო,
ბალახის ღერსაც, ეცადე რომ
წამლად დაედო!
შენი გახდება ზეცაც, მიწაც,
ვით ადრე, წინათ...
ნარინჯისფერი სასოება
იმედად ჩაგთვლის,
ქორბუდებივით მწვერვალები
დგებიან მწკრივად,
და დაამკვიდრებს მოდგმას კაცთა
რწმენა, ადათი!
ცისფერ კესანეს საფირონით
კალთას აივსებ,
ბულბულის სტვენა
დაგაფიქრებს ბედნიერ წამზე,
იქნება ქვეყნად
ერთად ყოფნის სიდარბაისლე,
კვლავ დაბრუნდება
სიყვარული დედამიწაზე!

იამზე არველაძე-ხეცურიანი

ნინოს თმებით

დიდი წარსულის მქონე პატარა ერს,
რომელიც ქრისტეანული სულის სიმაღლეზე ვითარდება,
სამყაროს პირიდან გაქრობა არ უწერია.
ავტორი

იმგვარ წინაპართ დავრჩით მძლევარნი
ვერც ჩვენს მომავალს ხელჰყოფს ვერავინ.
ლაღად ლივლივებს გენის სევანი,
ღვთის „სულთა-თანას“ სულზე რხევანით.

კავკასიონის მთებით, სერანით –
ღვთისმშობლის მიწით, მზის ნარქენალით
უკუნით ხარობს ყურძნის მტევანი.
ველარც „კარდუს“ სძლევს მტერი ვერანი.

ვაზის რტოებით შეკრული ჯვარი
ნინოს თმებითა გადახვეული.
მისი რწმენით და ღვთიური ძალით
სამყაროს შვენის ერი გრძნეული!!!

ელდარ ჭიჭიაშვილი

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე

სისხლის ცხელტბორმა მონატრებული,
ცეცხლის ალივით ლოკა ლაჟვარდი,
წახდა ლაგამი, ჟინაწყვეტილი,
გაცვდა ჭენებით უზანგ-ავჟანდი,
გადამიარა ცხრა ზღვამ, ცხრა ცეცხლმა,
სულის ვნებათა მხანძრა საკირემ,
ვეცადე, მაგრამ ვერ ავირიდე,
ტკივილებს ვერსად გავენაპირე!
გზა-გზა გულიდან ვფინე მზეცვარი,
მომდევდა რისხვა და ბრბო უგვანი,
უფლის შუბლს ძოწად ჩამოვეწანი,
ეკლის გვირგვინით დანაგუბარი!
კვლავ გულის სისხლი ვფინე გზადაგზა,
ჩამოვიქუფრე თავზე ზეცანი,
რომ მემცნო ძმათა უმეცართათვის,
საღმრთო დიდების გზა და მენცარი!
ფარს აღარ ვფარობ, ორი ჯვავარდნით,
მივკვეთ სისხლის და ცეცხლის უდაბნოს,
რომ მამას, ჯვარცმულს, ეკლის გვირგვინი,
ცრემლმარგალიტით გადავუდაფნო!
მე კი კვლავ ხელში შემრჩა ჰოროლი,
ქოსთა და დაფთა მესმის გოდება,
სხვისი კუტით მაქვს სავსე ორომი,
მაჯას მიხელებს ხმალზე ბოდება!
ვიღაც მოდის და იქედნურ ღიმილს
გოლეულებად იფენს ბაგეზე,
უნდა, ხმლის პირზე მასწავლოს როკვა,
მე კი გულის ხმას მივდევ ანდეზე!
გულს შიგნით მესმის შენი გულის ხმა,
ციდანაც მწვდება შენი გუმანი,
უფალო ჩემო, ისე მწყურიხარ,
როგორც დავრდომილს, სალბუნ-მკურნალი!
გარეზგილი და ჯვარზე გაკრული,
უპოვარი და არასმქონები,
ეკალწნულიდან მომდინარ სისხლით,
კვლავ მართალთ გულში გვესასოები!
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
და გულგულადან არაგაწამდის,
ქართველთა გლოვა, სისხლი და ცრემლი
დაისრულ გულზე არაგვწყლად ჩამდის!
ბახტრიონ ციხეს ნადიდგორალი,
უკვდავებასთან სვე-წილნაყარი,
ვიხმე სულები, ხმალშემართული,
გავხელდი როგორც მთვრალი მაყარი,
მომხდური ვულიტე დედაწულიან,
ავშალე, როგორც ფუტკრის ნაყარი,
მათი ძვალ-ხორცის ჭერახით ვავსე
ილტო-ალაზნის წყალშესაყარი!
ეხლა რომ მყავდეს დიდი დავითი,
მქონდეს ხევსურეთს ხმალი ნაჭედი,
გლოვის გალობანს სისხლის მელნით და
დათვიფერულის წვერით დავწერდი!
თმოგვის ციხიდან ტაო-ოშკამდე,
ბახტრიონიდან შატილ როშკამდის
ხოგაის მინდის უძინარ გორდას
მტრის ძვალზე ყეფით ჩამოვროკავდი!
მაცნეს ვაფრენდი არღუნ-არაგვზე,
დაიქუხებდა შატილ-ახადი,
აიშლებოდა ხალდე, ენგური,
თეთნულდი თეთრად ჩამონახატი!
ძმის გული ძახილს იგრძნობდა გული,
აზვირთდებოდა თერგი-არღუნი,
შეუპოვარი, როგორც შამილი,
მრისხანე, როგორც ბაისანგური!
დარისხდებოდნენ საზარეები,
იდიდებოდა ნიში, ჯვარ-ხატი,
კავკასიონის ზვარაკ-ხარლაღთა,
პიროფლიანთა ხორუმს ვნახავდი!
გადავძახებდი მესხთა, ჯავახთა,
ბეჭბრტყელ, საროთა, პირმანგჯავართა,
ჭირთა დამთმენთა, გაუტეხელთა,
შავლეგო ბიჭის ჩამომავლთა!
აბღავლდებოდნენ ზარზმის ზარები,
ოქროს ციხე და ციხე ზანავი,
ხმას მიაგებდნენ და ცას შეძრავდნენ,
ხორნაბუჯი და ციხე მანავი!
გრიგალს ატეხდნენ, უფლის ტახტამდის,
ალავერდის და მცხეთის ზარები,
სულთა ლიცლიცით გაბრწყინდებოდა
დავით გარეჯის ოქროს კარები!
ააახ! მაშინ რაღა მომკლავდა, ანდა
რას ვიდარდებდი, რას ვინაღვლიდი,
უფლის დიდების და ნეტარების
თვალზე მომდგარ ცრემლს
უხვად დავღვრიდი!
დაიძვრებოდა დიდი ლაშქარი,
დიდგორს შეძრავდა დიდი დგანდგარი,
წალეკდა მომხდურს რისხვის ღვარცოფი,
ცეცხლის წვიმა და სისხლის ავდარი,
ჩამოხანძრავდა ხმალშემართულთა,
ცხენ-კაცთა რისხვის შეკივლებანი,
ერთურთს ხმალდახმალ შეებმებოდნენ
ჩემი ჩანგი და მტრის დაფ-ებანი,
დაგუბდებოდა სისხლის მორევი,
მაჯას დაღლიდა ხმალთა ქებანი,
დადუმდებოდა ბრძოლის ყიჟინა,
და დაცხრებოდა რისხვა-ვნებანი!
ახლა, რა? ვზივარ, ოცნების კოშკებს
ვაგებ და გულში მივეძრახები,
საით წახვედით, ალგეთის მგლებო,
ვინღა იქნება თქვენი მნახველი?

თიკა გელაშვილი

* * *

ბავშვობაში სიხარულით განცდილს
ძველ თბილისში გამახსენებს თოვა...
წამწამებზე დაფენილი ფიფქით
ზმანებაში ის დაღმართი მოვა.
დათოვლილი მწვანე ნაძვის ტოტი

კავს გამოსდებს მოგონების სიმებს
და ყიჟინას – ხელი რომ კრა ციგას
ჩემი გული სიხარულით ისმენს.
ნაძვის ხე თუ მოირთვება ჭრელად,
ციტრუსს სურნელს გაუმძაფრებს თოვა,
წარსულიდან წამოსული ჰანგით
ცისკრის ლოცვით ტკბილი შობაც მოვა.
.....
თოვლი მთებს...
გირჩი ტყეს...
ფიფქი ნაძვს...
მთვარე ცას.
საახალწლო აურზაურს ვერ დავუთმობ სხვას!

ციური მესხიშვილი

პატარა ნათლისმცემლები

ცამ მისახსოვრა მზის სხივი,
მე ჩამოვქენი სანთელად,
მცხეთაში უნდა მოვნათლო
პატარა ციცინათელა.
გაილაღებენ ჩიტები,
აყვავდებიან ტყემლები,
ღამეს რომ გაანათებენ
პატარა ნათლისმცემლები.

მაგდა ჩანქსელიანი

* * *

მინდა შევიგრძნო მომაკვდავი სხივების სუნთქვა,
წვიმები ავსებს ჩემს სხეულში ცარიელ ადგილს,
ნაცოდვილარი როცა მივალ ტაძრის კარებთან,
მეუბნებიან რომ აქ ღმერთი ჩემთვის არ არის.

რომ უკვე ყველგან სამსჯავროა, პილატე იცდის,
სამყარო თითქოს დაემსგავსა იუდას ამბორს,
მალე ხელისგულს დაამშვენებს დეკემბრის ფიფქი,
სუსხი გაყინულ სარკმლის მილმა შემოსვლას
ლამობს.

ჯვარცმული სული ყველა მხრიდან დევნას
განიცდის,
კაცობრიობა მძიმე ცოდვის მარწუხებშია,
ისკარიოტელს ისტორია დღემდე დასცინის,
მაგრამ ვაი რომ მიმბაძველი არ დაილია.

როგორ ვერ ვამჩნევთ იმ უბრალო ქვრივის ორ
ლეპტას,
ცოდვამორეულ სამსჯავროზე გვიცდის პილატე,
ნაცოდვილარი როცა მოვალ შენთან უფალო,
შემინდე ღმერთო ჩემი სულის ასე სიმცირე.

ქალთამზე სურმანიძე

სულის შეგუბება

წყალი რომ დის, ნებით ნუ წაყვები.
თუ მაინც წაგილო, უახლოესი ხავსი მოძებნე და მაგრად ჩაეჭიდე.
რა იცი, დაბლა დინება სად გაწვრილდეს.
შესაძლოა, სპირალურმა დინებამ ჯერ გვარიანად ჩაგითრიოს,
თითზე დაგიხვიოს,
მერე თავადვე მოგიბეზროს და ზედაპირზე გისროლოს,
მაგრამ ნუ მიენდობი
ნუ დაუჯერებ დინებას!
არავინ იცის მისი წერტილოვანი სიღრმე –
ერთგან სიმაღლის რომაა ტოლი,
ერთგან – სიგრძის,
ერთგან – სიგანის.
მაინცდამაინც ხავსის იმედადაც ნუ დარჩები,
რადგან შენ არ იცი, რა წყალში გადავარდები,
ან რომელ წყალში შეხვალ –
მტკნარი იქნება თუ მლაშე.
მერე რა, რომ ცურვა იცი?
როდესაც სტიქია შავი ხვრელივით გითრევს,
საჭიროა სპოროვანი მცენარეები მაინც ხარობდეს ირგვლივ.
ასევე, ვინმემ ნაპირიდან იცოდეს ცურვა,
ან ვინმეს ნაპირზე აღმოაჩნდეს მაშველი რგოლი.
აბა, ამ ნიჟარას მოუსმინე,
რა დგაფუნის ხმა ისმის,
რა ამბავს გიყვება?

სხვა წყალწაღებულის ხმებიც ხომ არ მოგესმა ამ ხმაურში?
მე ცურვა არ ვიცი,
მაგრამ ძალიან ახლოს მოვდივარ ნაპირთან
და ხელს გიწვდი.
მარჯვნივ და ზემოთ...
სულ ცოტაც და შევძლებ მტევნის ანკესით ისე გისროლო ნიადაგზე,
ფილტვები არ დაგიზიანო,
რომ უფრო გამალებით შეძლო სუნთქვა,
რომ შენს ფეხქვეშ აღარ ტორტმანებდეს წყალი,
რომ იგრძნო მიწის სიმყარე
და ფეხზე დადგე.

ოღონდ ცრემლი არ გააწყალო,
ოღონდ გული არ გამიწყალო.
ოღონდ გულზე არ დაგადგე.

მას შემდეგ, რაც თავი დამავიწყდა, ჩემი ცხოვრების კაშხალს ვაგებ.
ბეტონითა და ქვით ვგმანავ ზემო დინებას, წყალი რომ დავიგუბო.
რეზერვუარი ნელ-ნელა ივსება სულით
და ყელში როცა ამოვა, კაშხლის უსაფრთხოებას შევამოწმებ.
ჩემი სულსაცავი მდგრადი უნდა იყოს!

ერთხელაც, ამ პლანეტიდან წავალ და ჩემში ბუნებრივი ენერგია მიილევა,
ხელოვნური ენერგიის საბადოდ გარდავიქმნები.
ჩემი სულსაცავი მდგრადი უნდა იყოს-მეთქი!
ღმერთმა არ ქნას, კაშხლის შემოწმებისას
შესაძლო რისკ-ფაქტორები ქმედითად იქცეს.

ღმერთმა არ ქნას, კედლები ისე დამებზაროს, სულმა გამოჟონოს!
ღმერთმა არ ქნას, სული ისე გამეპაროს თქვენი განათება ვერ მოვასწრო!

გიყვებოდი ჩემი ცხოვრების მდინარეებზე, გიყვებოდი... ახლა იცოდე,
ჩემი სულის მთავარი მდინარე გადავტიხრე, ეს ჰესი რომ ამეგო...

– მდინარეს დიდხანს ვერ შეაყოვნებ,
მოძებნის მაინც თავის კალაპოტს,
რაც უნდა კედელს ბეტონი უსვა,
თუნდაც კედლები თიხით გალაფო...
აჰა, საცაა სული შემიგუბდება
და მთლიანად დაიფარება ჩემში უნიკალური ლანდშაფტი,
წლობით ნაკვეთი არქიტექტურული ნიმუშები...

და სხეული ჩემი,
მჭიდროდ დასახლებული ქალაქივით მოითხოვს ურბანულ განახლებას.

მაია მინდელი

კითხვები

რა ფეხზე მოხვედი, წყاროსთვალო,
რატომ გვათქმევინე – გვახსოვხარო,
როდის გადაწყვიტე უტეხი ქანებით გეშენეთ?
შენ ხომ შეგიძლია, მაგრამ არ ნსჯი –
ვინ კაცი იყოს და ვინ ნატანჯი,
ვინ – მწყემსის მოენე და ვინ – ცრუ ქარების მეენე?

ვინ – ნაწისქვილარზე გაცრას დარდი?...
ვისი ცხოვრებიდან ამოვარდი,
ვისთვის გაიმეტე სისხლი სამუდამო პერანგად?,
ვისი ტკივილიდან წამოდექი,
რამდენი სახელი გამოდექი?
რამდენი სამსჭვალი თავის ბოლო სახლად გზვერავდა.

დედის რძიდან ახლად აფრენილებს
ფერადი ფრანები გვაფრენინე,
ცრემლში დიდხანს ნარეცხ მარტოობისათვის გვინდოდი.
შენი ელვარება პირმზითებდა,
შენ რომ სევდა გდევდა, მის ზვირთებთან,
ვერ გაირითმება სევდა, რომლისგანაც გვინდობდი.

გზა რად დაუკარგე ბუმერანგებს,
შენსკენ რომ ვისროლეთ. უკვე ნაგვემს
რაღამ მოგაფიქრა ჩვენთვის მადლის ჩამორიგება?
განა შენ?! – ჩვენ თავებს ვუვერაგეთ,
სირცხვილს შევეჩვიეთ – უკვე ნაგემს,
დე, იყოს ნათელი! – ის ნათელი სადღა იქნება?

ღამე ნავსია და დღე ნავსია,
შენი მარტოობა ყველასია,
როცა, ყოველ დილით შენი ფითილიდან ახლად ავინთებით.
ყულფის შეკვრა რატომ არ გვასწავლე,
ან ამდენი მარტოხე სად არი,
ან ცეცხლს სად ვიპოვნით, იმდენს, შიგ რომ ერთად დავიწვებით?

შენ დღე ხარ და ჩვენით ღამე მოდის,
როდის გადაწყვიტე – გყვარებოდით?
ბოლო ლოცვა მაინც ხომ ვერ მოგისწარით, ნაწვალებს...
შენი ალის შუქზე მოკანკალე,
მაინც შენსკენ რატომ მოვფარფალებ?
სხვა ლექსი მინდოდა, მაგრამ ისევ შენ არ მაცალე...

თამარ გაბოძე

ქეთევან დედოფალს

მიიხმო შაჰმა შირაზის კარზე ქართველი მძევალნი,
მაჰმადის მოწამედ სურდა ქეთევან-ქრისტეს მხევალი...
შვილიშვილების სიმწარე არ აკმარეს ტყვე დედოფალს,
ვერ უმფარველა სამებამ ამ მსხვერპლშეწირვის ეპოქას...
შაჰი არ ელოდა უარს, ნაფიქრ-სურვილის მეტოქეს,
იგრგვინა – „დასწვითო ცოცხლად!“ – ქეთევანიც, მყის, შეთოკეს.
შაჰმა დამცრობად შეიგნო უარი თავაზიანი
და სისასტიკემ შეიდნო დღე – ჯვარცმის თანაზიარი;
...ცისკრის ობოლი ვარსკვლავი უკვდავების ნიშას ჭვრეტდა.
ცეცხლის ალი დიადემად ედგა – უკვდავ ნიშანსვეტად,
სატანამ დედა-დედოფლის გულ-მკერდზე გაინავარდა –
საკმევლის? – დამწვარი ხორცის – სურნელი ცაში ავარდა!
ალავერდი უნდილაძის უარყო რჩევა კეთილი,
ამალაშემოძარცვულმა გვისაგზლა სხვა გაკვეთილი –
თავდადებულმა ქრისტესთვის შვებად იღირსა გოლგოთა,
ქალ-ძელქვამ, ცალმა ბზის ფესვის, იმედმა უსამშობლოთა!
ჩამოშავბნელდა შირაზი... მზეო, არ ხარ მზე, შავდები...
ამომწვარ მკერდზე შუაზე ბოღმით გაიპო შანთები!
მზეობდა მკერდდაშანთულიც, უსულოც ანგელოზს ჰგავდა
და ერთგულს რწმენის – ქართულის – მფარველად იესო ჰყავდა!
მსოფლიოს დიდად გააცნო მან საქართველო პატარა –

რწმენაც და ქვრივის მანდილიც შეუბღალავად ატარა!
და ქეთევანმა თქვა მტკიცედ – რაც ზღვა განძზე არ იცვლება –
ფასდაუდებელ სიმდიდრეს ჰქვია სახელად ღირსება!
ქრისტეს მხედრებად მოსული ერის შვილს როგორ გაკადრეს,
დაგეთმო უმანკო სული – რწმენისთვის ჯვარზე გაგაკრეს!
შენი სიმტკიცის წინაშე ღრუბლებიც კრთიან ოსანით...
განედლდა ზეცის წვიმაში ბრმა ბედის კრიალოსანი!
ვერ დავარქმევდი მზიან დღეს დიდი სიცოცხლის მსუსხავ დარს,
ხსოვნა რომ გაგიმზიანდეს, უხვად გიძღვნი ბზა – სუსამბარს...
ქეთევან, ჟამი ოსანით საუკუნობით მოგძახის –
ხარ თვალი პატიოსანი ქრისტეს მხევალთა ოჯახის.
გულში სამშობლო კი არა – საქრისტიანო გეტევა:
გჭირს ოთხასი წლის იარა, უკვდავმზიანობ, ქეთევან!
მრავალი ქვეყნის გენიამ უკვდავგყო, ხოტბა შეგასხა,
უკვდავმზიანო, სულმნათო, ერმა წმინდანად შეგრაცხა!
ქეთევან, სიმტკიცე სულის უსაგზლე მადლად ათასებს –
ამ თავგანწირვით რწმენისთვის წმინდანს მსოფლიო გაფასებს!
მიეცათ ძალა კურნების შენს დღემდე უხრწნელ ნაწილებს –
მიეახლება ვინც რწმენით, ამარცხებს ბედის ქარ-წვიმებს!...
გამარჯვებული მრავალგზის ზეობდა „ირანის ლომი“,
უნახავთ ბრძოლის ველზეც ის, მბრძოლი სისხლიან ჭრილობით...
მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოინელა ის ომი –
ქეთევანის გამარჯვების – ქრისტესთან სიამტკბილობით!
ორმოც წელს აღზევებული მფლობელი მაშრიყ-მაღრიბის,
ხუთ წელიწადში დანელდა სკიპტრა-სულ-ხორცით ღარიბიც:
დასთმო ტახტის და სიცოცხლის პყრობილი ყველა მწვერვალი!...
...ასე სჯის ცოდვილ მოკვდავებს უკვდავი წერამწერალი!!!
ქეთევანს ედგა გვირგვინი შარავანდედად წამების!
ხოლო შაჰს – პირსისხლიანი უსასტიკესი მწამებლის!
...შაჰს ალავერდი – ხანისაც შეშურდა პირველკაცობა,
ის – ბეგლარბეგი – თუ მართლაც შაჰის ბრძანებით მოწამლეს,
გამზრდელის – მარჯვენა ხელის – თუ ვერ შეიმშნოვა ცნობა,
მუჰამედიც კი დასჯიდა ალაჰის ცოდვილ მოწამეს!
ქართველთმოძულე რად იყო? მამის გენთ ჰქონდა რა ჟინი –
ვერ გაძღა – მიწით, ომით, ვერც სისხლის იკმარა ვაჟინი?!
ტვინში რა ნერვი ჩაუწყდა ნარგილე-თრიაქ-ჩეფირით,
უშუბლისძარღვომ სურვილებს რად ვერ უნახა ჯებირი?!
...ქეთევანს, ალავერდი-ხანს, დრომ ასვა უკვდავთ ქავსარიც...
განსაცდელი ხომ ღირსეულთ, ღვთივკურთხეულთა, თავს არის!...
ნიმუშია ქეთევანი საკაცობრიო ზეობის –
თავისუფლების, მოყვასის ერთგულის, თავდადებულის!
მხოლოდ სპეტაკი ღირსება ლიბოა უკვდავმზეობის –
ღირსებით გასწვდა მსოფლიოს მუხრანში დაბადებულიც!
...იმ დღეს, როცა ქეთევანის დაიშანთა წმინდა მკერდი,
გუმბათს თეთრი ალავერდის თეთრი დააფრინდა მტრედი...
კახეთის დედა-დედოფლის უბიწო, ღვთივსათნო სულმა,
დაიმკვიდრა სავანე იქ ზეცით მტრედად გადმოსულმა!
ცა სხივებით მნათობი მზის, ვინ თქვას, რამდენჯერ გაწითლდა –
პირველ ჩამობრძანებამდე – წმინდანის უხრწნელ ნაწილთა...
სამუდამოდ კი მესამე დაბრუნებაა სათქმელი,
სამი წლის წინ რომ დაუნთო უკვდავს მამულმა სანთელი.
...ოთხ საუკუნეს, ვითვლით ხომ, საწმინდანო კრიალოსნით!...
საქართველოს არც დაღლის დრო ქეთევანზე წირვა-ლოცვით!...
წელს ნახავს გრემ-ალავერდში მრევლი დედოზართა გუგუნს.
ქეთევან – მზე, რწმენის ელჩი, გააცისკრებს ჟამთა უკუნს!

1.ხოსრო მირზა – შაჰ-აბასის ქართველ მემკვიდრეს რომ მამის ღალტი დააბრალეს, შაჰმა თავად მოაკვლევინა.
2.მუჰამადი (არაბ.) – წინასწარმეტყველი, ისლამის ფუძემდებელი ცხოვრობდა 570-632 წწ.
3. ქავსარი – (სპარს.) – სამოთხის წყარო.
4.ხოსროვ ანუშირვანი – შაჰინ-შაჰი, სასანიანთა დინასტიის უდიდესი წარმომადგენელი, სიკეთითა და ქველმოქმედებით ცნობილი. მისი ზეობისას (531579 წწ.) ირანმა მიაღწია განვითარების უმაღლეს მწვერვალებს, რაც „ოქროს ხანად“ შე-ვიდა ირანის ისტორიაში.

18 აპრილს, თელავის ცენტალურ ქუჩაზე, „ძველ ბაღში“ ელენე ახვლედიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

მოეწყო ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა. პარალელურად გაიმართა კონკურსი „თავისუფალი მხატვრობა“, რომელშიც მონაწილეობას სამხატვრო სკოლის მოსწავლეების გარდა, სხვა დაინტერესებული პირებიც იღებდნენ.

სამ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული კონკურსანტები თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ 500 ლარიანი საპრიზო ვაუჩერით დააჯილდოვა.

ღონისძიებას კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ალადაშვილთან ერთად, თელავის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ანდრიაშვილი და მისი მოადგილე ფიქრია ყუშიტაშვილი ესწრებოდნენ.

26 აპრილს, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიო დრამატულ თეატრში, თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის დაარსების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

საიუბილეო სალამოს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი კონსტანტინე გამსახურდია და მისი მოადგილე ბატონი მირიან ხოსიტაშვილი.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მუსიკალური ანსამბლის მოსწავლეები (ხელმძღვანელი მაია შალიკაშვილი) , ქორეოგრაფიული სტუდია (ხელმძღვანელი ლელა გვენცაძე და ანზორ სულხანიშვილი),ზაიარა არსენიშვილის სახელობის თელავის კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა ანსამბლი "ჰარმონია"(ხელმძღვანელი ჯუმბერ სახეიშვილი) მუსიკალურად აფორმებდა ნიკო სულხანიშვილის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი შორენა შაშვიაშვილი.

ღონისძიების მსვლელობისას ბიბლიოთეკის ერთგულ თანამშრომლებს, რომლებიც 50 წელზე მეტია ერთგულად ემსახურებიან საბიბლიოთეკო საქმიანობას გადაეცათ მადლობის სიგელები.

ISSN 1512-3995
15123995